

ଓଡ଼ିଆ
ବ୍ୟାକ

659
1963 / 3

ପ୍ରମାଣିତ ଲାଙ୍ଘନି

କବିତା

19363

652

1963

/ 3

ମୁଦ୍ରଣ ପ୍ରକାଶନ କମିଶନ

ଜୀବିତ



ଲୋକବିରାତଶଖାଲ୍ - ମୋହନିକାଳୀ ରୀତ
ସାହିତ୍ୟବିଧାନପାଇବାରେ - ପରିଚାଳିତିକାଳୀ
ଶରଣାଳୀ

ସାହିତ୍ୟବିଧାନପାଇବାରେ - ମୋହନିକାଳୀ
ପାଇବାରେ - ଆଶାକାଳୀ
ଧିନ୍ୟବିଧାନପାଇବାରେ - ପରିଚାଳିତିକାଳୀ


୩୦୬୫୧୯୬୦

୩୬. କୋଣାର୍କ ପାଥିରେ — ଲେଖିବାରେ	3
୩. ଶୁଣିବା — ଅନ୍ତର୍ବାହିନୀ ଓ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ (ମୋହନିକାଳୀ)	6
୭. ଶୁଣିବାରେ — ଲେଖିବାରେ	22
୭. ମାରମାରାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — କ୍ରିଏଲ୍ଲାଙ୍କି (ମୋହନିକାଳୀ)	24
୩୬. ଜୀବିତରେ — ଲେଖିବାରେ	29
୩. କୋଣାର୍କରେ — ନିରାଳୀନା (ମୋହନିକାଳୀ)	32
୩. କର୍ଣ୍ଣିକାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ତଥାଲ୍ଲାଙ୍କି (ଲେଖିବାରେ)	34
୬. ମାରମାରାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ପ୍ରାଚୀନାଙ୍କି (ପ୍ରକାଶିତ)	35
୬. କାମିଦିବିରାଜାରେ — ଲେଖିବାରେ (ତାରଗମନା ପାଇବାରେ)	38
୯. କାମିଦିବିରାଜାରେ — ମୋହନିକାଳୀ	41
ଲୋକବିରାତଶଖାଲ୍	
୩. ପିଠିରିତାରାଜିଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ଲେଖିବାରେ	48
ମାରମାରାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି	
୩. ମାରମାରାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ମୋହନିକାଳୀ ପାଇବାରେ	50
କର୍ଣ୍ଣିକାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି	
୩. କର୍ଣ୍ଣିକାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ଅନ୍ତର୍ବାହିନୀ ଓ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ କାମିଦିବିରାଜାରେ	54
୩. କର୍ଣ୍ଣିକାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ଅନ୍ତର୍ବାହିନୀ ଓ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ କାମିଦିବିରାଜାରେ	54
୩. କର୍ଣ୍ଣିକାଶବ୍ଦାଲ୍ଲାଙ୍କି — ଅନ୍ତର୍ବାହିନୀ ଓ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ କାମିଦିବିରାଜାରେ	54

୭୯୨୫.

3

୧୯୬୩

ମାନ୍ୟ
ପରିଚୟ

მ. პირამიდვილი — თუმანიშვილების ოფაზი და „არტისტული წრე“	71
ხელოვნება	
გ. ხილიძემი — ქართული სცენის ნიჭიერი სტატი	76
პეტარის ზარსულიძან	
ვლ. სიცინავა — ბათუმის ნაცადგურის პორტო-ფრანკოლ გამოცხადების შეღებების საკითხისათვის	81
წიგნის თარო	
ვ. გორგილაძე — სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი	85
თ. ხილიძი — პოეტის ლიტერატურული წერილები და ნარკვევები	87
სატირა და იუმორი	
უ. როშება — რაც დათესა, ის მოიმკა (სკეტჩი)	89
ვ. ყანდელაძი — მოთხრობები	92

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ს. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (ვ/მგ. შდიგახი),
ვ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24. ტელეფონი: 13-35.

ფრიდონ ხალვაში

๖ ۳ ۱ ۴

კაცის ღიმილით მომღერალი
 ჩემო ჩონგურო,
 გმადლობთ, რომ ეს დღე შემაყვარე
 საგულდაგულოდ.
 მაგრამ თუ არ მწამს ხვალინდელი
 დღის სიდიადე,
 სულ ერთ ღამესაც ასე მშვიდად
 ვეღარ გავათევ.
 ვერ გავიშლები, ვით მაისის ფრთა,
 უყვავილოდ
 და ერთ სიტყვასაც ვეღარ გეტყვი
 სასიყვარულოდ.
 ვერ გავიღომებ, ვერ გავიგებ
 თვითონ სევდასაც
 და შენი ნახვა, შენი კოცნა
 ასე ვერ დამშვავს.
 არ შემერგება მეგობრების
 ძმური ალერსი
 და ხვალის სარჩო დამელევა
 დღეის ვალებში.
 დამეპნეოდა რა იმედიც
 დამაქვს ხალისად,
 რომ არ დაიძრას ოცნებაში
 ტალღა ხვალისა.

ვეღარ ვიქნები ის, რაცა ვარ,
 წაგა სინათლე,
 მე რომ არ მშამდეს ხვალინდელი
 დღის სიღიადე.

ვ ა ზ ი

ვით „ქრიმანჭული“,
 „ურმული“,
 „ნანა“;
 ვაზის ლერწები წავლიან მზისკენ.
 როცა დუშმანმა დამარტყა დანა,
 ამ ლერწით ღია ძარღვი შევისკვენ.
 გადავირჩინე სხეულში სისხლი
 და სისხლმა მთხოვა ჩხავერის წვენი,
 მაგრამ რამდეხანს, როგორც წყურვილი,
 იწვა ნაჩეხი ვენახი ჩვენი.
 მერე წამოდგა მიწიდან ვაზი
 და მისი ცეცხლით ძარღვები თბება.
 მამულო, ტებილი ნაჟური მასვი,
 პაპის ფიალა მომეცი, დედავ·
 იმ ძველ ყორეში ფიალა იდო,
 გამოგვალული უწვიმო წლებით,
 შენ, ჩემი ზვარის მტევანო დიდო,
 მესროლე შენი წითელი წვეთი.

* * *

ვერ გაპატიებ, თუ გადექ განზე,
 თუ დაარღვიე ერთობა მჭიდრო...
 შენი სახელი, ვითარცა განძი,
 ჩემი ცხოვრების თაროზე იდოს.
 მე ჩამოვილებ ზოგჯერ წიგნივით
 და კითხვა-კითხვით წარსულში
 წავალ,
 მე მივაკითხავ იმ ნაცნობ სოჭებს
 და ჩამქრალ ქარებს გავატან
 სალამს.

წამომეწევა წამოსულს წვიმა

და, როცა ხევზე გადმოვალ ლელეს,
 სველმა სალამომ თუ შემაცივა,
 შენი ხსენებით გავითბობ ხელებს,
 დავითბობ შეშას, ეზოში თუ მაქვს,
 ინთებულ კვარით გავკვალავ
 უკუნს,
 სულს შევუბერავ მოწყენილ
 ბუხარს
 და გულმოსული დაიწყებს
 გუგუნს.
 ვერ გაპატიებ...

შიტყვას ეძინა, მაგრამ სულისთქმა
ისმოდა, როგორც ქარის გუგუნი.
იყო აპრილი, იყო ტოტები,
ტოტზე კი მუნჯად იჯდა გუგული.
ბევრი დახოცა, ბევრი დახოცა,
მაგრამ ვერ მოჰკლა სიტყვა

ჭალათმა
და ამიტომაც ჭავრით ტიროდა,

ზიზღს არ მალავდა, ზიზღს არ
მალავდა.
ო, მაპატიეთ, ოქვენ, წინაპრებო,
რომ დღეს უთქვენოდ, მაგრამ
ძლიერი,
თქვენი სისხლ-ცრემლით
გადარჩენილი
ქართული სიტყვით ვარ
ბედნიერი.

მ ა რ ც ხ ა ლ ი


შავი ხეები და შავი მთები
გადაიტრინა შავმა მერცხალმა,
ჭოროხთან ლაქვარდს შეახო
ფრთები,
მობრუნდა, მხარეს ვერ გაეცალა.
ისევ მოფრინდა, ვაზის

ფოთლიდან
დალია წვიმის წვეთი ცინცხალი,
ფრთა გაიბანა წყაროს ორთქლითა,
ოდის ერდოზე შეჯდა მერცხალი.
აქ, ამ ხევების ხმა შეუყვარდა,
ამ სიმღერების მწველი ვეღრება.
და იგრძნო ჩუმად, რომ სხვისი
ვარდი

ამ ჩვენს იასაც ვერ შეედრება.
შემოდგომაა, უკვე აგრილდა,
სამხრეთი ელის, უნდა

გაგვშორდეს.

მაგრამ მერცხალი მღერის: აქ
მინდა,
მხოლოდ აქაა ჩემი სამშობლო.





კავიზონ ჩასიძე

არჩევანი და ინგი

მზე დანისლულ მთებზე ამოცურდა და ნაზამთრალ მიწას სასიაშოვნო სითბოს ჩქერები გადმოაღვარა. ფანჯრის მინები ცეცხლშაკილებულივით ალაპლაპდნენ. მათი ანარეკლი საწერ მაგილას დაეცა და გადაშლილ ხელნაწერ ფურცლებზე ლაქვარდისფრად ალიცლიყდა. მაცოცხლებელი შუქის ერთი ჭავლი მერაბსაც მისწვდა, შიგ თვალებში აუთამაშდა, ფიქრები-საგან გამოარკვია და უნებურად წამოაყენა.

თითქოს მზის პირველმა სხივებმა გამოაღვიძესო, ტელეფონი გაბმით აწერიალდა. მერაბი ყურმილს დასწვდა, აიღო და ხმაღაბლა გაეპასუხა:

- გისმენ!
- ვინ ბრძანდებით? — უცნობმა ბოხმა ხმამ იქითხა ყურმილში.
- თქვენ ვინ გნებავთ?
- მერაბი მინდა, ინსპექტორი.
- მე გახლავართ. ვინ მკითხულობს?
- ხა-ხა-ხა-ხა! — ხარხარმა ყურმილი აახრიალა. — მართლა ვერ მი-ცანი, ხომ?! რევაზი ვარ, აბუსერიძე!

— უჰ, შენ რა გითხრა! — მერაბს მოდაბლოდ დაყენებული, ნახშირი-ვით შავი ულვაშები ღმილმა შეურჩია. — როგორ გამოგიცვლია ხმა! ე-მაკიც ვერ გიცნობდა!.. რაზე გაგახსენდი ამ დილით?

- ის მინდოდა გამეგო, მიმაგრების ადგილიდან თუ ჩამოვიდა-მეთქი-მე, ა, ამ წუთში ჩამოვდი!
- მე წუხელ, შელამებულში დაგბრუნდი.
- მაშინ მოხსენებითი ბარათი მზად გექნება!
- არა, დაღლილი ვიყავი და... გულიც ვერ დავუდე!
- ჰოდა, რახან მასეა, შენებურათ ერთი კიდევ დაშეხმარე და ჩემიც

ჩამოაწიყწიკე! შენთვის მაგი ხუთი წუთის საქმეა, მე კი მთელ დღეს უნდა
გადავგვე.. გეყურება?.. ცნობებს ახლავე მოგიტან!

მერაბს არ ესიამოვნა, სახე დაეროიგა, მაგრამ უარი მაინც არ უთქვამს.
ყურმილი ნელა დაუშვა. მომცრო კაბინეტში გაიარ-გამოიარა. მერე ფან-
ჯარა გააღო და რაფაზე შედგმული მინიატურული რეპროდუქტორი ჩა-
რთო.

- ლაპარაკობს თბილისი! — ომახიანად გაისმა მამაკაცის ხმა.
- მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები! — ნაზად დასძინა ქალმა.
- საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საყოველთაო განიარღვებას...
- რევანშისტო ახალი გამოხდომები დასავლეთ ბერლინში...
- კონგრესი სისხლისოფრა გრძელდება...
- ხელები შორს კუბისაგან...

და უცებ:

- მერაბს კაი გამარჯობა!

ეს უკვე რეპროდუქტორიდან კი არა, დაბლიდან, პატარა სკვერიდან
მოისმა.

მერაბმა გადაიხედა.

ლია ფანჯარასთან ჩია ტანის ფოსტალიონი შეუმჩნევლად შომდგარი-
ყო და გაბერილ ტყავის ჩანთაში ხელს აფათურებდა.

— ოო, გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო ალი! — კეთილად გაულიმა შე-
რაბმა. — აბა შენ იცი, ამ ცინცხალ დილას რით გამახარებ!

— დეპეშაა.. ა, იგიც! მარა ჯერ ავერ, ამ დავთარში შოაჭიყჲიკე
ხელი! — ფოსტალიონმა დალეული ფანჯარი მიაწოდა, სქელ რვეულში
ხელი მოაწერინა, რაფაზე მოყვითალო ფურცელი დაუტოვა და დაცვა-
რულ პარქში გადააპირდაპირა.

მერაბმა სწრაფად აიღო ფურცელი.

მასზე ეწერა:

„თბილისიდან 29. 03. 61 მერაბ ზენაიშვილს
ოცდათერთმეტში მოვემგზავრები. პირველში შელოდეთ.
მადონა გაჭარაშვილი“.

მერაბის დიდრონ, უმთვარო ღამესავით შავ თვალებში მოულოდნე-
ლი სიხარულის ნაპერწკლებმა იელვა: თეთრფეროვანი სახე შეუფარდა.
გულმა ისეთი ბაგა-ბუგი დაუწყო, თითქოს მკერდიდან ახლა თუ ახლა ამო-
ხტებაო. მძიმედ სუნთქვავდა და მოყვითალო ფურცელს მოვაღოებული-
ვით დაპყურებდა. თვალმოუშორებლად დაპყურებდა და შესანახავად ვერ
იმეტებდა. ეს მოყვითალო ფურცელი ხომ უბრალო ფარატინა ქაღალდი
არ გახლდათ, მაღონას დეპეშა იყო, მაღონას დეპეშა.. მაშ, მაღონა ჩამო-
დის!.. როგორც იქნა, გადაწყვიტა და ჩამოდის!.. საჭ არის ის კაფანდარა
ფოსტალიონი, ასეთი სამახარობლოსათვის უნდა გადაეხვიოთ და ტუჩებში

აკოცო, მერაბს კი მადლობის თქმაც გადაავიწყდა!.. ბარემ იმის შესახებ და დაეხედა ფურცელზე!..

პირ-მზეო, პირი მას გიგავს,
დილით ვარდს ნამი ეყაროს,
მთვარეს გავსილსა — პირიდან
ღრუბელი გადაეყაროს!
ნეტავი, შენთან მამყოფა,
გულს სევდა გადამეყაროს!..

— შენ ხომ არ დაყრუვდი, კაცო, ა? ამ რადიოს ვერ დაუწიე, თუ მთელი რაიონული ცენტრისათვის მართავ კონცერტს?!

მერაბი შეცდა. დეპეშიანი ხელი დაუფიქრებულად იკრა ჭიბეში, თით-ქოს ეშინოდა, არ წამართვანო. მობრუნდა და დაბნეულად მიმოიხედა. მას არც ის გაუგია, დიქტორებმა უკანასკნელი ცნობები როდის ჩამოათავეს; არც ის ეგონა, სიყვარულის სიმღერას რადიო იგუგუნებს და არა ჩემი გუ-ლიო; არც კარის ჭრიალი და რევაზის შემოსვლა შეუტყვია.

...ნეტავი, შენთან მამყოფა,

გულს სევდა გადამეყაროს!..

— ბიჭოს! რავა გამოშტერებულივით მიყურებ! — იოცა რევაზშა, სა-ქალალე მაგიდაზე დააგდო, რეპროდუქტორს ეცა და ხმა გააკმედინა. — წამოწითლებულიც მეჩვენები. სიცხე ხომ არ გაქვს?

— არა, ჩინებულად ვარ, — მერაბი მაგიდასთან მივიდა, ხელნაწერი ფურცელები აკრიბა და ზემოთა უჯრაში ჩაალაგა. მერე უკან გადავარცხნილ ხუჭუჭე თმებზე ხელი გადაისვა და ფართოდ გაიღიმა. — იცი რა, ჩემო რე-ვაზ? მადონას დეპეშა მივიღე!

— ნუუ... — მრავალაზროვნად გააგრძელა რევაზმა.

— არ გვერა? აი, ნახე! — მერაბმა მოყვითალო ფურცელი გაუწოდა. — ჩამოდის! პირველ აპრილს აქ იქნება!

რევაზმა ფურცელს ერთი დახედა და დაუბრუნა. ორიოდე წუთს კრი-ტი არ დაუძრავს. მერე უცებ გადაიხარხარა.

— რა გაცინებს, ბიჭო?

— პირველ აპრილზე გამეცინა. ხომ არ იტყუილება?

მერაბს გული შეეკუმშა. ხომ შეიძლება მართლა ხუმრობა იყოს?! ამან კი სიხარული ვერ დაფარა და რევაზს გულუბრყვილო ბავშვიით ახარა!.. რა არის ეს, გულახლილობა თუ სულმოკლეობა?!

— რავა ხელით წახდი, შე კაცო! — რევაზმა სიცილით დაპკრა მხარზე ხელი, თან ზღვისფერი თვალები ეშმაკურაო მოჭუტა. — ნუ ეგშინია, ჩა-მოვა! უსათუოდ ჩამოვა!.. თუ გინდა, დავნაიღევდეთ!

— კი, მარა შენ საიდან იცი ასე დაბეჭითებით?

რევაზი წამით შეყოყმანდა. მერე ხუმრობით მოუჭრა:

— სიზმარი ვნახე!

— ეე, შენაც ერთი!

მერაბმა მაგიდასთან სკამი მიიჩინა, მოყვითალო ფურცელი ზემოთა უჯრაში ხელნაწერებთან ჩაღი, უჯრას ხელი ჰქო, დაჭდა და რევაზის საქალალდეს უგუნებოდ გადახედა.

— გატყობ, ძალიან გეზარება...

— არც მიხარია! ჩემი მოხსენებითი ბარათის დაწერას ვერ ვუდებ გულს და სხვისი რაღა ჯანდაბად მინდა! ანდა შენ რა, შენი პირადი მწერალი ხომ არ გონივარ, მუდამ მე უნდა გიშერო მოხსენებითი ბარათები?!

— კაი ახლა, ამდენი თუ მამადლე, რაღა გამოვა! — ცალყბად გაიცინა რევაზმა. — შენი ამბავი რომ ვიცი, ოც წუთში ორივე გაწინწილებული გეწება!.. ა, აგერ არის ციფრები და ფაქტები! — საქალალდე გახსნა და ფანქრით დაჩხაპნილო ორი ფურცელი ამოილო. — შენსაციო რომ მეხერხებოდეს წერა, საკანდიდატო დისერტაციას კი არა, სქელტანიან რომანს დავიწყებდი!.. ა, დახედე, პირდაპირ ჯილდოზე ვარ წარსადგენი!

მერაბმა ფურცლები გამოართვა, თვალი გადავლო და წარბები შეიკრა.

— როგორ?! შენმა უბანმა გადაჭარბებით შეასრულა დამზადების გაგმები?

— აბა არა?! შენ რა ქენი?

— რა უნდა მექნა?! რაც შეეძლოთ, დაამზადეს... შენ სად იშოვე ამდენი რამ...

— რავა თავგატეხილივით ყვირი, შე კაცო! — სიცილით შეაწყვეტინა რევაზმა. — ალბათ, ვიშოვე!.. შენ რა პირით მიდიხარ ნაზეინებთან?

— პატიოსანი კაცის პირი!

— პატიოსანი კაცის პირი კაია, მარა შენს უბანზე გეგმის შეუსრულებლობა საერთო გეგმის შესრულებას რომ ჩაშლის, ამზე რას იტყვა?

— გეგმასაც გააჩნია და მის შესრულებასაც! ნამდვილად უნდა სრულდებოდეს!.. გასაგებია?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო მერაბ, მარა ასეთ კამათში დროს ტყვილა ვკარგვთ!.. ე, გაიხედე ფანჯარაში, ილია ბალაძე კაბინეტისაკენ მოდის!.. ახლა, ხომ იცი, მაგია. ხაზეინი, ჩვენი ტრესტის უფროსს ცვლის!.. მაგი ცდილობს თავისი უფროსობის დროს დასცხოს გეგმების შესრულებას და...

— და თავი გამოიჩინოს.

— ცხადია! ჰოდა, უსათუოდ ამ დილას მოგვთხოვს მოხსენებით ბარათებს. ამიტომ დაგვიანება არ ღირს... მიდი, დაწყე!.. მე ერთს საპარიკ-მახეროში შევირბენ, თორემ ნადირს ვგავარ! — რევაზმა ხორბლისფერ წვერზე ხელი ჩამოისვა და კარი გაიხურა.

მერაბს სხვა რა გზა ჰქონდა, კალამი უნდა მოემარჯვებინა, თუ მარჯვე არ გამოიწვევა. რიცით ეჭავრებოდა მოხსენებითი ბარაობის თხზვა. უკრიან ერთ ხასიათშე დაჭრილი ათიოდე ფურცელი უხაზო ქალდი მოიღო და პირველად რევაზის საქმეს მორჩა. ოთხი საესე გვერდი გამოუვიდა. ფურცელები უთავო ქინძისთვით დამაგრა და რევაზის საქალდეში უნდა ჩაედო, მაგრამ საქალდე რომ გახსნა, შიგ სწორედ ისეთ მოყვითალო ფურცელს მოკერა თვალი, როგორიც ამ დილით ფოსტალიონმა მას მოუტბენინა. ეგეც დებეშა იყო. მერაბი ცნობისმოყვარეობამ სძლია, ფურცელი ამოიღო და ამოიკითხა:

„თბილისიდან 29. 03. 61 რევაზ აბუსერიძეს
ოცდათერთმეტში მოვემზავრები. პირველში მელოდეთ.
მაღანა“.

ამოიკითხა და სახტად დარჩა. თუ რევაზმაც მიიღო დეპეშა, მერაბს რატომ არ გაუმხილა?! მაღონასაც რამ მოაპრიანებინა მეორე დეპეშის გამოგზავნა?! წერილებს მერაბი სწერდა, თორემ რევაზი ხომ არა?! მარტო მერაბისათვის რომ შეეტყობინებინა, არ კმაროდა?! ანდა მერაბის დეპეშას რომ სახელსა და გვრჩს აწერს, რევაზისას კი მხოლოდ სახელს, განა რევაზი უფრო ახლობელია მისთვის?! ან ერთი დეპეშა გამოეგზავნა, ან ერთნაირად დაეწერა!.. მას რომ ჰქითხო, ასე რატომ მოიქციო, ნირშეუტეხლად გეტყვის: ოპ, რა ეჭვიანი ხარ, მერაბ, სულ უბრალოდ, დაუკვირვებლობით მომივიდაო. თან თავისებური თავბრუდამხვევი ღიმილით აგხედა და გხედავს და დაუზოგავად გაგკენწლავს — ეგოთი წვრილმანი ვაჟეაცქა, ჭეშმარიტმა ჭენტლმენმა აინუწმიც არ უნდა ჩააგდოს. ერთი შეხედვით, მართლა წვრილმანი, მაგრამს მერაბს ნემსივით რატომ უჩხვლიტა გულში?! ნამდვილად ეჭვიანია და იმიტომ!.. არა, დღევანდელი დეპეშა უთუოდ მერაბის უკანასკნელი წერილის პასუხია. მერაბმა ხომ დედაქალაქში სამი ვრცელი წერილი აფრინა! პირველით ქალიშვილს ატყობინებდა, რევაზი ტრესტის განყოფილების გამგის სკამზე დასვეს, მე კი ინსპექტორობა მომანდესო. მეორე წერილით ამცნობდა, ჩვენი რაიონული ცენტრის საშუალო სკოლაში სწორედ შენისთანა სპეციალისტი — გერმანული ენის მასშავლებელი აკლიათო. მესამე წერილში დაბეჭითებით სთხოვდა, გაბედე და ამოდი მთებშიო... პასუხი არც პირველ წერილზე ჩანდა, არც მეორეზე, არც მესამეზე. ასე მიიწურა ნახევარი წელიწადი და უცებ... დეპეშა! მაღონას დეპეშა!.. პირველში მანდ ვიქნებიო!.. რომ ხუმრობდეს, რაღა დეპეშით იხუმრებდა!.. არა, ნამდვილად მოდის! მერაბმა სძლია და მოდის! ალბათ, იფიქრა, იფიქრა, ასჯერ გაზომა და, პაროგორც იქნა, მოსჭრა — რუსთაველის პროსპექტზე სეირნობას შეელია. მთებისაკენ მონავარდობს, გულის სწორისაკენ მოფრინავს, თუმცა... ვიცის, ეგებ მართლა საპირველაპრილოდ იხუმრა?! როგორ გინდა დაიჯერო,



დედამისი მაღონას თვალიდან მოსაშორებლად გაიმეტებს ან თვალინად დონა თბილის თუნდაც ერთი დღით მიატოვებს?! ანდა, რაიმე სასწაულით კიდევაც რომ ჩამოვიდეს, ამ მთებში ჯაჭვით თუ არ დააბი, ისე გაგიჩრდება?! აյ ხომ არც ოპერის თეატრია, არც მექსიკური თუ ბრაზილიური ჯაზ-ორკესტრი, არც ახალ-ახალი მოდები...

უცებ თახში რევაზი ქარივით შემოიჭრა. ახალგაბარსულ ლოყებზე აქა-იქ ბუდრი თოვლის ფიფქივით აჩნდა. ქერა ქოჩორი სუნამოთი გაელინთა. თვალები უცნაურად უბრწყინავდა. მის დანახვაზე მერაბს მოყვითალო ფურცელი ხელიდან გაუვარდა და გადახსნილ საქალალდეში პეპელასავით ჩაფარფატდა.

— რა ქენი, დაწერე?.. თუ არ დაგიშერია, გამომჭერი ყელი და აგია! — რევაზმა საწერ მაგიდასთან მიირბინა, უთავო ქინძისთავზე ასხმულ, წვრილ-წვრილი ასოებით დაფარულ ოთხ ფურცელს დახედა და სიხარულით წამოიძახა: — ო, აგაშენა ღმერთმა, კი ხარ ვჟეკაცი! — ფურცლებსა და საქალალდეს ხელი წამოუსვა და ნადავლივით გაიტაცა.

* * *

ტრესტის უფროსის მოადგილის კაბინეტში თუნუქის ღუმელი გიზგიზებდა და აბანოსავით თბილოდა. ტანდაბალი, ნეკერჩხალივით წი-თური ილაა ბალაძე ტელეფონის მილში ვიღაცას უწყრებოდა. რევაზი რომ შევიდა, მან ერთი გამოიხდა, მაგრამ სალამზე სალამის მისაგებებდად ვერ მოიცალა. რევაზი შალითაგახუნებული დივანის კიდეზე ჩამოჭდა.

— როგორაა საქმე, ამხანაგო რევაზ? — ჰკითხა ილამ, როცა ტელეფონით ლაპარაკს მორჩა.

— კარგათ, მიხაილოვიჩ, — რევაზმა ქინძისთავგაყრილი ოთხი ფურცელი მაგიდაზე დაუდო და თვითგმაყოფილად ჩაიღიმა.

— ესე იგი, ყველამ შეასრულა?

— რა თქმა უნდა!

— ყველა სახეში?

— ყველა სახეში!

ილამ მეოთხე ფურცელს დახედა. შეჯამებული ციფრები გადაიწერა. დალლილი კაცივით ნელა წამოდგა. პაპიროს მოუკიდა, გრძელი ნაფაზი დაკრა, კვლევ ყურმილს დასწვდა და ხან ერთი, ხან მეორე სოფელი გამოიძახა. ათოოდე წუთის შემდეგ ტელეფონს მოეშვა და მწყრალად ჩაილაპარაკა:

— ის მერაბი, ჩვენი ინსპექტორი არ დაგინახავს? ამდენ ხანს რა იქნა ნეტა? ასე როგორ შეიძლება! — და ისევ ყურმილისაკენ წილო ხელი, მაგრამ სწორედ ამ დროს კარებში გამოჩნდა ის, ვისოდისაც უნდა დაერეკა. — რა ამბავია, ამხანაგო ზენაიშვილი, დაგვიანება... დაგვიანება... ასე როგორ შეიძლება!

— ბოდიში, მართლა დამაგვიანდა... გამარჯობათ! — მერაბმა შემოსილი მოიხადა, ერთი ფურცელი გაუწოდა და შორისახლოს შეჩერდა. — მოვნო მოხსენებითი ბარათი ვერ მოგართვით, მაგრამ...

— ჯერ ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ, ამხანაგო ზენაიშვილი, დისციპლინა... — ფურცელზე დახედვამდე შეაწყვეტინა ილიამ. — დისციპლინა, ამხანაგო, საჭიროა!.. იბა ოოგორ, კაცო, ცველამ რომ ასე დააგვიანოს, როგორ შეიძლება!.. აი, ამხანაგმა აბუსერიძემ რახანია მოიტანა, შენ კი... მერე, ინსპექტორი ხარ, პასუხისმგებელი მუშავი.

— მართალი ბრძანდებით, ამხანაგო ილია, მაგრამ მაპატიეთ, რომ და-მაგვიანდა. სახარბიელო არაფერი მქონდა მოსახსენებელი, და ამანაც და-მაგვიანა!

„კიდევ კაი, რევაზის მოხსენებითი ბარათი მე დავწერეო, რომ არ წა-მოროშა!.. ისე, ნამდვილად რა დააგვიანებდა, იოლი მისახვედრია: უთუოდ მაღონას დეპეშამ აუბნია თავგზა!“ — გაიფიქრა რევაზმა და უნებლიერ გაეღიმა.

— ერთი სიტყვით, გახსოვდეს, ამხანაგო ზენაიშვილი, დისციპლინა! ასე როგორ შეიძლება!.. მერე კიდევ, რას ქვია სახარბიელო მოსახსენებელი! იქნება ახლაც ვერ გაართვი თავი! — ილია წამოდგა და ფურცელს პირქშად დააჩერდა.

მერაბი დაფასთან გაყვანილ მოსწავლესავით იდგა. თაგვისფერი რა-ტინის პალტო ცველა ლილით შეებნია, წელზე ქამარიც შემოესკვნა და ამ თბილ ოთახში ისე დასტაცა, როგორც აგვისტოს თავარა მზის ქვეშ. წამდა-უწუმ კარებისაკენ იხედებოდა და, როგორც იტყვიან, გაქცევამდე ერთი სული ჰქონდა.

— ეს როგორ, ამხანაგო! — ილიამ ფურცელი მაგიდაზე დააგდო. — გეგმა სანახევროდაც არ შეგისრულებია?

— ვერ შეასრულეს, ამხანაგო ილია, მით უმეტეს, როცა...

— რას ქვია „როცა“! ასე როგორ შეიძლება!

— გეგმა რეალური არ არის!

— სხვა უბნებს უფრო გაზრდილი გეგმა აქვთ, მაგრამ ასრულებენ! აბა როგორ, კაცო! ცველაფერი მონდომებაზე და უნარზეა დამოკიდებული!

— მონდომება არ დამიკლია, არც მთლად ისე უუნარო გახლავართ, მაგრამ ცველაფერი როდია დამოკიდებული მიმარებულ ამხანაგზე!

— სხვები? სხვები ხომ ასრულებენ, ამხანაგო ზენაიშვილი?

— იმასაც გააჩნია, როგორ ასრულებენ!

— რა გინდა მაგით თქვა?

— ის მინდა ვთქვა, რომ ჩემმა უბანმა იმის მაქსიმუმი დაამზადა, რის შესაძლებლობაც ჰქონდა. თავს ზევით ხომ ძალა არ არის?! ამასთან, რაც დაამზადეს, ნამდვილად დაამზადეს!

— როგორ, ამხანაგო, აბა სხვები ფიქტიურად ამზაღებენ? უკავშირობა
ლისწამებაა! ასე როგორ შეიძლება!.. პასუხისმგებელი მუშავი ასე უა-
სუხისმგებლოდ არ უნდა ლაპარაკობდეს!.. როგორ, კაცო!..

— რასაც ვლაპარაკობ, იმის პასუხისმგებელიც ვარ, ამხანაგო ილია,—
გულშევიდად-მიუგო მერაბმა. — აი, ამ დღეებში აუცილებლად ვაპირებ
გამგზავრებას თბილისში და ხელმძღვანელ ამხანაგებს ჩემს მოსაზრებებს
გავაცნობ!.. ვინ იცის, ეგებ ჭობს, გეგმებს გადავხედოთ?!.. არა მარტო და-
მზადების, არამედ, საერთოდ, მთიან სოფლებში ერთშელიანი და მრავალ-
წლიანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების, მეცხოველეობის პრო-
დუქტების წარმოების გადიდების, კოლმეურნეობათა ეკონომიური გაძ-
ლიერების საკითხები ჩემს სულთან და გულთან ძლიერ ახლოსაა, მეტიც;
ამ საკითხების შესწავლას ჩემი მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელო-
ბა აქვს, მე ხომ ამ თემაზე დისერტაციას ვამზადებ და ამ ჩვენს კუთხეშიც
იმიტომ დაგბრუნდი!.. მაშასადამე, არ შეიძლია უპასუხისმგებლობა ან
უსულგულობა გამოვიჩინო!

— ეს როგორ, ამხანაგო ზენაიშვილი, გამოღმა მედავები?! — ილიამ
ნაძალადევად გაიღიმა. — კარგი, კარგი, დატოვე მოხსენებითი ბარათი!

„დატოვე მოხსენებითი ბარათი!“ — ეს იგივე იყო, რაც თავისუფალი
ხარ, წალი, აქედან გამეცალეო, თორემ „ბარათი“ ანუ ის ერთი ფურცელი
ქილალი ისედაც დატოვებული გახლდათ... მერაბმა ორივეს დაუკრა თა-
ვი და კარგბისაკენ გასწია: „ბარათიც“ დატოვა და კაბინეტიც.

— კიდევ კაი, რომ მშეიღობიანად გაისტუმრე, მიხაილოვიჩ! — რევაზი
ხელების ფშვნეტით წამოდგა. — რახან იმ ადგილზე გვინდა დაწინაურება...

— კაბინეტიტან კი არა, — ხელის აქნევით შეაწყვეტინა ილიამ, —
ამ რაიონიდანაც რომ მალე გავისტუმრებდე, მგონია უკეთესი დარჩეს!..
შენთვისაც უკეთესი!.. ვერ ატყობ, რომ მოინტრიგანო კაცის სუნი უდის!?
ჩემზე ხნითაც უმცროსია და ჭიუის სწავლებას მიბედავს!.. ასე როგორ შე-
იძლება!

რევაზმა დუმილი ამჯობინა, ხმა არ ამოუღია.

* * *

ბინდდებოდა, როცა მერაბი კაბინეტში ისევ მიიხმეს.

ილია საწერ მაგიდასთან იჯდა. მოწყვნილივით გამოიყურებოდა. მე-
რაბს სკამი თვალით ანიშნა და სუფთა ფურცელზე წითელი ფანქრით უჭი-
რო ხაზვა განაგრძო, თან დროდადრო დივანზე არხეინად მიწოლილ რე-
ვაზისაკენ გაიხედავდა ხოლმე, თითქოს ნატურიდან ხატავსო. ორ-სამ წუთს
სიტყვა არ დაუძრავთ. მერე რევაზმა კმაყოფილი კაცის ღიმილით დაიწყო:

— დღეს ცენტრში ვიყავით, ხელმძღვანელებთან... გამოგვიძეხეს...
ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი გადაწყდა... ილია მიხაილოვიჩი ჩვენი
ტრესტის უფროსის მოვალეობას შეასრულებს... ის კაცი, თვითონ

უფროსი, მართალია. ავარიის დროს გადარჩენილა, მარა... ერთი ციტუტი; მალიან მძიმედ არის დაშავებული, ექიმებს გადარჩენს იმედის აუკის... ჯერჯერობით ასეა... ტრესტის მმართველის მოაღილის თანამდებობაზე ილია მიხალოვიჩმა წაყენა ჩემი კანდიდატურა, მე. კი... ჩემს აღგილზე შენ დაგასახელე, ამხანაგო მერაბ, და...

რევაზი ათიოდე წუთს ლაპარაკობდა. სვენებ-სვენებით, აუჩქარებდა, გოროზი ტონით ლაპარაკობდა. დამრიგებლურად ლაპარაკობდა და ფანჯრიდან საღლაც შორს, ლრუბლებით შესულრული მთების მიღმა იხედებოდა.

მერაბი მას გაოცებით მისჩერებოდა, თუმცა ყურს არ უგდებდა. ასე მალე რამ გამოცვალა, უკვირდა. პირველი მოაღილის სავარძელში ჯერ არ ჩამჯდარა და უკვე მბრძანებლობდა. მერაბს წინასწარ ამაღლიდა, ჩემი თაოსნობით გაწინაურებენო. მერედა, ვის უნდოდა, ვის აწყობდა ეს დაწინაურება? თვითონ რევაზ! ადგებოდა და სხვადასხვა დადგენილებათა პროექტების, მოხსენებითი ბარათების, ათასგარი მიმართვების პირად მთხველიად გადააჭცევდა. თვითონ თითზე თითსაც არ დაკარებდა, მხოლოდ განკარგულებებს გასცემდა, თავს კი გამოიჩენდა. ერთი უყურეთ, რა შორს გახედული კაცია, ეწოდავით სულ თავისენ უნდა მიითალოს!..

— აბა როგორ, კაცო, მეტი სერიოზულობაც მართებს!.. ამხელა თანამდებობაზე დაწინაურება... მეტი სერიოზულობაც და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაც! — ილიამ კვერი დაუკრა რევაზს. — სხვანაირად როგორ შეიძლება!

მერაბს ბალაძის ბოლო სიტყვები არ გაუგონია, მაგრამ ადვილად მიხვდა, მისგნ რასაც მოითხოვდნენ. მიხვდა და მოიღუშა. ჯანდაბას იქით ყოველგვარი დაწინაურებაო, მწყრალად გაიფიქრა გულში. მას არც ინსპექტორობა ეხამუშებოდა, მაგრამ რა ექნა, ფეხი სადმე ხომ უნდა მოეკიდებინა? ეგებ აქობებდა, სამუშაოდ კოლმეურნეობაში, ერთ რომელიმე სოფელში წასულიყო?!

— რას იტყვი? — რევაზმა მერაბი ფიქრებიდან გამოარკვია. — არჩევანი შენზეა.

— აბა როგორ, კაცო! — ილიამ ფანქარი მაგიდაზე დადო. — დაძლება როგორ შეიძლება!

მერაბმა ორჭოფულად გაიღიმა.

— ადლობის მეტი რა მეთქმის... მაღლობელი ვარ, რომ ჩემს დაწინაურებაზე გიფიქრიათ... მაგრამ... სხვამ რომ არავინ, შენ მაინც კარგად იცი, რევაზ, რომ მე ასპირანტურიდან აქ დასაწინაურებლად არ ჩამოვსულვარ!

— განა არ ვეცი, მერაბ, მარა დაწინაურება ხელს არ შეგიშლის, პი-ციის მომზადებაში!

— უასე, უასე... შებოჭილივით ვიქნები... თანაც... მე, საერ-

თოდ, გულგრილად მუშაობა არ შემიძლია, საქმეს თუ მოვკიდე ხელი, წი-
სამშაბათება არ მიყვარს... სამსახურში ათასი საქმე მექნება, ხოლო ის,
რისთვისაც აქ მოვედი, უკანა პლანზე გადაიწევს... ამასაც რომ თავი დაფი-
ნებოთ, სურვილისამებრ რაიონიდანაც ვერ წავალ...

— ეს როგორ, ამხანაგო ზენაიშვილი! შენი სურვილით რაიონიდან
ვერც ახლა წახვალ, აღრიცხვაზე ჩვენთან ითვლები! — მწყრალად ჩაურ-
თო ილიამ. — დაწინაურებაზე უარი... ისე როგორ შეიძლება!

— მე, საერთოდ, კარიერისტი არ გახლავართ!

რევაზს სიწითლემ გაჰკრა სახეზე, ილიას კი ქვემო ყბა თითქოს და-
უგრძელდა.

— როგორ, ამხანაგო ზენაიშვილი, განა ჩვენ ვართ კარიერისტები?!
მარა, როცა საქმისათვის საჭიროა, სხვის მაგივრათაც ვმუშაობთ!.. აბა, როგორ, კაცო, ისე როგორ შეიძლება!

— მაგას, ეტყობა, მიხაილოვიჩ, სულ სხვა მიზეზი უშლის ხელს, —
რევაზმა პაპიროსს მოუკიდა, უფრო მოხერხებულად დაჭდა და ფეხი ფეხ-
ზე გადაიდო. — რაღაც-რაღაცები არ მოსწონს და...

— მე შეიძლება ბევრი რამე არ მომწონდეს, ჩემო რევაზ, — მერაბ-
მა უბოლიშოდ შეუტია, — მაგრამ ჩემს მოწონება-არმოწონებაზე როდი
ჰკიდია ქვეყნის საქმე!.. სრულებით არ მინდა არავითარი თანამდებობა, ამ
ინსპექტორობასაც ადვილად შეველეოდი, მაგრამ სოფელ-სოფელ გასტ-
როლიორივითაც ვერ ვიყლო... გასაგებია?.. მე მინდა ხალხში ვიყო, ცხო-
ვრებას ვაკვირდებოდეს, ჩემს საკითხებს ვსწავლობდე... მაგრამ ვერც მუქთ
მჟამელად შევეხიზნები ვინმეს და არც ის გამოვა, საღმე მდგმურად და-
ვდგე... მდგმურად რომ დავდგე, ფული უნდა ვიხადო, ხოლო ფული რომ
ვიხადო, მე სხვა შემოსავალი არა მაქეს, თან არც დედა მყავს და არც მამა,
და რამე სამსახურში უნდა ვიყო!. ისე ფულს ვინ მომაგებებს!.. ამიტომ
დავთანხმდი ინსპექტორობაზეც, თორემ... ერთი სიტყვით, როგორც ახლა
ვატყობ, უკეთესი იქნებოდა, თავიდანვე საღმე კოლმეურნეობაში წავსუ-
ლიყავი და იქ დაგმაგრებულიყავი, ბოლოს და ბოლოს, აგრონომი ვარ!

— ესე იგი კოლმეურნეობაში წასვლა ურჩევნია, მიხაილოვიჩ!

— გასაგებია, ამხანაგო რევაზ!.. ურჩევნია და ურჩევნია!.. ჩვენ კიდევ
მოვილაპარაკებთ... აბა როგორ, კაცო!.. თავისუფალი ხარ, ამხანაგო ზე-
ნაიშვილი!

მერაბს ალარაფერი უთქვამს. შლიაპა დაიხურა და კაბინეტი სწრაფად
დატოვა.

* * *

გამდინარი თოვლის ნიაღვრებით აფონინებული მდინარე კალა-
პოტში ვეღარ ეტეოდა, უზარმაზარ მღვრიე ტალღებს კლდოვან ნაპირებზე
ახეთქმებდა და დგრისლით მთელ ხეობას აყრუებდა. ნაცრისფერი ლრუბლე-



ბით დამძიმებული ცა ნაძვთა წვეროებამდე დაღაბლებულიყო. მფრინავის ბილ მოჩანდა. ნისლი ლრუბელს შერეოდა. მზე თითქოს კუკუდამალობა—ნას თამაშობდა: ხან გამოიჭრეტდა, ხან ლრუბლებში იმალებოდა.

ბილიკი ნაურ წყალს მოესველებინა. მერაბს დროდადრო ფეხი უცურდებოდა. ერთგან კინალამ დაეცა, მაგრამ მხოლოდ ღიმილი მოპევარა. მთელ სხეულში საოცარ სიმსუბუქეს გრძნობდა. ალარაფერზე ფიქრობდა. ესეც სიამოვნებდა. ბილიკს ფრთხილად მიჰყვებოდა, თან ღილინებდა. ალბათ, ორადორი ჭიქა ლვინო რომ გადაკარა, იმან გამოუკეთა გუნება.

შეერის გადაბარდნილ ბუჩქთა შორის ამოქუცუნებულ იებს მოპერა თვალი. ბილიკიდან გადააბიჯა და ბუჩქებში ჩაცუცქდა. ორიოდე წუთს მღუმარედ დაპყურებდა გაზაფხულის ნაზ მახარობლებს. მერე გაიფიქრა, მაღონას უთუოდ გაუხარდება, ის კონა რომ მივაგებოო. ღიღრონი ამოარჩია და ზედ ძირებთან მიაწყვიტა. მუჭი რომ გაისხო, შორიდან მანქანის საყვირის ხმა გაიგონა. ეგებ ქალაქიდან მომავალი ავტობუსი იყოს?!

მერაბმა ბილიკზე მკვირცხლად აირბინა, შარაგზა გადაჭრა და მოსაცდელთან შექუჩებულ ხალხს შეერია.

მკვეთრი მოსახვევიდან ტრესტის მმართველის ტენტიანი „ვილისი“ ტყვიასავით გამოვარდა. ყანგისფერთმიანი ოთარი საჭეს ჯაღოქარივით ატრიალებდა. გვერდით, წინა სავარძელზე არავინ ეჯდა. მერაბმა თვალი აარიდა შოთვერსაც და მანქანასაც. უცებ აარიდა და იმას არ დაკვირვებია, უკანა სავარძელი ცარიელი იყო თუ არა... „ვილისმა“ სწრაფად ჩაიქროლა და შენობებს მოეფარა.

— ავტობუსი მგონი იგვიანებს! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

მერაბმა საათზე დახხდა. სამს მეოთხედი უკლდა. თხუთმეტი წუთის დაგვიანება რა სათქმელი იყო, ოღონდ მეტი არ დაეგვიანებინა! მერაბს წუთი წლად ეჩვენებოდა. ფიქრით ხეირიანად ვეღარაფერზე ფიქრობდა, მაგრამ გული ისე უფანცქალებდა, თითქოს აბრეშუმის ძაფზე ეკიდა და ახლა ჩაწყდებოდა. უცანურ ბუნდოვან გრძნობასაც შეეპყრო: იმ ქალიშვილის გამოჩენა თან უხაროდა, თან არ უხაროდა, გულის ერთ კუნძულში რაღაც სტკიოდა... შლიაპა თვალებამდე ჩამოეწია და აქეთ-იქით გაფაციცებით იხედებოდა, აბა, რევაზი თუ გამოეგებდათ, მაგრამ იმას, აღბათ, არ ეცალა, ანდა ეგზომ დიდ კაცად მიაჩნდა თავი, რომ კაბინეტში მიღებასაც ღვთის წყალობად ჩაუთვლიდა! თუმცა, ასე თუ იყო, მაღონას სურათს ჯიბით რატომ დატარებდა ან მერაბს რატომ დაუმალავდა, იმ ვოგოსაგან რომ დეპეშა თვითონაც მიიღო?! მოდი და ამოხსენი!!..

— მოდის! მოდის! გამოჩანდა! — უცებ წამოიძახა ათიოდე წლის ბიჭუნამ და ტაშიც შემოკრა.

მერაბს ეგონა, რევაზი მოდისო. თურმე ავტობუსი გამოჩნდა. გამოჩნდა და თვალის დახამებაშიც მოგრიალდა.

მოსულნი და დამხვდურნი ერთმანეთში აირივნენ.

საქონელი

მალე დაიცალა და წამსვლელებითაც მალე დაიტვითა.

მაღონა არ ჩანდა!

ნუთუ მართლა იხუმრა?! ნუთუ მერაბიც გააცურა და რევაზიც მოტყუა?!

ეგებ ქალაქში უნდა დახვედროდნენ?! მაღონამ ხომ გზა არ იცოდა!.. აფსუს, ქალაქში თუ დარჩა და იქ ელოდება!..

მერაბმა მანქანისაკენ უნებურად გადადგა ნაბიჯი, ვითომდა გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ სწორედ იმ წუთს ვიღაცამ მკლავზე შეახო ხელი. მოიხედა.

შოთერი ოთარი მონდგომოდა გვერდში.

— ილია მიხაილოვიჩი დდაგეძებთ! — ენის ბორბიკით ამცნო ოთარმა. — მოვიდესო?

ამას რაღა კითხვა უნდოდა, მაგრამ მერაბს დაბნეულობისაგან წამოცდა.

ოთარმა მძიმედ დაუჭნია თავი.

მერაბი სწრაფად მიტრიალდა, გზა სკვერში გადავლით შეამოკლა, იები მარცხენა მუჭეში დამალა და ტრესტის უფროსის კაბინეტის კარი შეაღო.

რევაზი ამჯერადაც იქ დაუხვდა.

— ეს როგორ, ამხანაგო ზენაიშვილი, — ილიამ კუშტად ახედ-დახედა. — სამუშაო საათებში!.. საღმე თუ მიხვალ, უნდა გვითხრა!.. დაგეძებთ!.. ასე როგორ შეიძლება!.. დაჯექი!

მერაბი დივანზე, რევაზისაგან მოშორებით ჩამოჯდა და შლიაპა გვერდით დაიდო.

ილიამ პაპიროსი გააბოლა და იმავე ხმით განაგრძო:

— ჩენ მხედველობაში მივიღეთ შენი განცხადება, ამხანაგო ზენაიშვილი!.. აგრძონმო კაცი ხარ, ასპირანტურა დაგიმთავრებია... უნდა შეგიწყოთ ხელი, აბა როგორ, კაცო! — პაპიროსი ჩაუქრა, მაგრამ ხელიახლა აღარ მოუკიდებია, საფერფლის კიდეზე ჩამოდო. — ზემდგომ ორგანოებს ვთხოვთ და... ერთი სიტყვით, შენთვისაც რომ კარგი იქნება... მართალია. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, შეიძლება გაუჭირდესო, მარა მონდომებაა მთავარი!.. აბა როგორ, კაცო, ფუტკარაძე ასრულებდა გეგმებს და შენ ვერ შეასრულებ?!. მოკლეთ, კოლმეურნეობაში გიშვებენ, მარანის ში!.. გაწყობს?

მერაბი მოულოდნელობისაგან ზეზე წამოხტა. კოლმეურნეობაში გამგზავნეთო მას არ უთხოვია. არც მარანის დაუსახელებია... მაგრამ რატომ არ უნდა წავიდეს?! კოლმეურნეობაში შედარებით ნაკლები უფროსი ეყოლება, სოფლიდან სოფელში სირბილი არ მოუხდება, სამეურნეო

2 „ლიტერატურული აქარა“, № 3.



რწმუნებულად ვერ გაგზავნიან, ვერც მოხსენებითი ბარათების ჭერის მარტინი

უშესაბამის გულს, ხალხთან, სოფლის ცხოვრებასთან ახლოს იქნება, ავ-
კარგს გულმჟიღად ჩაუკვირდება, სოფლის მეურნეობის ეკონომიკას
ღრმად ჩასწვდება და სამეცნიერო გამოკვლევისათვის უტყუარ, მყარ,
ცოცხალ მასალებს მოაგროვებს!.. როგორ არ აწყობს! პირიქით, ჩინებუ-
ლია!.. ესენი შესაძლოა თავიდან იშორებენ, მაგრამ, ჭანი გავარდეს, მო-
შორონ, აქ მაინც რა ესაქმება, მით უმეტეს, როცა მადონა არ ჩამოვიდა და
არ ჩამოვიდა!..

— სიამოვნებით! — მერაბმა გაიღიმა. — სიამოვნებით წავალ! კარგა-
დაც მაწყობს!

— ხოდა, რახან თანახმა ხარ, ეს საკითხი მორჩა!.. ხვალ რაღაი, თათ-
ბირი გვაქვს, ზეგ კი კრებას მოიწვევენ და კოლმეურნებობის თავმჯ-
დომარედ გაგაფორმებენ... ზეგ!.. დაუგვიანებლად!.. აბა როგორ, კაცო!..
გასაგებია?.. ახლა ერთი იმ ფუტკარაძეს გამოვუძახოთ და, რახან აწინაუ-
რებენ, ახალი ანკეტა შევავსებინოთ! — ილიამ ყურმილი აიღო. — შენ,
ამხანავ ზენაიშვილი, თუ საქმე გაქვს, შეგიძლია წახვიდე!.. აღლო, ფოსტა!..

მერაბი კარისაქენ გაემართა.

რევაზი იმ წამსვე წამოხტა, დაედევნა და შიგ კარებში მკლავზე წაე-
ტანა.

— ის ჩამოვიდა, მერაბ... ნახე?

— ვინ ის?

— ვინც უნდა ჩამოსულიყო!.. მადონა!.. სასტუმროშია, მეათე ნო-
მერში.

— რაო?

— რა გაფვირებს, არ გჩერა?.. მეათე ნომერშია!.. მიღი და! — რევაზმა
ჩურჩულით გაუმეორა, მოზომილად წაუბიძგა და კარი ცხვირწინ მიუხურა.

მერაბს თითქოს კვანტი გამოჰქონდა, ფეხი კინაღამ გამოეშალა. ეს რა
უთხრა ამ კაცმა!.. ნამდვილად უთხრა, თუ მოეყურა?!.. მადონა ჩამოვი-
დაო!.. სასტუმროშიაო!.. როდის ჩამოვიდა?! თვითმფრინავით ჩამოფრინ-
და თუ შვეულმფრენით დაეშვა?!.. ნუთუ...

მერაბი კიბის ორ-ორ საფეხურს გადაახტა და სასტუმროსაქენ გაიქცა.
სასტუმროს კიბეზე სულმოუთემელად აირბინა, მიყუჩებული ვიწრო დე-
რეფნის ახალპარკეტიანი იატაკი მძიმე ნაბიჯებით ააჭრიალა, მეათე ოთა-
ხის კართან მივარდა და ძეგ ჩქარ-ჩქარა დააკაკუნა, უცხო ვინმეს ხანძრის
მაუწყებელი ეგონებოდა.

— მობრძანდით, ღიაა!

მალონას ხმა იყო!.. ჩამოსულა!.. მართლა ჩამოსულა!.. მაგრამ როდის
და რით?

მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის პაკი-პუკი კართან შეწყდა. კარი გაი-
ღო და თვითონ მადონამ გამოახათა!

— ობო, თქვენ ხართ, მერაბ?! მობრძანდით, მობრძანდით!.. გამოიშვილობით!.. აჲ, ასე მაგრად ნუ მომიშვერთ ხელს!.. შემოდით, შემოდით!.. ჰო, მა-გრე!.. ახლა ქუდი მოიხადეთ, პალტიც გაიხადეთ!.. პალტის არ გაიხდით?.. აჲ, როგორ საბერველივით ქშინავთ, მერაბ!

— როდის ჩამოხვედი, მადონა? — ძლიერ ამოილულლულა მერაბმა.

— ავტობუსს მგონი ნახევარი საათით ამოგასწარი... არ დაჭდებით?.. ამ რაიონის საზღვართან, წაბლანეთის, თუ, რა ვიცი, რა ქვია იმ სოფელს, ჩვენი ავტობუსი რომ შეჩერდა, შემთხვევით რევაზმა ჩამოიარა. თავისი „ვილისით“ იყო. დამინახა და გადამსვა... დაჭექით, რა!

მერაბი პალტოგაუხდელად ჩამოჯდა სკამზე.

— ესე იგი შემთხვევით შეგხვდათ?

— ვინ? რევაზი?.. მაშ!

— დეპეშაც შემთხვევით გამოუგზავნეთ?

— დეპეშა ორივეს ერთდროულად გამოგიგზავნეთ. ეგებ ერთ-ერთი ადგილზე არ იმყოფება-მეთქი.

— სურათიც შემთხვევით აჩუქქეთ?

— რას გავს ეს, მერაბ?! ეჭვიანობთ თუ რა?! სურათი მთხოვა და ვაჩუ-ქე! თქვენ არც გითხვოიათ და არც მიჩუქებია!.. მართალი გითხრათ, თქვე-ნებან არ მოველოდი ასეთ გულციობას! ამ დაკარგულში საჩეუბრად მიწ-ვივდით?! — მადონამ ჩაიკისისა, მაგრამ მისი კისკისი ძველებურად, მი-ნის წკრიალივით როდი გაისმა, ნაძალადევს გავდა.

მერაბმა თავი ასწია. ქალიშვილი დაკვირვებით შეათვალიერა. ხავერ-დივით სქელ, ვარდისფერ კაბაში წინანდელზე უფრო დასუსტებული მო-ეჩვენა. კაბის ფერის ანარეკლი სახეს უცოცხლებდა, მაგრამ მაინც ძევლ ეშხსა და იერს რაღაც აქლდა. ამ ნახევარ წელიწადში თითქოს ზედ-მეტად დასერიოზულებულიყო. რატომღაც ხშირ-ხშირად იკვნეტდა ბა-გეს... ნეტავი, მგზავრობამ მოთხოთა თუ მთებში ამოსვლას ნანობდა?!.. მე-რაბიც რა კბილის მატლივით შეუჩნდა, მოსდგა და გლახა გამომძიებელი-ვით დაუწყო გამოკითხვა!.. რომ ეკვიმატება, რას ეკვიმატება, ხომ შეიძ-ლება, წაბლანეთში რევაზი მართლა შემთხვევით გადაპყრობა?! ანდა რა დიდი ამბავია სურათის ჩუქქება! ამასაც ეთხოვა და აჩუქქებდა!.. გასათხო-ვარი ქალი იმ სიშორიდან ჩამოვიდა და ამან დანახვისთანავე აფი ძალი-ვით დაუწყო ღრენა!.. გულში ელოლიავება, ხოლო ენით პილპილს იყ-რის!.. ესაა ვაჟაცობა?!.. ანდა ისაა ვაჟაცობა, ქალიშვილი რომ აქ ჩამო-იყვანა და თვითონ კი სამუშაოდ მარანისში უნდა გაიქცეს?!.. რა აჩქარებ-და, ილია ბალაძეს რომ მიაგება, სიამოვნებით წავალო! ეთქვა, დავფიქრ-დებიო!..

— არ გაგიკვირდათ, მერაბ, ჩემი დეპეშა რომ მიიღეთ? — ისევ ქალი-შვილმა დასწრო ხმის ამოლება. — ხომ არ ელოდით?

— როგორ გითხრათ... — მერაბი წამოდგა და ზურგით ტანისამისას
კარადას მიეყრდნო. — კიდევაც ველოდი და კიდევაც არ ველოდი... ერთ-
ხან სიზმარი მეგონა!

— მე ახლაც სიზმარში შევნია თავი... ამ უკანასქნელ თვეებში იმდენ
არა გადავიტანე...

— როგორ! დედა ან მამა ხომ...

— ხომ არ გარდაგცვლიაო, თუ გნებავთ მკითხოთ, არც ერთი არ გარ-
დამცვლია, მაგრამ... სიკვდილამდეც აღარაფერი გვაკლია!

— რას ამბობთ, მაღონა! ასეთი რა უნდა შეგმოთხვეოდათ!

— მამაჩემი დააპატიმრეს, მერაბ... დააპატიმრეს და მის წილსაც კონ-
ფისკაცია უყვეს... საწყობში მუშაობდა... მთელი ოცი წელიწადი მუშაობ-
და და... უცებ ჩავარდა!.. მე და დედაჩემს, ცხადია, ძლიერ გავიჭირდა...
დედაჩემმა იყადრა, ძევლი ხელობა გაიხსენა და ქალთა სალონში მანიკიუ-
რის მკეთებლად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მისი ხელფასი რას გვეყოფოდა,
მით უმეტეს, რომ ხელგაშლილ ცხოვრებას ვიყავით დაჩვეული... ისტერი-
კებიც დასჩემდა. საშინლად ამითვალწუნა. ავი დედინაცვალივით მეცყრო-
ბოდა... თბილისში ხეირიანი სამსახური რომ მეშოვნა, მის ახლომახლო მა-
ინც არ გამეჩერებოდა, სულ მწყევლიდა და მკრულავდა, ყველაფერს მე
მაბრალებდა... მეც ვიფიქრე, ერთხანს მაინც მოვშორდები-მეთქი და
თქვენს რჩევას ავყევი...

„ი, თურმე რას გამოუქცევია მთაში, მე კი მეგონა, სიყვარული მო-
არბენინებდა!“ — გაიფიქრა მერაბმა და გულში ერთბაშად ისეთი სიცარი-
ელე იგრძნო, თითქოს ზედ მარწუხები მოუჭირეს, ნელ-ნელა ქვემოთ და-
ჰყვნენ და სისხლისაგან წვეთ-წვეთობით გამოსწურესო.

— ექ თქვენი იმედით ჩამოვედი... თქვენი და რევაზის იმედით... ბო-
ლოს და ბოლოს, ამხელა კაცები ხართ და...

— მე არა ვარ დიდი კაცი, მაღონა. თანამდებობაზე არც ვფიქრობ.
ზეგიდან კოლმეურნეობაში მივდივარ სამუშაოდ.

— ნუთუ მართლა?! ვერ დავიგერებ!

— სრული სიმართლეა!

— მერედა, რის გულისოვის?.. რევაზმა მითხრა, ტრესტის მმართვე-
ლის მოადგილის თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ არ დაეთანხმაო.

— ეგეც სრული სიმართლეა. მე კარიერისტი არა ვარ.

— ახ, კარიერისტი არა ხართ! მაშ, რა ბედენად გინდათ დისერტაცია?!
თქვენი მიზანია, ჯერ დოცენტი გახდეთ, შემდეგ კი დოქტორი. ეგეც კარი-
ერა არ არის!?

— ვის როგორ ესმის!

— მე, მაგალითად, ასე მესმის, რევაზი დღეს უფროსის მოადგილეა,
ხვალ შეიძლება მმართველი და უფრო მეტიც გახდეს... თქვენ სადოქტო-

როც რომ დაიცვათ, ლექციები უნდა იკითხოთ... რით აჯობებს ფერწერული
ცხოვრება რევაზის ცხოვრებას?

— მაგაზე არ მიფიქრია. არც ვინმეს ვეჯიბრები. კაცია და გუნებაო.
მე არჩევანი კარგახანია გავაკეთე. ოქვენც, როგორც ვატყობ, გაგიკეთე-
ბიათ არჩევან!

— ამ სიშორეზე რომ წამოვედი, არჩევანია, მა რა არის?! — მაღლნამ
მრავალაზროვნად გაიღიმა. — სხვათაშორის, რევაზს დღეს ჩემთან მოს-
წრებული ხუმრობა გამოუვიდა: მერაბი კანლიდატობაზე, ღოქტორობაზე,
მეცნიერებათა აყადემიის ნამდვილ წევრობაზე ოცნებობს და კოლმეურნე-
ობის ნამდვილი წევრი კი ხდებაო!.. ჰა-ჰა-ჰა! — გადაიკისკისა ჭალი-
შვილმა. — მისგან სწორედ არ ველოდი! ისე, უნებლიერ გამოუვიდა!.. უჰ,
რამდენ ხანს ვიცანოდით!.. ხომ ფხიანად უთქვამს?.. ოქვენ რა, რატომ მო-
იღუშეთ? გეწყინათ განა?.. ღმერთია მოწამე, რომ თქვენი წყენინება არ მი-
ნდოდა!.. რომ სულითა და გულით კარგს გისურვებთ!..

— ყველაფერი გასაგებია, მაღლნა... მეც ყოველივე კარგს გისურ-
ვებთ... მშვიდობით! — კბილებში გამოსცრა მერაბმა, შლიაპა დაიხურა და
ოთახიდან ისე სწრაფად გავარდა, თითქოს მდევრები მისდევენო.

მივიწყებული იები კარადის ფეხთან დასცვენოდა.



შალვა შეგლაპე

ი ნ დ ი ე თ ხ

წამოდექითო,
რად ხართ უჩუმრად,
გადასძახებდა მთებს ევერესტი, —
ცალი ხელით რომ ზეცა უჭირავს
და მეორეში მთელი ხმელეთი.
მხარე ლამაზი, როგორც ოცნება,
და უსასრულო, როგორც ზღაპარი,
ლექსით შეამყეს მისმა მგოსნებმა,
გულში რომ ტრფობის ენთოთ ლამპარი.
მაშ რად ტიროდნენ, ველნი, მთა-გორნი,
კაცი ცხოვრებას რამ განათვისა?
რაზე ბორგავდა გული თაგორის,
როგორც ტალღები დიდი განგისა?
რამ მოიტანა ყოვლად ტიალი,
უკუღმა ბრუნვა საუკუნეთა,
რისთვის ეს მიწა დოვლათიანი
მის კეთილ მთესველს ვერ აპურებდა?
მაგრამ ცხოვრება ასე ვერ ივლის,
სხვა სურნელება მისკენ იჩქარის.
წელში სწორდება ბედით დევნილი
ხალხი მამაცი და უშიშარი.
და მან იხილა ქვეყანა წინსვლის, —
კრემლის შუქს ცქერა გასდევნებია.
დიდი გულის რომ გუგუნი ისმის,
იგი ბჟილაის მარტენებია.

დუღს, ჩინჩხალს ზეცას აფრქვევს ფოლადი,
მე ის გამსავასე განგის დინებას.

იმან ნათელი იხმო მყობადი

და „ჰინდი — რუსის“ ძმობა ინება.

ხელგაშლით შეხვდა ნერუ ნიკიტას,
მათ დიდ საქმეთა ჩვენც ვართ მცნობარი.

თუმც ჰიმალაის აქით-იქით ვართ,
მაინც ძმები ვართ და მეგობარი.

ჩვენ არც გვქონია რამ გასაყოფი,
სიყვარულის და მშვიდობის გარდა.

თორემ სიცოცხლედ ჩვენი ცაც გვყოფნის
და მიწა, ასე რომ მოვიქარგავს.

ე და მზეს უმზირა

მწვანე ეზოში,

ლობის იქით,

სულ გზის ნაპირად,

ტანჯანიერი მაღლიანად

დგას მზესუმზირა.

ახლად გაფურჩქვნილს

თავს გვირგვნი

ადგას ყვითელი,

მზისა და მიწის სიყვარულით

ნაჩუქურთმევი.

ალბათ, იმიტომ უმზეობას

ვერ უძლებს გული,

ქვეყნის მნათობზე გაგიუებით
შეყვარებული...

დღე ერთია და მეც ამ ქუჩით
ასჭერ ჩავივლი,
ის კი მთაგირს მიყრდნობია
ახალ აივნის.

ალანთო გული, სიყვარულის
ჩამოჰკრა სიმებს.

ვით მზესუმზირამ, მეც მზის შუქი
ვერ ავიცდინე.

აქეთ მოვყევარ ყველა ძალას,

ქვეყნად რაც კია,

მეც სიყვარულმა მზესუმზირად
გადამაქცია.



შოთა მარასახავილი

პ ე დ ე ლ ი

გერონტიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ნიაღვრისაგან შენგრეულ კედელს და ბრაზმორეულმა მიწის გადასაყრელად მოღვრებული ნიჩაბი ქვებზე დაანარცხა. მოთმინების ფიალი აევსო გერონტის, გული ყელში მიებჯინა. ვარიურაჟიდან მოყოლებული ამ ქვებსა და ტალახს ეჭაჭურება, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ააწყო საქმე. ან კედლის ამოშენებისა რა გაეგება საანგარიშოს ჩხაკუნში გაწაფულ ბუღალტერს. ნიაღვრისაგან შეტანილი ღორლის გამოზიდვა ძლიერ, მოახერხა ოთახიდან, ეს არის და ეს.

გერონტიმ პაპიროსს მოუკიდა, ფარლალალა ოთახს ზურგი შეაქცია, ხელმარცხნივ ოდნავ დაქანებულ ფერდობს მიაშტერდა ამღვრეული თვალებით და ხელები ისეთნაირად მომუჭა, თითქოს უნდა ეძეროს და სულერთიანად გადათხაროს. სწორედ ამ ფერდობიდან გაღმომსკდარი ნიაღვარი ეკვეთა წუხელ გერონტის სახლის კედელს გაშმაგებით. ტალახითა და ღორლით გაივსო თახი, წყალი კოჭებამდე დადგა.

...შუალამე კარგახნის გადასული იყო. უეცარმა გრუხუნმა თვალები დააჭუეტინა სალომეს. გერონტი უფრო გვიან შეიშმუშნა. მთელი სალაშო საანგარიშოს რგოლებზე ათამაშებდა თითქბს, რაღაც ქათალდებს ჩაკირკიტებდა და დაღლილს ღრმა ძილით ეძინა. სალომეს თავზარი დაეცა, მოულოდნელობისაგან გაოგნებული უაზროდ დაბორიალობდა წყალში და იცრემლებოდა. თავდაპირველად გერონტიც დაიბნა, უცემ ვერაფერი მოისაზრა, ვერც ცოლის სანუგეშოდ მოქმებნა სიტყვა და ვერც ხელი გაენდრია. მერე კი, როცა წყალმა საგრძნობლად იმატა, თითქოს ლოგინში ყინულის ნატეხები ჩაყარესო, წამოხტა, კარებს ეძერა, გააღო და დაგუბებულ წყალს გზა მისცა...

რის ვა-ვაგლახით მოამშრალა სალომემ იატაკი. ავეჯი დერეფანში გამოიტანეს. გათენებას დაღვრემილი შეხვდა გერონტის ოხახი. დილით

უკვე ოლარ წვიმდა და ნაავღრალი, მუქი ღრუბლებიც აირივნენ. მდგრეთ უკვე
ნახევრად დანგრეულიყო და ქარს ყვითელ ფოთლებთან ერთად ბრძოლის შემთხვევა
ბუსუსის ამშლელი სუსხი შეპქონდა.

კვირა დღე მაინც არ იყოს, ჩავიდოდა გერონტი საბჭოში, აუხსნიდა
მდგომარეობას და დაეხმარებოდნენ. თიოქოს ხვალმდე არც თუ დიდი
დროა, მაგრამ შემოდგომის მიწურულს, როცა მაღალ მთებზე უკვე თოვ-
ლია, ძნელია ფარლალა ოთახში ღამის თევა. ესეც არ იყოს, ხალხი ჭრე-
ლია, ვინ რას იტყვის. ზოგიერთმა, შესაძლოა, დასცინოს კიდევ გერონტის.
განა პირველად მიეხეთქა ფერდობიდან გადმომსკლარი ნიაღვარი კედელს?
რატომ ერთხელ მაინც არ მოუგიდათ აზრად ცოლს თუ ქმარს, ფერდობის
გადათხრა და გადასწორება, ან უბრალოდ კედლის გასწვრივ მომცრო
არხი მაინც გაეჭრათ, რომ წყალი სხვა გზით წასულიყო...

გერონტიმ ისევ კედელს შეხედა. რა უნდა გააკეთოს მარტოხელამ,
სუსტი დედაკაცის შემყურემ...

ეზო კი დიდია და ირგვლივ მეზობლები ცხოვრობენ, მაგრამ გერონ-
ტის მათთან არ მიესვლება, ხელის გამართვას ვერავისა სთხოვს. ან რა პი-
რით უნდა მივიდეს, როცა ყველა მომდურებული ჰყავს. მუდამ ცხვირა-
შეული დადის და სულ იმის ცდაშია, როგორმე მეზობლებთან წაკინჯლა-
ვების საბაბს მიაგნოს, რაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ენაღრძო კა-
ცისათვის. არც ცოლი ჩამორჩება ქმარს, ისიც ენაჭარტალაა და მიუკარები.

იშვიათად თუ შეაღებს ვინმე მათი სახლის კარებს, ისიც საგანგებოდ
დაპატიჟებული, ან სოფლიდან შემთხვევით ჩამოსული მათვე ნათესავი.
მეზობლებს უცხოს თვალით უყურებენ, გაურბიან მათთან სიახლოვეს.
ჩვეულებად მოსდგამთ უმიზეზოდ იყალმაყალი.

აი, თუნდაც მოხუცი ელისაბედი. ენადაშაქრული ქალია, ხელის გუ-
ლით სატარებელიო, სწორედ მასზე ითქმის. ამას წინათ სულ ტყუილუბ-
რალოდ წაჩხეუბა სალომე. მგონია, ნოხები გაუბერტყავს ელისაბედს ეზო-
ში. სალომე სადღაც ყოფილა, სარკმელი დარჩენოდა ღია და, რომ დაბ-
რუნდა, უნდა გენახათ, რა ალიაქოთი ატეხა, სახლი მტვრით ავსებულა, გა-
ნგებ გავეთეთო და, ვინ იცის, რა არ თქვა...

ნესტორს რაღად ატკინეს გული, ნეტავ რა დაუშავა ან ცოლს, ან
ქმარს? ნესტორი ხელობით კალატოზია, ზაფხულის დამდეგს სამზარეუ-
ლოს კედელი გასწია ოდნავ განზე და შურით აღიგსნენ. ვის არ მისწერეს,
რა აღარ უხიმანდრეს, რომ დაენგრევინებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ,
რაღაც ნესტორი უნებართვოდ აგურსაც არ შეხებია.

გიორგის ხომ წელიწადზე მეტია ხმას არ სცემენ. გიორგი წვრილშვი-
ლიანია, ჯუჭილი გერონტი კი ვერ იტანს ბაგშვების ერიამულს. რამდენ-
ჯერ დაუკურენიათ აეივჭოვებული ბაგშვები ცოლს თუ ქმარს. გიორგი დი-
ლიდან შეღამებამდე ქუჩის ბოლოში, ფიცრით ნაგებ ბუღრუგანაში ჩის და

ფეხსაცმლებს აკერებს. უკვირს და ვერ გაუგია, განა რას უშავეჭრის მომავალი...
თი ციცქა ბავშვები, რომ იმათი გულისათვის დამდურნენ და აღარ მეზობლობენ...

სალამობით, როცა ჩამავალი მზე ოქროსფრად ავარიაყებს ფოთლებაცენილ ხეთა კენწეროებს. ეზოში ხმაური მატულობს. სამსახურიდან დაბრუნებული მეზობლები ერთმანეთს გადასძახებენ, მოიკითხავენ. ზოგიერთის ოთახში ჭიდრაკის დაფა გაიშლება, ზოგიც ნარდს აახმიანებს. არც სუფრაზე მიპატიუებაა მეზობლობაში იშვიათი შემთხვევა. თითო ჭიქის პირობით ზოგჯერ შუალამემდე შეჰყვებიან და სიმღერასაც დააგუგუნებენ. ხოლმე. ამ საერთო მეზობლურ მხიარულებაში მხოლოდ გერონტის ოჯახი არ იღებს არასოდეს მონაწილეობას.

ღამით ყველაზე აღრე გერონტის ოჯახში ქრება შუქი...

გერონტიმ საათს დახედა და მოიღუშა. შემოღვომის დღე პატარაა, შალე გაილევა, როგორც მდუღარეში ჩაგდებული საპნის ნაჭერი, და ღამის ბინდი ნანგრევში ქურდივით შეიპარება.

მეზობლები კი ყველაფერს ხედავენ. ნიაღვრისაგან შენგრეულ კედელსაც, დერეფანში გამოყრილ ავეჯსაც და ქვებზე დანარცხებულ ნიჩაბსაც...

გერონტიმ პაპიროსის ნამწვი გადააგდო და ცოლს გასძახა:

— მოდი, ქალო, ეს ქვები მაინც გადავალაგოთ ცალკე!..

— კი მაგრამ, კედელს რას უპირებდე?!.

— ხვალამდე ვერაფერს გავაწყობთ... — უიმედოდ გადახედა კედელს გერონტიმ.

— ამაღამ გარეთ უნდა მეყაროს ყველაფერი?! — აიღეწა სალომე.

— მე ვთქვი და გათავდა. თუ შეგიძლია, ააშენე!.. — ხმა იმიაღლა გერონტიმ და ნიჩაბს დასწვდა, მაგრამ ნიჩაბი სხვა ხელმა აიღო.

გერონტიმ მიიხედა. გვერდით ნესტორი ედგა. ხელში ნიჩაბი ეჭირა. ხმა არ გაუცია ნესტორს, ფერდობს მიუაღლოვდა ნელი ნაბიჯით და ნიჩაბი დაჰკრა. ჩუმი შრიალით ჩამოიშალა სველი მიწა. კვლავ დაჰკრა კალატოზა, უფრო ღონივრად...

გერონტი უცებ მოიღრუბლა, აღმაცერად გახედა მეზობელს. მერე დაბლა დახარა თავი და მიწაში ნახევრად ჩაფლულ, მომცრო ქვას დაუწყო ფეხის წვერით წვალება.

ნესტორმა ჩამონაშალი მიწა კედელთან ახლოს დააგროვა, გაშალა; წყლის ჩასასხმელად შუაში ამოაღრმავა და კედლისაკენ შებრუნდა. დააკვირდა კალატოზი ნანგრევს, ხელით შეეხო. ნანგრევში გამოჩრილი აგურები უნიათო კაცის მოუვლელი, ჩაყვითლებული კბილებივით მოჩანდნენ.

— რას იტყვი, ნესტორ, სულ დასჭირდება კედელს გამოცვლა?... — მოესმა უცებ ნესტორს.

ნესტორმა ვერც კი შენიშნა გიორგის მოსვლა, რომელსაც გვერდით უფროსი ბიჭი ამოსდგომიდა წერავით ხელში.
ნესტორმა ღიმილით შეხედა მათ-შეიღს.

— კადელი მაგარია, შენგრეულს თუ ამოვაშენებთ, — შერე ახლოს მივიდა მათთან, გიორგის ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და ხმადაბლა უთხრა: — აბა, გიორგი, დავცხოთ ჩვენებურად...

სალომე კარგახანს უძრავად იდგა და გასცემეროდა მეზობლებს, მერე გარეთ გამოყურილ ავეჯს გადახედა, შენგრეულ კადელს და თავშლის ბოლოთი ამოწმინდა ცრემლმორეული თვალები.

გერონტი უძრავად იდგა, ხელ-ფეხი არ ემორჩილებოდა თუ ვერ ბედავდა დამდურებულ მეზობლებთან მისვლის და გამოლაპარაკებას. ან, შესაძლოა, კაცური თავმოყვარეობა არ აძლევდა ამის უფლებას. დაინახა, განა შეუმჩნეველი დარჩა ცოლის თავშლის ბოლოთი ამოწმენდილი თვალები, მაგრამ რას იზამ, ქალია, იმის ფეხის ხმას ხომ არ უნდა აჟყვეს. ვინ დაუძახა, მოლით, მომექმარეობო. მივა და ეტყვის, როგორც მოსულხართ, ისევე წადითო, მაგრამ თქმა არ უნდა?.. ფიქრით კი ფიქრობს, მაგრამ გული ვერ დაუმორჩილებია, რაღაც თბილი ჩაეწეოთა შიგ და მთელ სხეულს მოედო. ვეღარც. კოპები შეუკრავს, რომელთაც სხვა დროს შუბლიდან ვერ იცილებს, რატომლაც სარქმელიც ყველამ გააღო. ცივა, შემოღომის სუსხია, მაგრამ მაინც გააღს მეზობლებმა ფანჯრები და გაღმოსიხედეს. ეჩვენება გერონტის თუ სინამდვილეა, ყველა ღიმილით გადმოჰყურებს...

გერონტიმ ეზოს მიმოავლო მზერა, მერე ონკანთან წაქცეულ ცარიელ ვეღროს დასწვდა და მეზობლის ბავშვს გასძახა:

— მიურბენინე, ბიჭიკო, დეიდა სალომეს...

— რაო, გერონტი, რა თქვი? — უცებ წელში გასწორდა ნესტორი.

— აგერ ბავშვს გამოველაპარაკე, ნესტორ, — მერე უფრო ახლოს მივიდა მასთან, გიორგისაც გადახედა და, თითქოს ეველრებით, ხმადაწევით უთხრა: — მე რაღა ვაკეთო, კაცო, მითხარით, ხომ იცით, ამაგებისა არაფერი გამეგება... — და ხელი ნესტორის ხელსაწყობისაკენ გაიშვირა.

ნესტორს გაედიმა. გიორგიმ გაოფლილ შუბლზე მოისვა ხელი და გარონტის გადავლაპარაკა:

— შენ, ჩემი გერონტი, ხალხის მიღება იყისრე. აბა, გახედე!

გერონტიმ გაიხედა. ვისაც კი აგურის აღება მაინც შეეძლო, მათვენ მოლიოდა. გერონტიმ აღარ იცოდა, რა ექნა. უფრო დააფაურა და დაბნია კიდევაც ხალხის სიმრავლემ. ხელს ართმევდა მეზობლებს, ღიმილით ესალმებოდა და გრძნობდა, რომ ასე ხმა არასოდეს აკანკალებია.

ცამ ღრუბლები გადაყარა და დასავლეთისაკენ ფეხადგმულმა შზეშ სუსტი შუქი მოჰყინა შრომადქცეულ ეზოს.

კადელი თანდათან შენდებოდა.

კიბეზე შემდგარი ნესტორი მარჯვედ ატრიალებდა ხელში ქაფჩას.

გიორგის სხვებიც აჰყოლოდნენ და სახლის უკან დაქანებულ ფერები დასახულდნენ და სახლის უკან დაქანებულ ფერები დასახულდნენ, რომ მომავალში ფერები დასახულდნენ არ ყოფილიყო. გერონტიმ პაპიროს მოუკიდა, მერე გიორგის გაუწოდა სავსე კოლოფი, ხომ არ მოსწევო. გიორგის გაეცინა, რაღაც თვითონაც აბოლუტულად...

მზე მთათა კალთებს ამოეფარა.

ერთხანს კიდევ ბუუტავდა დღის სინათლე, მერე ისიც მიიღია სანთელივით და გაქრა. გერონტის სახლის ნანგრევებიდან არ შეპარულა ღამის ბინდი.

გერონტიმ სიამით გახედა კედელს, მერე მეზობლებს, რომლებიც უკვე წასვლას პირებდნენ და გულში რაღაცამ გაჰკენწლა. ეს რა დაემართა აგერონტის, როგორ მოუვიდა, მოვიდნენ, დაეხმარნენ, ამხელა საქმე გააკეთეს, თვითონ კი ვერაფერი მოიფიქრა ამ სიკეთის აღსანიშნავად. დაიბნა გერონტი, უბრალოდ მადლობის თქმაც კი გაუჭირდა, სინანულმა თვალები დაბლა დაახრევინა... ამ დროს სალომეს ხმა მოესმა, მაშინვე მისი ხელის შეხებაც იგრძნო.

— სუფრა გაშლილია, გერონტი, — ხმადაბლა გადაულაპარაკა. ქმარს, მერე მეზობლებს მიმართა: — მობრძანდით, თითო ჭიქით დაგვლოცეთ...

ნესტორი შეჩერდა და გიორგის გადახედა, თითქოს რაღაც ჰკითხეს უსიტყვოდ ერთმანეთს, მერე ხელსაწყოებს დასწვდა, ქაფჩა ნაფოტით გაფხიყა და შვეული აკეცა.

გერონტის უცებ სუნთქვა შეექრა, გული დაუშმიძლა.

„ვაი თუ არ შემოვიდნენ, არაფრად ჩამაგდონ!..“

ნესტორმა ხელსაწყოები გიორგის ბიჭს გაატანა, მერე ფართოდ შეაღია გერონტის სახლის კარები და ომახიანდ დაიგუგუნა:

— აგაშენოთ!..

გერონტიმ შვებით ამოისუნთქა, თითქოს ყელში ვიღაც უჭერდა და უცებ ხელი შეუშვაო. სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე წითლად შეიღება ჭიქები.

იმ ღამეს გვიანობამდე არ ჩამქრალა გერონტის ოჯახში შუქი. სუფრის აშლისას მასპინძელმა წამოიწყო ღვინომორეული ენით:

...მეზობელო კარისაო,

სინათლე ხარ თვალისაო... .

მას სხვებიც აჰყვნენ.



ჯემალ ჯაყალი

ტ ა ხ ა ბ ე რ ი

ეს — კახაბერი ღიდია ისე,
როგორც მხარგრძელის ფიცხი ბუნება,
როგორც სოსლანის სიდარბაისლე,
როგორც ჭოროხის აბუბუნება.
მას ბევრი ახსოვს მწარე და ტკბილიც,
საბეჭნიეროც, საბედისწეროც.
აქ გამკრთალიყო თვალთაგან ძილი,
აქ ქარავნები გაიბა წეროდ,
აქ დაბანაკდა ოდეს ასკერი,
აქვე დაიმსხვრა მისი შიზანი.
აქაც მოსულა უამთა აღმწერი
ჰავა უქია შავიზლვისანი...

დღეს კახაბერი ღიდია ისე,
როგორც მზისპირი, როგორც ცისკარი,
როგორც გლეხეკაცის სიდარბაისლე
და სამასპინძლო დარბაზის კარი.

რ ა ღ ა მ ა ვ ა ვ ი წ ყ ე ბ ს

რა დამავიწყებს ამ დღეებს წათელს
და ნაძვნარების შრიალა ნიავს,
რა დამავიწყებს ჩემს გულის სათქმელს,
რომელიც, კარგო, გაგანდე გვიან,
რომელიც გულის შემონათებად
კამკამა თვალში ჩაგვიდგა ერთად.

შენა ხარ ჩემი ღამის გათევა,
 შენა ხარ ჩემი ზლაპარი ფერთა,
 შენა ხარ ჩემი საუნჯე გულის,
 დარღიც შენა ხარ, ფიქრიც შენა ხარ.
 მთებს დაედება ბურანის რული
 და სულს ეჭვევი ზლაპრულ ვენახად.
 და სულს ეწნები ზლაპრულ ლაანად,
 წინ ბეღნიერი ცხოვრება გველის
 და შენ გვკუთვნის, კარგო, მთლიანად
 ჩემი სიცოცხლე დაუდგრომელი.
 ჩემი გული და სიმაღლის ხილვა
 და ჭაბუკური ჩანჩქერის ბროლი,
 შენია გულში საღმე თუ თბილა,
 ოცნება, როგორც ცისარტყლის ზოლი...
 რა დამავიწყებს ამ დღეებს ნათელს
 და ნაძვნარების შრიალა ნიავს,
 რა დამავიწყებს ჩემს გულის სათქმელს,
 რომელიც, კარგო, გაგნდე გვიან.

გათლიან ფიცარს

ეძიებდე და ჰპოვებდე.

თვალს შეაწედენენ აშოლტილ ციცალს
 და მოუსმენენ შემდეგ მეთავეს —
 ხეს მოპკვეთავენ, გათლიან ფიცარს
 და ზედ ჩუქურთმას ამოპკვეთავენ.
 ისეთ ჩუქურთმას ამოპკვეთავენ,
 რომ ქვეყნად ყველას მოეწონება.
 მაგრამ...

გულის ფიქრს გამოჰყეტავენ —
 სხვა სილამაზეს ეძებს გონება.
 და სიყვარულ აფრის აშვებით
 სწვდება, ესწრაფვის გულის საფიცარს
 და ხელმეორედ უსტაბაშები
 სასიყვარულოდ გათლიან ფიცარს.
 გათლიან ფიცარს და ასე მიდის
 დაუსრულებლივ წვა და ძიება,
 ვიღრე რიგებით დიდების მინდი
 და უკრეფიათ ზეცა იებად.

მთის წყაროსავით
ავდიდდი
და
ბარად მოვდივარ.
— შლამს ნუ გაიჩევ! —
თავს ციცალი გაღმომქანკალებს.
შლამი რა არის?!
აზვირთებულს,
ბარად მომდინარს
შენი თვალების
სილაჟვარდე ამაკამქამებს.



გზარ ჭელიძე

ო ძ რ თ დ ი ლ ა

ახლა მე შენზე ვფიქრობ, სიყვარულზე, სიცოცხლეზე ვფიქრობ. ჩვენ
ოთხი ვართ აქ: მე, სანგარი, ავტომატი და ოქროლილა.

იცი, რა არის ოქროლილა? აქაური ყვავილია, ძალიან ლამაზი და მო-
რცხვი.

ლამაზი ბევრი რამ არის აქ, მაგრამ ვიცი, შენ ყვავილები გიყვარს
და აი, მეც..

...ვდგავარ საზღვარზე ავტომატმარჯვებული და ვესიყვარულები
სანგართან თითქოს საგანგებოდ ამოსულ ოქროლილას.

შენ, ალბათ, სანგრებისა და ავტომატის ხესნება გაშფოთებს, მაგრამ
ნუ, ჩემო კარგ:

მე იმიტომ ვიღებ ავტომატს, რომ არასოდეს შეშფოთდე შენ, არასო-
დეს შეშფოთნენ ადამიანები...

მზე ჭირვებულად აჭერს; ოქროლილი უდარდელად აცაცუნებს პატა-
რა თვალებს. მას უხდრია მზე. მას უყვარს სიოს ალერსი.

შენც ხომ გხიბლავს მზე და ალერსი? ჰოდა, ძალიან გგავს შენ ოქრო-
ლილა.

...იცი რა ხდება? ჩვენს ოთხეულს მეხუთე წევრი ემატება, როცა სან-
გარში მოულოდნელად შენი წერილი მოდის.

მე ხარბად, მონატრებული თვალებით ვეფერები შენ ბარათს, შენი
ლამაზი თითებით გამოკვეთილ ასოებს. გული გრძნობს, რომ შენ ყოველ-
თვის სიხარულით წერ ჩემს სახელს.

უსაზღვრო არაფერია ამ ქვეყანაზე, მაგრამ დახე, შენი წერილით მო-
ფრენილ სიხარულს საზღვარი ვერ მოვუძებნე. ახლა უფრო ლამაზი მო-
მეჩვენა ოქროლილა და ოქროლილას გარეშევ შენ.

...ოქროლილა, ოქროლილა! იგი კვლავ მორცხვად ახამხამებს წერტილითავა
მებს. თითქოს თვალებს მიპაჭუნებს, თითქოს მეჩურჩულება იმას, რასაც
შენი ბარათის სტრიქონები ამბობენ: ადამიანო, ხუთეულს გამოაცალე ორი
წევრი — სანგარი და ავტომატი, აჰყევ სიცოცხლის სიმღერას და მიალერ-
სე მე...


კი, ჩემო ოქროლილავ, მე მესმის შენი, ძალიან კარგად მესმის, მაგრამ
ესმის კი ყველას ეს?



ଗୀତ ଜାଲଦିବାହାମିଲି

୩ ୩ ୧ ୯ ୧ ୦

ଏ ପିଲି ମିଲି ଫିଜରି ଲା ଗାନ୍ଧିଲା,
 ଏ ପିଲିବ ଏ ପିଲି ମିଲି ପିଲିବରେବିଲି ମିଲିବି.
 ମାଗରାମ ଶେଖଦେବି ଶେମତ୍ତେବେବିତ କାପି ଲା
 ତଵାଲ୍ଲେବି ଗେତ୍ତୁପିଲି କାପିଲବାସ ମିଲିଲା.
 ଶେଖଦେବି କାପି ଲା... ଗିର୍ଭଦିଲ ମାର୍ଖବେନାଲ, —
 କେଲି ଗାରିତମେବି, ମର୍କେରିଲି ଗିର୍ଭାବ ଲେରିଲିଲି.
 ମାଗରାମ କାପିଲବା ମିଲି ଏ ଗାନ୍ଧିରା,
 ରାଧଗାନ୍ଧ ସିଯାଲିଦେଲ ଅମିନ୍ଦେବ ତଵାଲ୍ଲେବିଲି.
 ଚନ୍ଦ୍ରଗାନ୍ଧ, କିରିଜିତ, ସିକ୍ଷେତିଲ ଥିଲିନି
 ତଵାଲ୍ଲେବିଲ ଏରିତକେଲ ନାହିଁ ଗ୍ରୂପିତା,
 ରାମ ଫିଜରି ଅନନ୍ଦ ଲା ଗର୍ଭନିବା ଶେନି
 ଗୁଣ୍ଡିଲାରା କାପି, ବିତ ମେଗନିବାରି.
 ତଵାଲ୍ଲେବି... ଓ, ଏ ଲୁଲିଲ ସାରିକେଲି
 (ବେଳେ ଉତ୍ତିଷ୍ଠାନ ତଵାଲ୍ଲେବି ମଗଲିନ୍ଦିବମା)
 ଯତ୍ତାନ୍ତରେରି ହାନି: ସିପିଲିପିଲି ଏମିଲି,
 ଲେବିଲାଫେରି, ଲୋଲିଲିପି, କାତ୍ରିଲିଲିନ୍ଦିବାପି...
 କିନ୍ତୁ, ମାତ୍ର ତା କି ଏମିକାରିବ ଅମିଲିଲି.
 ତଵାଲ୍ଲେବି ଫିଜରେବି ଲା ପାଲିଲି,
 ମନଦି, ମି କାପିଲା କାପି ଗୁମାରିଖିଲା,
 ପିଲି କିମ୍ବାନାଦ ପିଲିନିଲା ତଵାଲ୍ଲେବିଲି ଲାଲି!



ნოღას მოღვაწე

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

გზა ფართო იყო. ორივე მხარეს მაღალი ხეები გასდევდა. მარცხნივ ლამაზი ქვის შენობები იდგა და ეზოებში ხეხილი იყო გაშენებული. ალაგ-ალაგ ჭიშკრის წინ მოხუცი ქალები ყვავილებს ყიდლნენ. გზა მარჯვნივ უხვევდა, შემდეგ ფერდობი იწყებოდა და ფერდობზე იყო სასაფლაო.

მზე გადახრილი იყო. მაღალი ხეები საამო ჩრდილს ფენდა. გზაზე კაცი არ ჭაჭანებდა. ყვავილებს, მზეს რომ არ დაეღრო, მოხუცი ქალები შეალს პეტრებდნენ. ზოგს ხელსაქმე გამოეტანა და ქვაზე ჩამომსხდარი მუშტრის მოლოდინში თავს იქცევდა.

ვაჟი საფლავთან იჯდა და ყვავილებს ძირს უწევდა. ყვავილები ამ რამდენიმე დღის წინათ დარგო და უკვე ტანი ეყარა. ვაჟი მთელ დღეებს მარტორბაში ატარებდა. იყო დრო, მისებრ ბერნიერი არავინ ეგულებოდა, მაგრამ ახლა მისი ერთადერთი სიხარული აქ განისვენებდა. მან იცოდა, რომ ქალიშვილს უყვარდა ყვავილები და მის საფლავზე ყვავილები დარგო.

ნიავი ახლად ამოყრილ კოქრებს ეთამაშებოდა.

გზაზე ჩვიდმეტიოდე წლის გოგონა გამოჩნდა. ჩითის კაბა ეცვა. ქვედა ტანი წელთან აეკეცა. კალთა წინსაფარივით ერხეოდა და მზისგან დამწვარი მუხლისთავები მოუჩანდა. მკლავებიც მზისგან ჰქონდა დამწვარი. საგულდაგულოდ აძიგნილი თმა აეკრიფა და კიკინები გაეკეთებინა. არავის ყურადღებას არ აქცევდა, მიაბიჯებდა ფოსტლების ფლარტუნით.

ვაჟმა გოგონას პირი მოარიდა. დღეს მერამდენეხერ დაინახა, მაგრამ არ უნდოდა დაკვირვებოდა, სცოდნოდა, როგორი იყო ის. შეიძლება მას ჰქონდა შავი, დიდრონი თვალები, მრგვალი, თეთრი ტუჩები და მოშვილდული წარბები. შეიძლება ის იყო ძალზე ფაქიზი, ვით ახლად ამოსული მთვარე, მაგრამ ვაჟს არ უნდოდა მისი დანახვა.

მეორე დღეს კიკინებიანი გოგონა ისევ გამოჩნდა, იმავე კაბითა და ფოსტლებით. ვაჟი ისევ საფლავთან იჯდა და ყვავილებს ძირს უწევდა.

ნიავი მაღალ ხეებს არხევდა. იდგა საამო ჩრდილი და ყველაფერი ჭამურავდა. ვაჟმა უნებლიერ შეხედა კიკინებიან გოგონას და თავი აღარ დაუხრია. გოგონა უცრივ შეხერდა, ცალ ფეხზე ფოსტალი წაიძრო და გადმოაბრუნა. ეტყობოდა, ქვა ჩავარდნოდა. როცა ფოსტალი მიწაზე დააგდო და ფეხი წადგა, ვაჟისკენ გაიხედა. მას თვალები სევდიანი ჰქონდა, მაგრამ იმავე თვალებში ფარული ლიმილი გამოკრთოდა. გოგონამ კიკინები შეარხია, თავი ამჟად გაიქნია და შებრუნდა. ვაჟმაც პირი მოარიდა, მაგრამ გაიფერა, კარგი გოგონააო.

ვაჟი უცრიად გაწითლდა და შერცხვა, რომ გაიფიქრა, კიკინებიანი გოგონა კარგიაო. ამით თითქოს საკუთარი გრძნობები შეურაცხუო.

გავიდა ორი დღე. კიკინებიანი გოგონა კვლავ გამოჩნდა სასაფლაოს ეზოში. წამით შეხერდა და ვაჟისკენ გაიხედა. მზე თვალებში უჭვრიტინებდა. ვაჟი ვერ დაინახა და ხელით მოიჩრდილა. მას ისევ უზრუნველი სარე ჰქონდა. ბაგეზე ლიმილი გაეფინა, ტანი შეარხია და ჩაიმუხლა. ყვავილებით კალთა აიგსო. თავისთვის ლილინებდა. მერე ეზო სირბილით გადაჭრა. გზის პირას შეხერდა და ვაჟს მოუხედა, გაიკრიჭა, ყვავილებიანი ხელი დაიქნია და კვლავ ფოსტლების ფლარტუნით გაიქცა.

ვაჟი გამოერკვა. „რატომ უყურებებ?“, გაიფიქრა მან და მყისვე შებრუნდა. ისევ შერცხვა თავისი საქციელისა და, არაფერზე რომ არ ეფიქრა, ყვავილების მორწყვა დაიწყო. წყალი ქვემოთ იყო და ვედროოთი ამოჰერნდა. საფლავზე მიწა შესწორა და, როცა მუშაობას მორჩა, გაურკვეველი აზრები უტრიალებდა. ერთხანს საფლავთან ჩამოჯდა, მუხლი გამართა. მერე, როცა მზე ჩავიდა, გზას დაჰყვა. აქა-იქ ოთახებში სინატლე ეჩოო. მოხუცი ქალები გაუსალებელ ყვავილებს წყლიან ვედროში აწყობდნენ. გზას მაღალი ხეები გასდევდა და სალამოს ბინდში იძირებოდნენ. კიკინებიანი გოგონა აივანზე იდგა. მაგიდაზე სარკის ნატეხი ედო და იცქირებოდა. გოგონას კიკინები ზედმეტად ეჩვენებოდა და სარკეში თავისი თავი არ მოსწონდა. ვაჟი რომ შენიშნა, სარკე წააქცია და ტუჩები აიბზუა. ვაჟმა ეზოს ჩეარი ნაბიჯით ჩაუარა, თითქოს ვიღაც მოსდევდა და უნდოდა გაესწრო. მერე უკან მოიხედა და შენიშნა, კიკინებიანი გოგონა ჭიშკარს მისღომოდა.

არავინ იცის, რას ფიქრობდა გოგონა. შეიძლება ის უბრალოდ ვაჟს თანაუგრძნობდა, როცა მარტო იჯდა საფლავთან. ისიც შეიძლება, ვაჟის ვინაობა აინტერესებდა.

ჰინ იცის...

მეორე დღეს გოგონას თმა სწორად დაევარცხნა. წითელი წალები ეცვა და მზემოკიდებული მუხლისთავები არ მოუჩანდა. სასაფლაოს ეზოში ჩავიდა. სიარულში მოკრძალება ეტყობოდა. ვაჟისკენ არ გაუხედავს. ვაჟი ყვავილებს რწყავდა. გოგონამ ეზო გადაიჩინა და ბუჩქებთან ჩაცულება.



კალთა ყვავილებით აივსო, შეკრა და ხელი წინ გასწია. მერე ყვავილების უნისა და უქმაყოფილოდ გადააგდო. გოგონამ მოიწყინა. იქნებ, იგი შეწუხდა, რომ ყვავილები დაკრიტა, ან იქნებ ყვავილები ლამაზი იყო, მაგრამ არ აქმევდა სურნელს. ვაჟს ალმაცერად გადახედა. მისი თვალები სინაზესა და სიყვარულს აფრქვევდნენ. გოგონა გააჭირა ვაჟის ცქერამ, შებრუნდა და ზურგით გაჩერდა.

ვაჟმა შენიშნა, რომ გოგონას მართლაც შავი დიდრონი თვალები ჰქონდა, მრგვალი ტუჩები და მოშვილდუღი წარბება. მართლაც ახლად ამოსულ მოვარესავით ფაქიზი იყო, მის გარშემო კი ყვავილები საამო სურნელს აქმევდა.

გოგონა იდგა მარტო, მაღალი ხეების ქვეშ. მისი სახე და თვალები ოცნებას გამოხატავდა. მას ესმოდა ხეების ნელი შრიალი, ესმოდა ბალახებში ნიავის თამაში, გრძნობდა, რომ ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში იყო რაღაც დაუკებელი. გრძნობდა, რომ მასში რაღაც ძლიერი გუგუნებდა, ვით სიცოცხლის სურვილი, და საიდანღაც მოისმოდა წყაროს წყანწყარი. იგი არ ინძრებდა, თვალებსაც არ ახამხამებდა. იდგა გატრუნული და, თითქოს რაღაცას ელოდებაო, ბაგე უთროთოდა. უეცრად შრიალი მოესმა. ვიღაც მისკენ მიღიოდა, ვიღაც უახლოვდებოდა. ახლა იგი მისგან იქნებოდა ათი, ხუთი, სამი ნაბიჯით დაშორებული. კიდევ ერთი და, გოგონამ სწრაფად მიიხედა.

მის უკან ვაჟი იდგა და გაშვდილ ხელში ყვავილები ეჭირა.


ვინ იფიქრებდა, რომ ვაჟი თავხედობისათვის არ დაისჯებოდა, მაგრამ... გოგონამ ჯერ მას შეხედა, მერე ყვავილებს. სწრაფად, თითქოს გაბრაზებულმა, ყვავილებს ხელი წარტანა, ჩამოართვა და ისევ ზურგით დადგა.

ყველაფერი ისევ სიჩუმემ შთანთქა. გოგონა, თითქოს მუხლმოდრეკილი ლოცულობსო, მაღალი ხეების ტოტებში გაცრეცილ ცას შეჰყურებდა. ვაჟმა ფეხი ვერ მოიცვალა, ვერც ხმა ამოილო. იყო მხოლოდ გასულიერებული შემოგარენი და უტყვი სულიერნი.

შემდეგ ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ვაჟი გამოერკვა, თავისი საქციელისა შერცხვა და დაპირა გოგონასათვის ეთქვა — დამიბრუნეთ ყვავილები, ის, ის თქვენ არ გეკუთვნითო, მაგრამ ვიდრე ამას იტყოდა, შენიშნა, რომ გოგონამ ყვავილები მყერდზე მიიხუტა, მერე მობრუნდა და... ვაჟმა მის წინ თავი მოკრძალებით დახარა.

მერწმუნეთ, ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

მაღალი ხეები გარინდებული იდგნენ. საღლაც წყარო წყანწყარებდა, თითქოს მასაც აკვირვებდა ქვეყნის ეს საოცარი ღუმილი.



ჩასელ გამზადოვი

სიმღერა, რომელსაც დედა უძღვის!...

თამბაქოს კვამლით აავსე სახლი,
აღარ გავწყრები, ღვინოს რომ დალევ,
ნუ შემიძრალებ, ნურაფრად ჩამოვლი,
ოღონდ კი, შვილო, მომირჩი მალე.
შორს წადი თუნდაც და უცხო მხრიდან
ნანატრ წერილებს ნუ მომწერ ღიდგნენს,
ცოლად შეირთე, ვინაც შენ გინდა,
ვინც მოგეწონოს, მე ნურას მკითხავ.
ჩემი სიცოცხლე შენ შეგალიე,
გიხუტებდი და ნაბავდი თვალებს.
მოსწი თუთუნი, ღვინოც დალიე,
ოღონდ კი, შვილო, მომირჩი მალე.

ჩვეს რედაქტორებს

ვით შურისგებას ყველასგან ფარულს,
სტრიქონებს გულით დავატარებდი.
სიმღერას, როგორც ნაკრძალ სიყვარულს,
ვმალავდი, ავ თვალს არ ვაკარებდი.
ვითმენდი, როგორც მშობელი ითმენს,
რომ სუსტი პირმშო ვაჟკაცი დადგეს.
ისე ვარგებდი სტრიქონებს რითმებს,
ვით მესაათე კბილანებს არგებს.
თვითეულ ბგერას მე ყური ვუგდე,
ვარჩევდი — ყალბი ბგერა არ მინდა —

აძგვარად ვარჩევთ უკეთეს გულებს,
სტუმრებისათვის ღვინოს მარნიდან.
ვემზადებოდი სამოგზაუროდ,
ვლესდი სალებავს სულ სხვადასხვა ფერს,
როგორც ქალები ტაბასარელნი
ნოხისოვის ფერადს არჩევენ ძაფებს.
ჩემი სიმღერა ვერ ჯობნის სხვისას,
მე, შესაძლოა, ვიმღერე ცუდად.
არ ვიცი, მივწვდი თუ ვერა მიზანს,
ვთქვი თუ ველარ ვთქვი, რისი თქმაც მსურდა
ჩემს სიტყვებშია ჩემი ცხოვრება,
მე რა ვქნა, თუ არ მოგეწონებათ,
მითხარით, ჩემო რედაქტორებო,
რამ შეგაყვარათ ლექსის სწორება?
შვილს მოუაროს მშობელმა მკვდრმა,
თქვენ კი ეს ტვირთი რად უნდა ზიდოთ?
თუ რამ შესცოდა, მე უნდა მითხრათ,
მე იმას ყურებს ავუწევ თვითონ.

რვასტრიქონიანი ლექსიბი

— აგერ, იმ კაცზე რას იტყვი ნეტა?
მეგობარს მივეც ასეთი კითხვა.
მან მიპასუხა: — პირველად ვხედავ
და აღარ ვიცი, კარგი რა გითხრა.
— აგერ, იმ კაცზე რას იტყვი ნეტა? —
ახლა მეორეს მივეცი კითხვა.
მან მიპასუხა: — პირველად ვხედავ
და აღარ ვიცი, ცუდი რა გითხრა.

* * *

ყველაფრის მცოდნე ქვეყანაზე არ არის ერთიც
მაგრამ ზოგიერთს, სამწუხაოროდ, ეს არა სჯერა.
ზოგჯერ მაშინებს მე იმათი ავტორიტეტი,
ხმა გამკიცხავი და ჭიქური მრისხავი მზერა.
პუშკინს, სოქრატეს ყველაფერი არა სცოდნიათ,
ყველაფრის მცოდნე ხალხია და ხალხი იქნება,
მაგრამ ხალხის ბედს ზოგჯერ სწყვეტენ, ვისაც
ჰერნიათ,
აბსოლუტური ვიპოვეთო ჭეშმარიტება. *


* * *

ზოგჯერ ამჯვეუნად დავდივარ მარტო,
 ქარში და მტვერში მივდივარ კენტად,
 მაგრამ მახლავან და გმისლაათობ,
 გულით რომ მიყვარს იმ პოეტებთან.
 მაგრამ თქვენ, ვისაც სიტყვა არ გიყვართ,
 როგორ ძლებთ, გული როგორლა გერჩით,
 უდაბურ ველზე როცა დადიხართ.
 მარტო რომ რჩებით ქარში და მტვერში?

* * *

— უდარდო კაცო, სიმღერა შენი
 რად არის ნაზი და ცრემლიანი?
 — იმ კაცსაც, მუდამ რომ ცხოვრობს ლხენით,
 გამოსდის შვილი კაფენიანი.
 — მითხარი კაცო, გულჯავრიანო,
 ვით ააყლერე ეგ ჰანგი ტკბილი?
 — ვის გულშიც მუდამ დასტი ტრიალებს,
 გამოსდის ხოლმე უდარდო შვილი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



ლეიზ არნოლდ პოლე

მოხუცი და გიჟი

ლეიზ არნოლდ პოლმა ნორვეგიელია. იგი პროფესიით მუშა — მღარავი. მოთხრობას „მოხუცი და ბიჭი“ პირველი პრემია მიენიჭა ერთ-ერთი ნორვეგიული გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც მონაწილეობდა 700-მდე ავტორი, მათ შორის ბევრი სახელგანთქმული მწერალი.

მოხუცი ბავშვი ხელმოკიდებული მიჰყავდა. ხელი იყო პატარა, ცხელი და მიმნდობი. ბიჭუნა თავლია მიაბიჯებდა. შავი, სქელი კულულები მუბლზე ჩამოჰყოდა.

ისინი ტყვეთა გრძელი კოლონის თავში მიღიოდნენ.

ერთგან მინდორი დაინახეს, სადაც ჭოვი ძოვდა. ბიჭმა მღელვარებით აჩვენა:

— ბაბუ, შეხედე, რამდენი ცხენია!

მოხუცმა გაიღიმა:

— ეგ ცხენები კი არა, ძროხებია, შვილო.

ბიჭი დაიბადა დიდ ქალაქში და მთელი თავისი შვიდი წელი ცივი, რუხი ქვის კედლებს შორის გაატარა. მას არასკოდეს ენახა ძროხა.

მოხუცმა უთხრა:

— ისინი რძეს გვაძლევენ.

ბიჭმაც იცოდა ეს. მან დიდხანს უყურა ძროხებს, შემდეგ სლუკუნით თქვა:

— ბაბუ, მწყურია.

— ვიცი, შვილო, — უბასუხა მოხუცმა. — ჩვენ ყველას გვწყურია. გაუძელი. მალე, ალბათ, დავისვენებთ და წყალსაც დავლევთ.

ბიჭმა სლუკუნი შეწყვიტა.

შემოდგომის ჰაერი თბილი და ნესტიანი იყო. ღამით იწვიმა ულტაფილმა გუბენის გამზრალი იყო. მოხუცს ბიჭი გუბენის შორის მიჰყავდა. ბეჭედი ფეხი ჩერ არ გამზრალი იყო. მოხუცს ბიჭი გუბენის შორის მიჰყავდა. ბეჭედი ფეხი ჩერ არ გამზრალი იყო.

გზის გადაღმა ხეებს კვითელი ფოთლები სცვიოდა. ალაგ-ალაგ ფოთლები ძალიან სქლად იღო და ბიჭი ძლიერ მიათრევდა ფეხებს, რომლებიც ღრმად ეფლობოდა ფოთლების მოშრიალე ნოხში. მაგრამ მოხუცმა და-ტუქსა იგი: წესიერად იარე. როცა ფეხს მიათრევ, ქვიშა მალე ცვეთს ლან-ჩებს და ჩვრებიც შემოგძერება.

— ჰოდა, დარჩები ფეხშიშველა; — თქვა მოხუცმა.

ბიჭმა დაუჩერა და ფეხის თრევა შეწყვიტა.

ცოტა ხნის შემდეგ მან ჰკითხა:

— ბაბუ, სად არის მამა?

მოხუცმა უპასუხა:

— ის დარჩა. სამუშაოდ წაიყვანეს.

— ჩვენ ერთად აღარ ვიქწებით?

— არა.

ბიჭი ჩაფიქრდა, მერე ასლუკუნდა:

— აბა ჩვენ რატომ მივღივართ, თუ მამა ჩვენთან ერთად არ წამოვიდა?

— არ ვიცი, შვილო. ნუ მეკითხები ამდენს. ჯარისკაცებს არ უყვართ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ. აკრძალულია. თუ გინდა რაიმე თქვა, მითხარი ხმადაბლა.

— კარგი. — ბიჭი ჩურჩულზე გადაფიდა: — ჯარისკაცები ჩვენზე ბრაზობენ, ხომ?

მოხუცმა თავი დაუქნია უხმოდ.

— რატომ ბრაზობენ? ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია მათთვის. მე სულ წესიერად ვარ.

— იმიტომ, რომ ჩვენ ტყვეები ვართ, ისინი კი ჯარისკაცები არიან და გვყარაულობენ. — უპასუხა დაღლილშა მოხუცმა.

ბიჭი გაჩუმდა, შემდეგ ისევ ალაპარაკდა:

— სადაც მივყავართ, იქ მამაც დაგვხვდება?

— არა. შეიძლება მერე მოვიდეს. ნუ ფიქრობ მეტს ამაზე. ჩვენ კი-დევ ვნახავთ მას. — ნელა, დაბემშვიდებლად თქვა მოხუცმა, შაგრამ ბიჭი განაგრძობდა სლუკუნს:

— მამასთან მინდა...

— არ შეიძლება, შვილო.

— მინდა!

— არ შეიძლება. — მოხუცმა ამოიოხრა. — იარე, თორემ ჯარისკაცები წაგიყვანენ.

— არ მინდა!

— უნდა იარო.



მოხუცმა მაგრად მოუჭირა პატარა ხელზე. ბიჭმა ამოიტირა: სარიველი გილიონთავა

— ღედა სადაა?

— ცაშია.

— იქ, სადაც ღმერთი და ანგელოზებია?

— ჰო, ანგელოზებთან. კარგადაა იქ.

ბიჭი ჩაფიქრდა, მაგრამ მეტი აღარაფერი უკითხავს, მალე კი სულ დაივიწყა ეს.

მოხუცი ფიქრობდა: „ბეღნიერია. ჯერ მას არაფერი ესმის. ისიც არ იცის, რაა სიკვდილი. თუმცა მალე შეიძლება თვითონ...“

ისინი განთიადზე წამოიყვანეს. შუადლისას შევიღნენ სოფელში, რომელსაც მდინარე ჩაუდიოდა.

სოფლის ფურნე ზედ გზასთან იღგა. ახალგამომცხვარი პურის სურნელი ტრიალებდა.

ბიჭი ატირდა:

— მშია, ბაბუ.

— მოითმინე. ბანაქიდან წამოსვლისას ხომ ვჭამეთ. — უბასუხა მოხუცმა.

— მას მერე რახანია. მაშინ მე სულ ერთი ლუკმა მომცეს.

— არაფერია, მალე, ალბათ, კიდევ გვაჭმევენ. სხვა რამეზე იფიქრება შიმშილი გადაგივლის.

— არ შემიძლია, ბაბუ, მუცელი მტკივა.

— გაგივლის.

გზის გადაღმა ჭიშუ-ჭიშუფად იღგნენ სოფლის მცხოვრებლები — ლარიბი გლეხები და მდუმარედ შეპყურებდნენ ტყვევებს. გზაგვარედინზე ორი გოგონა თამაშობდა. მათ მიწაზე დიდი კვალრატები დაეხაზათ, დალფეხს ხეტებოდნენ უჯრედიდან უჯრედში და თან აგურის წითელ ნატეხს აგორებდნენ.

მოხუცის ზურგს ამოფარებული ბიჭი ემალებოდა უცხო აღამიანებს, მაგრამ როგორც კი გოგონები დაინახა, წინ გამოვიდა. გლეხები შორს იდგნენ, ხოლო გოგონები, მისი თანატოლები, უდარდელად თამაშობდნენ. შუაგზაზე ერთი წითელი ქვა ეგდო. ბიჭი სწრაფად დაიხარა და აიღო იგი.

მოხუცი შეწუხებდა:

— გადააგდე ქვა, ჩქარა.

— არა, უბასუხა ბიჭმა. — არ გადავაგდებ. ლამაზია.

— არ შეიძლება გზიდან რაიმეს ალება. მერე კიდევ ქვა იმ გოგონებისაა, არ შეიძლება წალება...

— მე იგი გნახე, — გაჯიუტდა ბიჭი. — ამიტომ ჩემია.

— სულერთია, გადააგდე. ჭარისკაცებს რომ დაენახე, მოგვლავდნენ.

მაგრამ ბიჭმა უფრო მაგრად ჩაბლუჭა ქვა ხელში.

გზამ მოუხვია და მდინარის ნაპირს გაჰყვა. მდინარე ფართო ჭყალუხვი და იგი ჩრდილოეთისაკენ მიედინებოდა.

ხეები თანდათან გამეჩერდა. გზისა და მდინარის ორივე მხარეზე ყანები გაიშალა. ქარი მწიფე პურს ყვითელ ტალღებად კეცავდა. გამოჩნდნენ პურისმკელებიც. ცხენებისა და მკელების დანახვამ ბიჭების ლროებით გადა-ვიწყა გაჭირვება.

შემდეგ ისევ ასლუკუნდა. შიმშილმა უფრო შეაწუხა, ფეხებიც ატ-კივდა. წალები სილით გაეტენა, ლანჩები მოძრა, ფეხებზე ჩვრები შემოძვრა. მოხუცი ვერ ბედავდა შეჩერებულიყო, რომ შეეხვია ისევ. ჯარის-კაცები თვალს არ აცილებდნენ ტყვეებს და შეჩერების საშუალებას არ აძლევდნენ. შავი ლულები მრისხანედ იმზირებოდნენ და მოხუცმა კარგად იცოდა, ეს ხუმრობა არ იყო. მან ბიჭის დამშვიდება სცადა.

— მალე ჩავალო, ალბათ, — თქვა მოხუცმა, — პოდა, დაისვენებ.

ბიჭი ატირდა. სიტყვებმა ვეღარ უშველეს. მაგრამ მოხუცს აეთი შემთხვევისათვის სხვა, უფრო ძლიერი საშუალება ჰქონდა შემონახული. მას თქვა:

— თუ ნამდვილად მოგშივდა, ჭამე. ჯიბეში პურის ნატეხი მაქვს. ძალიან გმიხმარია, მაგრამ შენ ხომ მაგარი კბილები გაქვს.

ტირილი შეწყდა.

მოხუცმა გაუღიმა:

— ცოტ-ცოტას მოგიტეხ. კარგი?

— ჰო, ჰო, ბაბუ! — მუდარით თქვა ბავშვმა: — ბევრი გაქვს? სულ შევჭამ.

— ჰო, სულ. მაგრამ ჭერ ცრემლები მოიხოცე და ფრთხილად ჭამე, თორემ ჭარისკაცმა თუ დაგინახა, წაგაროთმევს.

ბიჭმა თავი დაუქნია და ჭუჭყიანი მგილით ცრემლები ამოიშმინდა.

მოხუცმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, წვრილ-წვრილად ტეხდა პურს. ბიჭი სწრაფად იდებდა მათ პირში.

პური მალე გათავდა. ნატეხი თხელი და პატარა იყო, ბიჭი კი ძალიან მოშიებული. პური რომ გაუთავდა, მოხუცმა თითებით ნამცეცები მოაგროვა. უნდოდა თვითონ შეეჭამა, მაგრამ ბიჭმა ხელი გაუწოდა და ამას ბეჟერმა გულმა ვეღარ გაუძლო. ნამცეცებიც ბიჭს შეხვდა.

ბავშვი ოდნავ გამოკეთდა, ფეხის ტკივილებს აღარ უჩიოდა, მაგრამ შიმშილი როდი გამჭრალა: ნამცეცებიც რომ გადაყლაპა, იკითხა:

— მეტი აღარაა, ბაბუ?

— გათავდა. აღარაა...

მდინარე მდორედ და ფართოდ მიედინებოდა. ზოგან წყალი სულ ახლოს ჩაუდიოდა გზას. მოხუცი კარგად იცნობდა აქაურობას. მან აუხსნა, რამდენიმე საათში დიდი ხიდი იქნებაო. ბიჭი კი სულ საჭმელს თხოვდა. მაშინ ბაბუამ უთხრა:

— იმ ხილთან რომ მივალთ, ალბათ, შეგჩერდებით და პურსაც კუნდა.
ნაპირზე შალალი ბალახი იყო. მინდორზე იხვების გუნდი და მარტინი.
ბიჭის არასოდეს ენახა ამოდენა ფრინველები. მოხუცი იძულებული გახდა
აეხსნა, თუ ცურგისას როგორ ნიჩებივით უსვამენ იხვები თავიანთ
ბრტყელ ფეხებს და საჭმლის მოსაძებნად წყალში როგორ ყვითავენ.

შემდეგ იგი მოჰყვა ზღაპარს ერთ პატარა იხვზე, რომელმაც დედა და-
კარგა და ქვეყანაზე სულ მარტო დარჩა. მთელი ზაფხული მარტო ხეტია-
ლობდა. ბევრი საოცრება გამოიარა. მაგრამ ზღაპარს სამწუხარო დასასრუ-
ლი ჰქონდა. პატარა იხვი მოხვდა დიდ, უღრან ტყეში და იქ მშეერმა მე-
ლიამ შესანსლა იგი.

ეს ბიჭის არ მოეწონა და სხვა ზღაპარი მოითხოვა:

— ბაბუ, ჯუჯა იაკობზე მომიყევი!

მოხუცს ჩაეცინა:

— კი, მაგრამ ის ხომ ნამდვილი ზღაპარი არაა, შვილო. — თქვა მან,—
შენმა მოხუცმა ბაბუამ გამოიგონა, როცა შენ პატარა იყავი და მუხლებზე
მეჯექი. ახლა დიდი ხარ, რაღა საინტერესოა. უკეთესია სხვა რამე...

— არა, მე ჯუჯა იაკობზე მინდა.

ისე გადაჭრით ამბობდა ბიჭი. რომ მოხუცს კვლავ ჩაეცინა:

— ესე იგი, არ დაგვიწყნია ზღაპარი. იმდენი დრო გავიდა.

— პო, მახსოვს და კიდევ მინდა მოვისმინ ამბავი ჯუჯასა და ტყის
მხეცებზე.

— კარგი, მოგიყვები, მაგრამ დასაწყისი შემახსენე. დავბერდი და მე-
სიერება მღალატობს.

ბიჭს გაცინა:

— შენ არ გახსოვს საღ ცხოვრობდა იაკობი? — ჰკითხა მან.

— როგორ არა, იგი ტყეში ცხოვრობდა.

— წითელ სახლში, — უთხრა ბიჭმა.

— მართალია, წითელ სახლში. და იმ ტყეში კიდევ ათასნაირი ნადირი
იყო. — თავი დაუქნია მოხუცმა. — იქ იყვნენ ვეფხები და სპილოები, ლო-
მები და დათვები, მაიმუნები და სხვა ჯურის მხეცები... მგონი ასეა, ხომ?

— ასეა, ბაბუ, მაგრამ ზღაპარში ხომ მარტო კუ, ლომი, სპილო და
ხარისხმი იყო?

— პო, პო, ახლა გამახსენდა.

— მომიყვები, ბაბუ?

— ვეცდები.

მოხუცმა აზრი მოიკრიბა და დაიწყო ამბავი ჯუჯაზე. როგორ ხეტია-
ლობდა იგი ტყეში, როგორ კრეფდა სოკოებს, ყვავილებს და ლაპარაკობ-
და ტყის მხეცებთან. როცა მიაღწია ჯუჯას შეხვედრაზე კოჭლ კუსთან, რო-
მელიც კვნესოდა, როცა ბაბუამ მოუთხრო ლომზე, რომელმაც შეაშინა
ჯუჯა იაკობი, სპილოზე, რომელიც მღინარესთან დამდგარიყო და ხორთუ-

შით წყალს ისხამდა, ბიჭმა გაიცინა. მაგრამ როცა მოხუცი ყვებოდა, თუ როგორ შეისვა ხარისხემა ჯუჯა იაკობი ზურგზე და ტყე-ტყე ჰენებით როგორ მიიყვანა წითელ სახლამდე, ბიჭს აღარ გაუცინია.

ზღაპარი გათავდა. ბიჭმა ჰქითხა:

— ჩვენც რომ შევხვდეთ ისეთ ხარისხეს, არ შემიჯენს ზურგზე? — შეიძლება.

— ტყეში ბევრი მხეცია, ბაბუ?

— ბევრი, ძალიან ბევრი.

ბიჭმა სევდიანად თქვა:

— არასოდეს არ მინახავს მხეცები.

— საღ უნდა გენახა.

— მინდა ლომი ვიყო, რომ ეს ჯარისკაცები შევჭამო.

— რას ამბობ, შვილო! ასე ლაპარაკი არ შეიძლება.

ბიჭი გაჩუმდა. ამ დროს თავშეხვეულმა ახალგაზრდამ მოიხედა და

თქვა:

— რისი გეშინია, მოხუცო? სულ ერთია, ცოტა ხნის სიცოცხლე და-
გვრჩენია.

— ჩუმად, ბიჭი გაიგონებს. — უპასუხა მოხუცმა.

— მერე აა? მალე თვითონ დაინახავს. თუ დაყრუვდი? არ გესმას
უკან რომ ისვრიან? ისინი ჩამორჩენილებს ხვრეტენ.

მოხუცი გაჩავრდა:

— კარგად მესმის. ვიცი, რაც ხდება, მაგრამ რატომ უნდა შევაშინო
ბაგშეი?

ცოტა რომ გაიარეს, მოხუცი ბიჭს მიუბრუნდა:

— შეხედე ცას, რა ლამაზად ანათებს მზე ღრუბლებიდან!

ბავშვმა მაღლა აიხედა, მაგრამ მოხუცის ეშმაკობამ არ გასჭრა. ბიჭმა
ტირილით თქვა:

— კიდევ უფრო მშია, ბაბუ. მწყურია. ფეხებიც მტკივა...
მოხუცმა ამოიოხრა.

— მსუბუქად იარე, — თქვა მან. — ხიდთან რომ მივალთ, შევისვე-
ნებთ. ვეცდები, წალები შეგიკეთო. იქ დაგნაყრდებით და წყალსაც და-
ვლევთ.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. საღამო ახლოვდებოდა. ღრუ-
ბელი გაქრა.

გზა მშრალი და მტკრიანი გახდა. კოლონა მტკრის რუს ღრუბელში
მიაბიჯებდა. მოხუცის მხრები და ზურგი მტკრით დაიფარა. მტკერს დაე-
ფარა ბიჭის სახეც. იგი მწარედ ტიროდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. რადგან
ცხვირი და პირი მტკერს სულ ამოევსო და ამოეშრო. მერე მან ტი-
რილიც შეწყვიტა. მხოლოდ ლოყებზე ემჩნეოდა ცრემლის ჭუჭყიანი ნაქ-
ვალევი. მტკერი უწვავდა თვალებს.



მოხუცი ხანდახან დაბლა იყურებოდა, რათა შვილიშვილისათვის შემძიმებული ეხედა, მაგრამ ბიჭს სახე არ უჩანდა. თავჩალუნული ძლივს მიღასლასებდა.

გზა ისევ მდინარეს მიყვებოდა. კალაპოტი თანდათან დავიწროვდა, დინება ჩქარი გახდა, ზოგან ჩანჩქერებიც ხვდებოდათ.

მათ კიდევ ერთი სოფელი ჩაიარეს, მაგრამ ბიჭს ეს არც შეუმჩნევია. თვალები და ყურები სულ ამოგლესოდა მტვრით. მას არც ცნობისმოყვარები დაუნახავს, რომლებიც გზის გასწვრივ იდგნენ და ტყვეებს შეჰყურებდნენ.

სოფელთან ჩავლიდან ერთი საათის შემდეგ მოხუცმა დუმილი დაარღვია:

— ხიდს ვხედავ. მალე მივალო.

ბავშვი დუმდა. მაშინ მოხუცმა უფრო ხმამაღლა გაიმეორა:

— მალე ხიდი იქნება. მე უკვე ვხედავ. სულ ცოტა დარჩა. გაღმა კი ისეთი ბალახია, ისეთი დიდი მინდორი. იქ ჩვენ დავისვენებთ... შენ რა, არ გვსმის?

არავითარი პასუხი.

ახლა მხოლოდ მოხუცის ხელი იჭერდა ბიჭს დაცემისაგან. მაგრამ ისინი უკვე კოლონის თავში კი აღარ იყვნენ. სროლის ხმა სულ უფრო ახლოს ისმოდა.

ბიჭმა ერთ უკანასკნელ ქვაზე ფეხი ძლივს გადაათრია და მეტი ვეღარ შეძლო. მოხუცი ცდილობდა გაემხნევებინა იგი, მაგრამ ბიჭს არ ესმოდა. მაშინ მოხუცმა ხელში აიყვანა და ხიდზე გადაიტანა.

მოხუცი ბავშვით ხელში მძიმედ მიღასლასებდა მწვანე ბალაზებზე. ფეხები არ ემორჩილებოდა. მალე ჯარისკაცული ჩემების ბრახუნი მოესმა, მაგრამ უკან არ მიუხდავს.

ბიჭს არც ავტომატის სროლის ხმა გაუგონია, არც რაიმე ტკივილი უგრძნია, როცა ცხელმა და მკვრივმა ტყვიებმა განგმირეს იგი.

ვიდრე თვითონაც წაიქცეოდა, მოხუცმა ერთი წამით თვალი მოჰკრა, როგორ გაიშალა ბიჭის მომუჭული ხელი და რაღაცა დავარდა ბალაზე. ეს იყო პატარა, წითელი ქვა...

თარგმნა ხ. ფერაძემ.



პუგლისაცი

ლევანგი ძიმის ერთობლივი

ს ა მ ჟ ო ბ ლ ი

შიოთხარ — „სამშობლო არ გაგაჩნია“,
 დახარე თავი და დაგცვივდა ცრემლი.
 კიდევ სთქვი: „მაწუხებს ბედი ჩინარის,
 მსგავსი თუ ძმობილი რომ არის შენი“.
 კიდევ სთქვი: „სამშობლოს მე მაშინ დავიცავ,
 თუ მასში ქართული გრძნობები დავსძარი,
 მგოსანო, რას უმღერ, სამშობლო დაიქცა,
 ქართული გრძნობების ქართული ტაძარი“.
 მე მიკვირს, საიდან საითქენ იარე,
 რატომ არ გადატყდა მაგ გულის ფიცარი.
 მას შემდევ, რაც აზრი შენ გამიზიარე,
 კლასიურ მტრის გული ვიცანი.
 შენ იცი, ხავსო, ხმალი შემართული
 მტერმა მაგ საშობლოს საფარს ქვეშ აკეთა?..
 დავანგრევთ ქველ ტაძრებს, თუნდ იყოს ქართული,
 თუ იგი ასრულებს ჩვენი მტრის დაქვეთას.
 მე კი ვერავინ შემწამებს ობლობას,
 სამშობლო ტაძარი მიყვარს და მიყვარდა.
 საბჭოთა ქვეყანა ჩემი სამშობლოა, —
 მსოფლიო მშრომელთა დამკვრელი ბრიგადა.
 მე ამ სამშობლოს შევწირავ, რაცა მაქვს,
 მე ამ სამშობლოში მკლავს რა მომიღუნებს.

— ეს პირ ბიბლიოთეკის დამკვიდრი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ლავრენტი ძმისტარიშვილი ლექსები, რომლებსაც დაწერა 1937 წელს, 21 წლისა.

ლექსები, რომლებსაც ვგვიჩვით, მოგვაწოდა პოეტის დამ ეთერ ძმისტარიშვილმა

მითხარი, ამ მდიდარ ცის იქით რა და მაქვს,
მასავით ტკბილი და დედურ მოდუდუნე?!

და შენ კი, ქალო, რომელიც ოვს უხრი
სამშობლოს შესახებ ჩვენი მტრის ნააზრევს,
მძღლხარ, და ჩემს გულში ამ დიდ სიძულვილს
ვერ წაშლის, ხავსო, შენი სილამაზე.

1933 წ.

* * *

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ ღამეს
საყვედურები მრავალი მერგო,
ალბათ, თქვენ გსურდა, რომ ვყოფილიყავ
ვაჟკაცი ვეფხი, ვით აივენგო.
მე კი უბრალოდ ვგავდი მეგობარს,
რომლის მახვილი სიტყვაა მშვიდი...
გაიგეთ: ვერ ვქენ აივენგობა
და ჩემს მკლავებზე გადაქვითინდი.
მე გამშვიდებდით, ვიდრე შემეძლო,
აჭარის მთების ცერიალი ასულს.
თქვენ კი გინდოდათ გესმინათ ძველი —
„თქვენ გულის აქეთ სიკვდილიც არ მსურს“.
მერე ადექით — ალვაზ იყარა,
გაღმომინათეთ, ვით ბროლის სარკემ,
გადასწით გედის ყელი ყარყარა
და გაიქეცით ზღვისპირისაკენ.
თქვენი მკლავები იყო შიშველი,
მიჰქეროდით, მკლავებს ქარი ჰკოცნიდა,
ტბას გადაადგა შემკრთალი შველი, —
თქვენ ისე ჩანდით მწვანე კონცხიდან.
თქვენ გაიქეცით... მე მიმატოვეთ,
დავდივარ გრძნობა გადათალხული,
მაგრამ თქვენ რჩებით ჩემთვის ძვირფასი,
როგორც სამშობლო და გაზაფხული.

1931 წ.



მუსიკაზე

გიგლა მეგება

მოგონებები გაღაპდიონზე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გალაკტიონი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და სამწერლო საქმიანობაში.

იმ ხანებში მას დაუწერია სტატია იმის შესახებ, თუ ვის ემხრობოდა— მემარჯვენებს თუ მემარცხენებს. ჩვენ გადავათვალიერეთ იმ დროის პრესა და გალაკტიონის სტატიას ასეთი სათაურით ვერ წავაწყდით. შესაძლებელია „ლომისში“ დაბეჭდილი წერილი „პოეზია უბირველს ყოვლისა“ არის ნაგულისხმევი. ამას გვაფიქრებინებს მისი შინაარსი. სტატიაში პოეტი მართლაც კატეგორიულად ეკითხება ქართველ მწერლებს — ვისთან ხართ თქვენ? ეს საკითხი გალაკტიონს ძალიან აინტერესებდა და მას სხვა სტატიაშიც ეხებოდა.

თვით გალაკტიონს ამ წერილის შესახებ საუბარი ჰქონია მრავალ მწერლთან, გაზეთის დამტარებელთანაც კი, და ყველაფერი დიალოგების სახით ჩაუწერია.

გალაკტიონი შეხვედრია ცნობილ ქართველ მგოსანს სანდრო შანშიაშვილს და მასთან ასეთი საუბარი ჰქონია:

„სანდრო შანშიაშვილი — რამ გაიძულა გალაკტიონ ამ წერილის დაწერა, სთქვი პირდაპირ ძალით დაგაწერინეს არა?

— არა სანდრო, მაგრამ შენ ეს მითხარი მემარჯვენე ხარ თუ მემარცხენე.

— არა ძმაო მე არც მემარცხენე ვარ და არც მემარჯვენე ამ ომებში, პირადად ერთი ვიქნები, პასუხისმგებელი ჩემი თავისა.

გერცელ ბაზოვი: (პოეტი პროზაიკი) დიდებულია, მშვენიერია (მომართა ნიკო გვარაძეს, მსახიობი). ასეთი პოეტი ჩვენ არა გვყავს (მომმართა მე). მე ხომ ყოველთვის შენთან ვიყავი. მე ჯგუფებს არ ვეკუთვნი, მაგრამ შენთან ყოველთვის ვიქნები.

გ. ჭურიშვილი: ძალიან გამეხარდა, რომ ეს ფრონტი გაიშალა. ქბილებს

აკრატიუნებენ. შემხვდა გრიგოლ მაჭავარიანი (გრ. საქარიქედელი) და სოქვა გალაქტიონმა გასწია დასმენა, ჯაშუშობა. მე ვუთხარი — ჩემი წერილი უარესი იყოფვა. ალბათ ჩემს წერილზე სხვაგან ისევე იტყვის, როგორც შენს წერილზე. გალაქტიონ ერიდე ლვინის სმას ვინ იცის რა უნდა შეემთხვევს კაცს.

— ოპ ეს საქარიქედელი, ნუთუ ისიც მწერალია, ნუთუ იმასაც კი აქვს უფლება აგრე ილაპარაკოს ჩემზე.

გიორგი (ქუჩიშვილი) ძალიან დაშინებულია, ან შეიძლება სიფრთხილე ალაპარაკებს. უფრო დასაშვებია მეორე.

წიგნების დამტარებული დ. ბაქრაძე შემხედა. მან მოულოდნელად გზა-ზე გამაჩერა — მითხრა — წავიკითხე, რამ გამოიწვია თქვენი წერილი.

— წერილია მემარჯვენების წინააღმდეგ.

— ვინ არიან ეს მემარჯვენები.

მე აუხსენი ვინც არიან.

— ზორბა წერილია, სოქვა მან. მაგრამ ეხლა მართალს არ უჯერებენ, ტყუილის მთქმელს უჯერიან. მწერალთა რიგებში კი უსათუოდ თქვენ გაიმარჯვებთ.

პოლიო აბრაშია:

— ჰა გამარჯობა, წავიკითხე შენი წერილი დღეს.

— ვის ემხრობი, მემარჯვენებს თუ მემარცხენებს?

— მე ჩემი დაწესებულებით (მუშაობდა მაშინ რემედასში) ცხადია ვის მხარეზედაც ვიქნები“.

აქ აწერილია განცდილი ეტაპის ამბები. შემდგომ გალაქტიონის მიერ დასახელებული მწერლები მხარში ამოუდგნენ საბჭოთა ხელისუფლებას, დადგნენ იქტომბრის რევოლუციის დროშის ქვეშ და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. მათ შორის ალ. შანშიაშვილმაც, რომლის ამაგი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მეტად დიდია, განსაკუთრებით დრამატურგიაში.

გალაქტიონმა კი აი ასე კარგად შემოგვინახა ეს ძვირფასი სტრიქონები.

* * *

გალაქტიონის უბის წიგნის 1923, 1924 და მომდევნო წლების ჩანაწერებში საყურადღებოა წერილი სათაურით „ მ ე მ ა რ გ ვ ე ნ ე ე ბ ი “.

„ამხანაგები, პირადად მე გალაქტიონ ტაბიძე თქვენ მემარჯვენე ფრთისაგან, რომელიც სიცოცხლეს უმღლებს ქართულ ლიტერატურას, მოვითხოვ გადახრას, მე მოვითხოვ 180 გრადუსით პირდაპირ შეხედოთ თვალებში სიმართლეს, რანაირიც არ უნდა იყოს ის.“

ლიტერატურული ომები ხელოვნების სასახლეში, უურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო საღამოებზე მიდის ერთი ნიშნით — უნდა შევწევდეს გამბედაობა.



რისგან შედგება ეს მემარჯვენე მიმდინარეობა? იგი ნამსხვრების და მართვული მსხვრევებისაგან. იგი შესდგება რევოლუციის მიერ შეურაცხყოფილ კლასებიდან, რომლებმაც დაკარგეს მშვიდობიანობა და სოციალური მდგრადიობის წონასწორობა. ეროვნული ინტერესები აქ არაფერ შუაშია. პირდაპირ უნდა შევხედოთ სიმართლეს და ვსთქვათ: ეს არის პოლიტიკური სიყალბე და ისტორიული უნიადაგობა. მემარჯვენები ისე იჭერენ თავს, როგორც ძევლი გვარდია ვატერლოოსთან, რომელიც კვდება, მაგრამ არ ნებდება. ამის შემხედვარე სიცილით ვხვდებოდით ოლიმპის (გულისხმობს მემარჯვენებს—გ. მ.) ეს აკადემიური, მაგრამ ღრმად პროვინციალური კომიკები. შეიძლება ჩვენ ხელოვნურად ვაცხადებდეთ აზრდილებს, მაგრამ ეს აზრდილები ყოველთვის იგვიანებენ. ჩვენთვის დრო ბევრი რამის აღმნიშვნელია. არ შეიძლება დიდხანს ყოფნა ასეთ სუმბურულ მდგომარეობაში.

მართალი იყო გეგელი, რომელიც ისტორიულ ბედის ცვალებადობაში ნახულობდა წარმართველ აზროვნების სიცბიერეს.

ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლოტერატურა. ჩვენ აქეთკენ მივისწრავით ყველა საშუალებით. იგი (რევოლუცია, ახალი) ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს და მსოფლიო რევოლუციის სახელით ანადგურებს ყოველივე ძევლს.

ჩვენში ლიტერატურა შევიდა თავის განვითარების ახალ ხანაში. ასაფერებელი მასალები მას საქმაოდ მოეპოება“.

ეს ჩანაწერები შეიძლება მონახაზია იმ დიდი საპროგრამო წერილებისა, რაც გალაკტიონმა დაბეჭდა უურნალ „ლომისსა“ და თავისი სახელწოდების უურნალში 1922-1923 წლებში.

გალაკტიონის იუბილე გათუმაში

გალაკტიონს 1933 წელს პოეტური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი შეუსრულდა, რაც მთელმა საქართველომ იუბილებით აღნიშნა. როგორც ჩანს, ასეთი იუბილე უნდა გადახდილიყო ბათუმშიც. ამ მიზნით იგი სწვევია ბათუმს 4 მარტს. ით როგორ არის ეს ამბავი აწერილი ერთ-ერთ მის უბის წიგნაკში, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

„ბათუმი 4/3-33 წელს.

ჩამოვედი აქ 2 თებერვალს. გაეჩერდი სასტუმრო „აჭარისტანში“. ვნახე დათიკო დუმბაძე. მან თქვა: „იუბილე მოეწყობა 20-24 აპრილს. საიუბილეო კამპანია პრესაში 5 პარილიდან დაიწყება“. მპირდებიან ფულით დახმარებას... (გაურკვეველია) იქნება ჩემი სახელობის ქუჩა, სახლი ქობულეთში და სხვა. თბილისიდან უნდა ჩამოვიდეს სპეციალური პიროვნება ამ საქმისათვის. დღეს გემით „საქართველო“ მივდივარ აბხაზეთში.

აპხაზეთი. სუხუმი. 6/3-33.

...ლექსები, ზღვა, ლინო.

ხვალ გემით „ლენინი“ ვბრუნდები ბათუმში ან ფოთში“.

იქვეა გალაკტიონის ხელით დაწერილი შემდეგი ლექსი:

ანაპის პირად გუგული
იძახდა გუგუ გუგუსა,
ასე ამბობდა გეთაყვა
როგორა მყავხარ გუგუსა.
გუგუსა ეტყვის კარგად ვარ,
დარდი არა მაქვს ფულისო,
გავხდები გამხარებელი
ქვეყნის, მშობლების გულისო.
გუგული ძლიერ გავვირდა,
ეს რასა ამბობს გუგუსა
და გაყვირვებით ზევიდან
თვალები გადმოუკუსა.

1931 წელი შემოდგომა“.

ეს ლექსი დღემდე არსად არ არის დაბეჭდილი და მისი დაწერის ისტორია ასეთია: ცნობილმა შხატვარმა ჩუდეცემ თავის სიცოცხლეში, ამ ოცი წლის წინათ, ჩამაწერინა, ოღონდ ცოტა შეცვლილი რედაქციით, ასე-თვივე ლექსი გალაკტიონისა. ეს ლექსი პოეტს მიუძღვნია მაშინ ბავშვურ ასაში მყოფ ჩუდეცემის ქალიშვილისათვის ერთ-ერთი სტუმრობის დროს ოჯახში. ამ ოჯახთან გალაკტიონი ძალიან დაახლოებული და ხშირი სტუმარი იყო. დედანი ლექსისა დღესაც დაცულია მის მეორე ლექსთან ერთად ჩემთან.

ეს ლექსი იმითაც არის საყურადღებო, რომ მის ქვეშ აღნიშნულია დაწერის თარიღი, რაც ჩვენთან დაცულ ლექსს არ ჰქონდა.

აღ. ჩავლების ვილი

აჭარა ვეილონ ხალვაშის პოეზიაში

ყოველი მწერლის შემოქმედების ანალიზი ჩვეულებრივ წარმოებს ოქების მიხედვით. ფრიდონ ხალვაშის პოეზიის ერთ-ერთ ძირითად და მთავარ თემას წარმოადგენს აჭარა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ჩვენ გვაინტერესებას არსებითად ამ მხრივ გავაშუქოთ პოეტის შემოქმედება, რადგან ეს თემა ნაკლებად არის განხილული ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში.

ცნობილია, რომ აჭარა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა და აჭარლები იგივე ქართველები არიან, მაგრავ აჭარის ისტორიულმა განვითარებამ შექმნა მისი ზოგიერთი თავისებურება, რომლის ღრმა ასახვა ჩვენი საბჭოთა მწერლების საპატიო ამოცანას შეადგენს. ამას გამო ისტორიული წარსული, მისი აწმყო და მომავალი ხშირად ხდებოდა და ხდება ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედების ერთ-ერთ თემაზ.

განსაკუთრებით უხევ მასალას იძლევა ამ თემის გასაშუქებლად ც. ჩალვაშის ნაწარმოები, რომლებიც შეტანილია მისი ლექსების კრებულებში — „შის ქვეყანაში“ (1948 წ.), „დილა მშვიდობისა“ (1950 წ.), „ლექსები“ (1952 წ.), „ორი პოემა“ (1952 წ.), „სალაში სანაბიროდან“ (1953 წ.), „სიმღერა შენზე“ (1957 წ.), „მუხა და ქარი (1958 წ.), „გენაცვალე“ (1962 წ.).

პოეტის ნაწარმოებთა ერთ-ერთ კრებულს ეწოდება „ფიქრები ჭოროხთან“.

საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაში მდინარეები უფრო მათთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოვლენებით იჩიდავდნენ მწერალთა თუ მკითხელთა ყურადღებას. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისოფის რას იტყვი? მარვალ ღროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვიო“, მიმართავდა ნ. ბარათაშვილი მტკვარს. მდინარის ასეთოვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზრება ნათლად არის გამოხატული ი. ჭავჭავაძის „აჩრდილში“. აქ ავტორი ასე მიმართავს არაგვს:

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ?
ქართვლის ცხოვრების მოწამედ
უნ ხარ...

შენ ზეირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
უნს კიდევებზედ გაღასსმულია.

ჭოროხის ზეირთებს შორისაც დამარხულია აჭარის გრძელი მოთხრობა.

ისტორიიდან ცნობილია, რომ 1453 წელს ოსმალებმა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინებოლი იიღეს და მას შემდეგ კულტურული ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს დაუმეზობლდა „უაღრე-

სად ჩამორჩენილი, აგრესიული და მაქმა-
დინტრი იმსალეთის იმპერია... მე-16 სა-
უკუნში თურქებმა მესხეთის სამხრეთ-
დასავლეთი ნაწილი მთლიანდ დაიყრეს.¹ დამპყრობლები მაშინვე შეუდგნენ ადგილობრივი მოსახლეობის გამაპ-
მადიანებას მისი ასიმილაციის, ეროვნუ-
ლი გადაგავარების მიზნით. ამ დაპყრობა-
სა და გამაპმადიანებას ისინი ბარბარო-
სული საშუალებებით აწარმოებდნენ. წი-
ნაალმდევობის გამწევთ აწამებდნენ, ახრ-
ჩინდნენ, თავს კვეთანენ და ფაშას უგ-
ზაგნიდნენ, ან მდინარეში ყრიდნენ, ქა-
ლებს ძუძუებს აჭრიდნენ, ქართულ ენას
კრძალავდნენ და თურქულ ენას სახელ-
მწიფოებრივ ენად აცანადებდნენ, ქრის-
ტიანულ ხატებას და კვრებს ამტრივე-
დნენ, ეკლესიებს წვავდნენ, ქართულ
ადათ-წესებს სპინძენენ და თურქულს
ნერგავდნენ. ეს იყო საშინელი ინკვისი-
ტორული ორნისიძებები. ორმაღ მოხუ-
ცებულ ჩიჯავაძის ნამბობიდან ირკვევა,
რომ „ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარის
წყლის შესართავთან მოურეკათ, სადაც
ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. ამ
ხიდზე დაუდგიათ თავსავეთი. მოხუც
ქრისტიანებს ჯერ ენის წვერსა, ხოლო
მერე თავს ჭრიდნენ და ფაშას უგზა-
ნიდნენ“.² ასე და ამგვარად აჭარლების
სისწლით იღებებოდა აჭარისწყალი. ჭო-
რობი და სხვა მდინარეები. განსაკუთრე-
ბით მდინარე ჭორობს დაუკავშირდა სი-
სხლიანი დღეების მოგონება. ამეამაღ
მდინარე თურქეთის ტერიტორიიდან შე-
მოისახენ მიწაზე და შავ ზღვას ერთ-
ვის ბათუმთან. მოედინება და თან მოაქცი-
ხაშიანი, ე. ი. საიდუმლო.

1 ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავი-
სუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სა-
მხრეთ საქართველოში, 1957 წ., გვ. 18.

2 იქვე, გვ. 70.

ზე მაკლაჭუნასფერით თავზე აჯღა შვარელ
შერომელებს და სისხლს წოვდა, სამო-
და ყოველივე ქართულს. როცა აზ ღექ-
სებს კითხულობთ და ძეველ ყოფის ადა-
ჩებთ თანამედროვე აქარის შშორმელთა
ცხოვრებას, სიხარულით აღიცხებით, უსა-
ზღვრო კმაყოფილების გრძნობით და
წრფელი მადლიერების გრძნობით გაიმ-
სკვალებით საჭროთა ხელისუფლებისად-
მი, რომელმაც ბნელეთში შეინათა და ნა-
მდვილი, ადამიანური სიცოცხლე დაამ-
კვიდრა. ამიტომ ამ ლექსებს დიდი აღმ-
ზრდელობით მნიშვნელობა აქვთ ახალ-
გაზრდობისათვის“ (იხ. აღმანახის „ტალ-
ღა“, 1953 წ., № 15, გვ. 148).

ლექსში „კახაბრის ველი“ ვხვდებით
ჭორობისადმი მიძღვნილ ასეთ სტროფს:
ჭორობში წვანნ მოების სვეტები,
ზეირთებში ისმის ძველი იგავი,
შეიგ არის ჩვენი სისხლის წვეთები
და სიხარულიც ჩვენი შეიგ არის.

ხოლო ლექსში „მე არ ვიქნები შენი
სტუმარი“, ოსტატურად არის გამოყენე-
ბული ერთი პატარა დეტალი დიდი ტიპი-
ური შინაარსის გაღმოსაცემად. ასეთია,
მაგალითად, კალმახის დაწინწკლულობა,
რომელიც იქცა აზრის სახეობრივად გა-
მოოქმის მოხდენილ დეტალს.

რა გლოვად ვიყავ, რა დასახახი,
ჭორობს მე წამულ ფერში
უკლია, საქართველოში ალბათ კალმახი
მიტომ სისხლის ფრად და წინწკლული უკლია.

ფრ. ხალვაშ აქეს მოზრდილი ლექსი
„ჭორობი“. ავტორს სტუმარი წაუყვანია
ჭორობის სანპიროსთან. ეს ქართველი
კაცი იქ პირელად ჩამოსულა და ამიტომ
ავტორი ეუბნება მას: „რაო? პირელად
ჩამოხველ. ქართველ კაცს არა გრიხვე-
ნია?“ რა გაეწყობა! თუ კი ახვა, გაშინ
მომისმინე და გაიგებ, რომ „ძველად
ჩიილს თურმე ჭორობში გავლებულ
ქუდს ახურავდნენ. ბავშვს თავზე დაშ-
რებოდა იმ შევერვალების სისველე, სა-
დაც კახაბრის ხმალი და ვაკეაცა ძვლე-
ბი ისვენებს“. ასე საუბრით გაივლიან

დიდ მანძილს. პოეტი კვლავ მოუთხრობს
სტუმარს ძევლ და ახალ ამბებს:

ჭოროხსა ჩამოქმედარეს
ლანქრები იურალია,
მარტო მდინარე კი არა,
ის საქართველოს ჰარღვი.

ძევლ დროთა უკუღმართობას ეს სო-
ფელი ორად გაუყვას. ერთი ნახევარი
თურქეთის სახლგრებში მოწყეულა, მე-
ორე ნახევარზე კი ოქტომბრის ღრიშია
ფრიალებს. იქ, იმ ნახევარ სოფელში,
ჩარჩენილია მთხრობელის ბიძა, რომელიც
მას ჯერ არც კი უნახავს. „ასე ახლოა და
მაინც შორს არის როგორც სტამბოლი“,
გულისტკივილით დასძენს ავტორი. მავე
დროს მას უხარია, რომ დიდი ნაწილი
კვლავ დაუბრუნდა დედა-საქართველოს
და, როგორც ავტორი მამობს, „და შეუ-
ქრთდა ქართველს ქართველი“. ეს შეერ-
თება მოხდა დიდი ბრძოლების შედეგად,
რომლებშიც რეს მხედრობასთან ერთად
მინაწილეობდა საქართველოს სულ სხვა-
დასხვა კუთხის მცხოვრებნი.

როცა მტერი სამშობლოზე
მოლიდა გადატევით,
ჭოროხისპირს დაცემულა
გურულიც და აჭარელიც.
ვინ ექებდა — საიდან ხარ,
ტყვაია როდე გვასხვავებდა,
ჩვენს მიწაზე ჩვენი სისხლი
ბრიალებდა ვარსკვლავებდა.

ეს სტროფები ამოღებულია ლექსი-
დან „ქართული სიმღერა“, ფრ. ხალვაშის
ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებიდან.

როგორც ვიცით, საქართველოსათვის
თავს არ იზოგავდნენ მისი უკელა კუთ-
ხის შეილები, რამაც უზრუნველყო მათ
შორის მტკაცე ერთიანობის დამყარება.
ამიტომ დღეს ქართველს გული ეტვინე-
ბა, როცა ვინგზ იკათხავს: „გურული თუ
აჭარელი?“

იტყვი: ამგვარ დამცირებას
ჯობდა მკერდი გმოთელოდა, —
თათესის ვიწროდ მოგხაზეს
შენი დიდი ქართველობა.

სწორედ იმაშია ფრ. ხალვაშის პოე-
ზიის ძალა, რომ იგი არ არის ჩაქერილი

ჭოროხის საზღვრებში და ჭორულუ ჭორულ
რაზე ფიქრები გადაქცეული მიზური
ქართველობა და ყველა საჭიროა აღმია-
ნის ფიქრებად და განცდებად.

ამას მოწმობს ფრ. ხალვაშის მეორე
ლექსიც „როცა აჭარა მზეს შეევება“. და-
საწყისში ნათევამია, რომ აჭარა ბევრის
მოწამეთა, იგი ბევრჯერ „ხმლებით გადაბ-
ნელეს“, მაგრამ „როდი დანგებდა თვა-
ლები ტიბილს“. მომეთა წამოშეველე-
ბით და ჩრდილოეთელის დახმარებით
აჭარამ დამსხვრია მონბის ჯაჭვი:

მოვიდა კაცი ჩრდილოეთელი,
და გვითხრა — ბრძოლით

უცელაფერს შევცელით...

მოვიდა როგორც ვარდობის დღენი,
მას მიეგება ღმილით გლეხი
და უთხრა ასე: — მაღლობა, ლენინ!..
იმედერთ, ძმებო, — აჭარა ტყბილი
შეერთება მამულის სხეულს...
ჩემია მთაში მზე მომავალი
და მსხმოარე ხეების ბინდი,
როგორც ჭოროხის ჩხრიალა წყალი,
ჩემია ვოლგის მედაბი ზეირთიც.
დიდება მიწას, რომელიც ასდგა,
დიდება მიწას, რომელიც კუვაის.

ქართული ბუნების შენარჩუნებისა და
ქართველობის გამორატების იდეის თვა-
ლსაჩრიისთ მეტად საყურადღებოა ლექ-
სი „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. ეს
ისეთი პოეტური ქმნილებაა, რომელმაც
მოიპოვა უფლება ც. ხალვაშის ნაწარმო-
ებთა ყველა კრებულში იქნას შეტანილი.
იგი მიღვნილია აჭარის ლიტერატურისა
და ხელოვნების დეკადისადმი, რომელიც
თბილისში მოქმედო. თავისუფლად და გა-
ნახლებული აჭარა თავის მიღწევებს ჩი-
ვენებდა საქართველოს დედაქალაქ თბი-
ლისში. ეს იყო არა სხვა ერის წამომად-
გენლების სტუმრობა, არამედ ქართულ
ენზე მოლაპარაკე, საქართველოს ღვიძ-
ლი შეილის მიღწევების დემონსტრაცია.
ამიტომ ერთგვარ უზერხულობას ქმნის
სიტყვა სტუმრობა, რაღაც ჩვეულებრივ
არ ამბობენ, შეიღლა ესტუმრი მშობლელი.
ეს უგრძნია პოეტს და ამიტომ ერთ თა-
ვის კერძო წერილში იგი წერს: „თბი-
ლისში რომ ჩვენი დეკადა იმართებოდა,

მე მაშინ მოსკოვში ვსწავლობდი, შემო-
მითვალეს და ჩამოვედი. მაშინ მთელი
ღამე ვცექმორბდი: რა უნდა ვოქვა თბი-
ლისში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, სა-
დაც მპატიუბნენ დეკადაზე... ჩენი ხომ
ერთი ვართ! დილთ დაიბადა სტრიქონი
„მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. ეს მინ-
დოდა, ამას ვეკებდი. იგი მოვიდა. მერე
ყველაფერი ადვილი შეიქნა. დაიწერა
ლექსი.

თბილისი, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივთ ვიდექ მდგმარი...

მეც უნდა ვიყო შენი პოეტი.

მე არ ვიქნები შენი სტუმარი!
მაგრამ საითხავი, თუ რატომ არ შე-
ძლება სტუმარი დაუმახონ:

ნუ დმითახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მწვავდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ველარ მოვიდა,
ვეღარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.
მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხხანის ციხედ ვიყავ ჭეულა

და შენი სიტყვის გადასაჩრენად
ილექტორდა ჩემი სხეული.

არ შეიძლება სტუმარი მიწოდო იმი-
ტომ, უშანება პოეტი თბილის, რომ:

მე შენი მტკვარის ერთი ზორითი

ვარ

და შენი მიწის ერთი კენტი ვარ.
მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
მე საქართველოს დიდი სიმღერა
გლოში ჩავითე, ვით ნაკვერცხალი...
შენი შეილი ვარ, შენი პოეტი —
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

2

თურქი მოძალადები სპობლნენ ყვე-
ლივე ქართულს და ნერგავდნენ უცხო-
ურ, ბარბარისულ ადათ-წესებს. გაანდ-
გურეს ვაზის კულტურა, მოსპეს ვენახი
და აკრძალეს ლვინის დაყენება. დაყრუ-
და ვებერთელა ქვევრები. ამიტომ ამ-
ბობს პოეტი ფრ. ხალვაში: „წევული
იყოს, ვინც ჭარაში გადავირუგა სამასი
რთველი“. ამ თემზე ერთობ საგულისხ-
მოა ლექსი „ქველი მარანი“.

შევედი, ბენეში არ ჩას არავინ,
მხოლოდ ხაესი და ცივი სისველე...

ეს შვიდასი წლის არის მარკოზიული
და მარანია მიინც ისევ. შეიცილება
ეს. წინავრები, ამ ვევერებივით,
ამ მარნებივით თქვენც

ალსდგებოდეთ,
გოლიათური თქვენი მცლავებით

ამიანგრევდეთ საფლავის ლოდებს.

მხოლოდ ცეცხლი და ნერევა
დარერგეს,

მაგრამ გრია ეერ დასწვა თურქმა,
თქვენი ჩუქურთმა შერჩა

ნანგრევებს —

შემოსვეული ვაზის ჩუქურთმა.

თურქი ასმშილატორები დევნიდნენ
ყველგარ ქართულს, მათ შორის ეროვ-
ნულ მუსიკაც, კლაველნენ დამკვრელებს
და ამტვრეველნენ მუსიკალურ ინსტრუ-
მენტებს. ამ საკითხს ეხება ფრ. ხალვაშის
ლექსი „ბალადა მეჩინგურეზე“. ნაწარ-
მობი იწყება პატარა ეპილოგით, სადაც
ნოთქვამია, რომ დამპყრობლები სწვად-
ნენ სახლებს და ტაძრებს. სამასი წლის-
განმავლობაში ხანძარი ენთო და ყველა-
ფერი იფერულებოდა. ამ ღრმას თურმე
ერთ მეჩინგურეს ჩინგური ყველგან და-
ჰქონდა ჩიმად, თავის ფიქრებს ამ ჩინ-
გურის სიმებს ანდობდა. ამ კაცს არ გა-
აჩნდა არც სახლ-კარი, არც ვენანი, არც
ხმალი, მაგრამ მშიშარა მაინც არ ყოფი-
ლა, თავს ძლიერად გრძნობდა, რადგან
ჩინგური ქენდა — „ქართველობის ერ-
თი ნიშანი“. ერთხელ იგი გულდათუ-
ქული ჩინგურს უკრავდა. უფას შემოეს-
მა თურქული ხმა:

განა არ გვერა? ეგ ქართული
ჩვევები გაქრა,

როგორ გაბედე მუსულმანია
ჩინგურის დაკვრა?

როგორ გაბედე, ლორის თავი
კალთაში გედოს,

ახლა, ახა სასიკვდილოდ

რომ გაგიმეტოთ.

მეჩინგურე შებოჭეს და, როგორც მო-
ლალატე, მოჰქმებს, ჩინგური კი იქვე მა-
ზე დანარცხებს.

თქმულება ამბობს, რომ სკვდილის
წინ მეჩინგურს ანდერძი უთქვამს:

მთებო, როს ალსდგეს ქართველობა



დამწვარ მდელოზე,
სთვით, რომ ემღეროდი
მრავალტანკულ
საქართველოზე.
რამდენი ჩაწეა სამარჯვი
გმირი, ლომებული,
თქვით, როგორ მოგვყეს
სიმღერისთვის

მე და ჩონგური.

ასეთია მე ლექსის იდეური შინაარსი. იგი ნათელ წარმოლენას გვაძლევს იმ ჭოკოხეთურ პირობებშე, რომელშიც ითელებოდა ყოველივე ერთგული, ქართული, მაგრამ ისიც აშკარა, რომ ექარელი მშრომელი მედგრად იცავდა და ინარჩუნებდა თავის „მუსიკალურ კულტურას: „აქარას, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა თურქეთის სამასწლიანი ბატონობა, შემოუნახავს მრავალი ისეთი ქართული სიმღერა, განსაკუთრებით კი ქართული ხალხური მრავალხმიანობის ის ნიმუშები, რომლებსაც საქართველოს სხვა კუთხეებში ვეღარ ვხვდებით“, წერენ პროფ. გ. ჩხივაძე, ლოცვნტები ა. ინაშვილი და კ. ნოღაიდელი თავიანთ კოლექტურ წერილში (იხ. „ლიტერატურული აქარა“, 1960 წ., № 1, გვ. 74).

ფრ. ხალვაშის „ბალადა შეჩინგურეზე“ სწორედ იმაზე მიუთიობდა: თუ რა სიმტკიცესა და გამძლეობას იჩენდა აქარელი კაცი თავისი ქართული მუსიკალური კულტურის დასაცავად, თუ როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს ამ კეთილშობილურ საქმეს.

ფრილონ ხალვაშის პოეზიის ობზრდელობითი ძალა აგრძელებ იმითაც ვლინდება, რომ იგი გმობს ჩვენი სინამდვილის ისეთ უარყოფით მოვლენებს, რომლებიც ძეველი, შავბრელი ცხოვრების გაღმინვანებით ასეთია, მაგრამაც, ჩადრის ტარება, რასაც ზოგჯერ ახლაც ვხვდებით აქარის მაღალმთან რაიონებში მცხოვრებ ქალთა შორის. ჩადრი ძევლად ქალის დაჩგრძული მდგომარეობის კონკრეტული გაჩვენებელია. იგი მუსიკის უნიკართული საყიდე ქალი ქართული და აბუჩა დაგების გამომხატველია. თურქებმა ძალით დაწერებეს ჩვენში ეს ბარ-

ბარსული წეს-ჩვეულება. უხეში შეუძლებელი სილამაზით განთქმულ იყო ალენ ქალს ჩადრი ჩამოაფარა, მოწყვეტა იგი საზოგადოებრივ სარბიელს და მამაკაცს დაუმონა. ქალისადმი ამგვარ მოჰყორბას ამართლებს ყურანი: „ქმრებს აქვთ ხარისხი თავიანთ ცოლთა უმაღლეს“.

სამწუხაოდ, თუმცა საბჭოთა ხელისუფლების დაყინულებიდან უკვე თხის ათელი წელი გავიდა, მაგრამ დღესაც გვხვდება ჩადრის ტარების ცალკეული შემთხვევები, რაც ყოვლად გაუმართლებელია და მწერლების სააგრიო მოვალეობა თავიანთი მხატვრული სიტყვით ებრძოლობ მანენ ვადმონაშოთს.

ამ თემაზეა დაწერილი ფრ. ხალვაშის პოემა „ჩადრი“.

ავტორი ვეჩიჩენებს ერთი ცოლ-ქმრის საოჯახო ცხოვრებას. კომუნისტ ენვერს ჰყებრებია ახალგზრდა ქალიშვილი სელვა. სელვასაც გულწრფელად შუალედა ენვერი. როდესაც ქალს თექმებარტი წელი შეუსრულდა, იგი ენვერმა ცოლაზ შეიჩოთ. ახლა მეუღლეს მან სულ სხვა „რჩევა“ მისცა: „ქალს უნდა ყოფნა ცალკე და მარტოდ“ და სახეზე ჩადრი ჩამარტარა.

სელვა ქმარმა სახლში ჩაკეტია, ხალხში არ გამოაჩინა. ერთ დღეს წყლის მოსატანად წასულმა სელვამ დაინახა, რომ ქმარი მოდის და ვიღაც უცნობი მამაკაცი მოჰყება. სელვა სახლში შებრუნდა და საჩქაროდ კაბა გამოიცვალა. ენვერი და მისი ამხანაგი, კახაბრელი არსენა სახლში შემოვიდნენ:

მაგრამ ცოლს არ გააცნო
ძმაკაცი, თავის სახლის სტუმარი.
ეპ, გული როგორ უნდა დაცხონ,
ქალი კი არა, ხარ სასოფთო...

ენვერის სახლში სტუმრები შეგროვდნენ. სმა-ჭამას უნდა შეუდგნენ, მაგრამ არსენა ხედავს, რომ სუფრას თვით ენვერი იწყობს, დაისახლის არსად ჩანს — ძველი ადა-წესების მიხედვით არ შეიძლებოდა ქალი სტუმართან გამოჩენილობა. სელვას გული სტკივა, რომ იგი ასე დამაღეს, მას სურს ახლა ენვერის გვერ-

დით იჯდეს ლია და ნათელი სახით, მაგრამ ქმრის ერიდება და ვერ გამოდის სტუმრებთან. მა ღრუს:

ადგა არსენი ხელში სასმისით, —
რალაც აწუხებს, ღელავს, არ ითმენს.
— ეს გაუმარჯოს, — ლინგალ
გაისმის, —

ვინც არის შენი დიასახლისი,
მე, შენს მეგობარს რომ დამარიდე.

არსენა გავიდა და მაგიდასთან სელვა მოიყვანა. მანი ენვერი ძალშე გააბრაზა, მაგიდა ნახევრად გადააბრუნა, მაგრამ იგი სტუმარმა შეაჩერა და ასე უოჩრა: გვამა შეწმა ღვინომ და პურმა, მაგრამ კარგია — ისიც გუვენოდეს, რომ ხელი მივცეთ მიმაპატურად ქართველ ჭალსა და სუტრის:

შემოქმედს.

არსენამ სელვას სადღევრებლო წამოიწყო, მაგრამ ენვერმა მას ჰიქა დაადგმევინა და „ქამართან სელით მოსინჯა თითქოს ბებუთი“ ამ ღრუს:

იღება სელვას შებლშე ლეჩაქი
და ქალი მტკიცედ ქმარს უბნება:
— ქმიტლე უდიდეს, მაგრამ ახლო კი
არ შემიძლია მე დადუმება.

დღეს ამ ოჯაში ჩემი ზიარი
პეშვი ნაცარი მანც თუ არი,
უნდა ვიცოდე, — მითხარ, ვინ არი
ისე უზრდელი, რომ უშეიარი
აღარ დაინდოს ჩემი სტუმარი.

მეულის აეთმა მოქმედებამ ძალშე გააბრაზა ენვერი, რომელმაც ასეთი სიტყვები მიახალა ცოლს:

— სად არის შენი სახლი, სად არი,
ჭაბას რომ მონახო საქმე ქალური... —
ენვერს ჩაუდგა თვალში აედარი
და მოყვიდა პირზე აღმური.

ასე დამთავრდა ეს შეხვედრა. არსენა წავიდა ცივი და მოწყვნილი, მაგრამ ეს წვეულება უშედეგოდ არ დარჩენილა. სელვამ ჩადრი აიხადა, რაც პოეტს გამოხატული აქვს ასეთ პეიზაჟურ-სახეობრივ ფორმაში:

ცას გაცრეცილი მთვარე იმ დილით
გაპროდა, როგორც თონეს ლავაში,
მალე უჩად რო ქალის
ღიმილი თ

შემოიხედა მზემ ფანჯარაში: უკანონები გიღმებით მისი დასასრულის შესახებ ვიმს-კელებდეთ, მანამდე გვსურს ასეთი კოხევა დავსვათ: დღეს რამდენად ტიპიურია ის მოვლენა, რასაც პოემა გამოხატავს? ნუთუ ახლა ჩემში ჩადრის ტარება იმდენად გავრცელებულია, რომ აუცილებელია მასზე განსაკუთრებულია ყურადღების შეჩერება? ცხადია, რომ დღეს აქადაში ჩადრი არ არის მასობრივი და გაცრცელებული. ეპარელი ქალი დიდი ხანია გამოვიდა ფართო საზოგადოებრივ საჩიტოლშე, მოიშორა ჩადრი და კომუნიზმის აქტიური მშენებელი განდა. ქალს ასე მიმართავს პოეტი ერთ თავის ლექს-ში:

დაუზიარელო მშრომელო,
მიწაზე მადლის მხატვარო,
ქალო, სატრფოვ და მშობელო,
შენ ჩემი გულის ღადარო...
მადლობა, რომ ხარ ლამაზი,
ჩემი მზე ეგ თვალებია,
შენ რომ მიწაზე ღადისარ,
ის მიწა შემყვარებია.

(„ეპარელ ქალი“)

ასეთია ტიპიური გარემო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესაც შეცხედებით ისეთ ქალებს, რომლებიც ჩადრს ატარებენ ნებით თუ ძალით. აგრეთვე არიან ისეთი ქმრები, რომლებიც ახალ აზრებს ქადაგებენ, სიტყვით ჩადრს ებრძეიან, მაგრამ თვითონ მათ კი თავიანთი ქალები ჩადრში ჰყავთ. ასეთი ნაკლებგავრცელებული უარყოფითი მოვლენა ჩემის სინამდვილეში დღეს არსებობს და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით შეიძლება მისი მხატვრული ტიპიზაცია, რაღაც ტიპიურია არა მხოლოდ ის, რაც მასობრივი და გაცრცელებულია, არამედ ისიც ტიპიურია, რაც იშვიათი და ნაკლებგავრცელებულია. ოღონდ ეს კიდ, რომ ნაკლებგავრცელებული უარყოფითი მხოლოდ მაშინ არის ტიპიურად გამოხატული, როდესაც იგი არ წარმოადგენს შემთხვევითის ნაკლებგავრცელებულს. მართლაც, ჩადრის ტარება არ არის შემთხვევითის ნაკლებგავრცელე-

შულობა. ეს ასეა იმიტომ, რომ ჩვენში ჩადრის ტარგბის წესი არ ყოფილი შემთხვევითი, არამედ იგი მოჰყევა აწარის დაცურობასა და მოსახლეობის გამუსლიმანებას. ამიტომ ღლევნდელი თითზე ჩამოსათვლელი ჩადრიანები იმ დროინდელი გაერცელებული მოვლენის არაშემთხვევითი გადმონაშთია და მის წინააღმდეგ ბრძოლას გარევეული საზოგადოებრივი მოტივი გააჩნია. ჩვენს ცხოვრებაში ნაკლებგაერცელებული უარყოფითი რომ ტიპიურად იქნას გამოხატული, ზემოაღნიშულ პირობასთან ერთად, კიდევ ერთი პირობაა საჭირო: იგი დაკავშირებულ უნდა იქნას ძველსა და ახალს შორის ბრძოლის კანონზომიერებასთან. ნაკლებგაერცელებული უარყოფითი ძველის მხარეზეა და ებრძევის ახალს. ნაკლებგაერცელებული უარყოფითი მაშინ არის სწორად გამოხატული, თუ ნაჩვენები იქნება ძველის, უარყოფითის დამარცხება და ახალის გამარჯვება. სწორედ ასეა იგი ნაჩვენები ფრ. ხალვაშის პოემაში: იმარჯვებს ახალი, მარცხება ძველი. იქ პოეტი სინამდვილეს გამოხატავს მის რევოლუციურ განვითარებაში, რაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ერთ-ერთი ნიშანია.

სელვატ მოიღიფა ჩადრი და გაბედულად, პირდაპირ დადგა ახლის მხარეზე. პოემაში მთავარია ენვერის გარდაქმნის კანონზომიერების ჩვენება. კომუნისტური პარტიის დახმარებით ენვერმა დაძლია თავისი ჩამორჩენილი დამოკიდებულება ქალისადმი.

როგორც პოემის შინაარსიდან ვაციო, აჩსენა წავიდა, ენვერს მაგიდაზე ჩამოეძინა. მეორე ღღეს სელვა სახლში აღარ აღმოჩენდა. საკითხი პარტიის კრებაზე განიხილეს:

კრებაზე იდგა ერთი საკითხი: წევრად ენვერის ყოფნა არა დამატებული აქვთ მიზეზები ხელმოსაკიდი მისი გარიცხვის, მისი „დამხობის“. მაგრამ უვალაფერს თვით აღიარებს და ეუბნება წრფელად პარტიის, რომ დაღის მოშლას თვითვე ივალებს,

ამგერად კრებამ თუ აპატია.

კრებაზე ენვერს სხვა ბრალდებებიც წაუყენეს. კერძოდ, გარკვევით უთხრეს, რომ მან სტუმარი გააგდო თავის სახლიდან, სელვაც გააქციო და ამით „სოფელს შეჩრმელი ქალი მოაკლო“.

ამ დროს კრებაზე მოღის სელვა და ამბობს, რომ იგი სოფლიდან არ წასულა. არამედ აჩსენასთან ყოფილა, რომ „ჩემი ოჯახის მეთევა ბოდიშიონ“. სელვას ასეთმა მოქცევამ დიდად გაახარა, ენვერი და იგი გარდაქმნა:

ადგა ენვერი: — ნუთუ მოდი შინ?.. კრებავ, მისმინა, ჴა, გეხვეწები, დამსაჯ ისე, როგორც მეკუთვნის. მეგუთნე ვარ და, როგორც შევქლი, ისე ვოქე სიტყვა ჩემ — მეგუთნის. იგრძნეს ენვერის სულში რაც სდება,

ქალის წასელას რომ გული

დაუწეავს,

იგრძნეს, რა კვდება და რა აღსდგება და ჩადრეზე ენაც არვის დაუძრავს. ასე გაიმარჯვა ახალმა ძველზე. პტორმა გვაჩენა ლრომოჭმულის დამარცხება და ახლის გარდუვალი გამარჯვება. მართალია, ახლის გამარჯვება სქემატურად არის ნაჩვენები, მას კლია ღრმა მოტივაცია და ეს ჩათვლება ამ პოემის ძირითად ნაკლოვანებად, მაგრამ მთლიანად პოემა უსათუოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდთ არის დაწერილი და განსაღი იდეის შთამაგონებელია.



მოთა ქარიშც

ანგონ ფურთხება ღიზეაგაზეადის ვენერენციურობის შესახებ

გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტის, კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურთხელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაზრებში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია ლიტერატურის ტენდენციურობის პრობლემას. ამ პრობლემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოციანი წლების დამდეგს, როცა მწვავე ბრძოლა გაჩადა ქართული ლიტერატურის მომავლის, მისი განვითარების გზების შესახებ.

შეიძლება თუ არა ხელოვნება იყოს უიდეო, უტენდენციო? მართალი არიან თუ არა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ მიმდევრები, როცა აცხადებენ, რომ ხელოვნება არსებობს თავისთვის და არაფერი ესაქმება ცხოვრებასთან, საზოგადოებასთან?

არა, არ არიან მართალი. „უსაქმოთ, უაზროთ, უტენდენციოთ არ. არის ხელოვნება“, გადატრით აცხადებდა ანტონ ფურთხელაძე. „ნუთუ, — ამბობდა იგი, — როცა ვხატავთ თუნდა უბრალო რამე პეიზაჟს, აქ არაფერი არა გვაქვს რა აზრთანა? ნუთუ, როცა ვწყვიობთ ნოტებზედ რამე სიმღერას, სიმფონიას, გალობას, არაფერი აზრი, არაფერი იდეია არა გვაქვს სახეში?! როცა ვწერთ ლექსს, დრამას, კო-

მედიას, რომანს მარტო იმისათვისა ვწერთ, რომ დაგწეროთ, და სხვა არაფერი აზრი არ ვიდევს თავში? ნუთუ შესაძლებელია გონებაში მყოფი კაცისაგან რამე საქმე დაწყოს უაზროთ, უიდეიოთ, უტენდენციოთ?“ რასაკირველია, არა. კიდევ მეტი. არა თუ არ არსებობს უიდეო წელოვნება, არამედ არც შეიძლება არსებობდეს. არ შეიძლება იმიტომ, რომ როგორც ყველა იდამიანი, ხელოვანიც საზოგადოებაში ცხოვრობს და შეუძლებელია გაეჭცეს მის გავლენას, არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი და სასურველის დასანერგვად ან უკუსაგდების მოსახლეობაზე არ გამოიყენოს ისეთი მძლავრი იარალი, რომელიც მას გააჩნია, — კალამი.

„უველა, — წერდა ანტონ ფურთხელაძე, — ვინც კი სცხოვრობს საზოგადოებაში, აქეს გრძნობა და შეგნება, პედავს საზოგადო მოვლინებათა ავსა და კარგს მხსრეს, რომელიც, უაველია, ანასკადავთ ან კარგათ პმოქმედებს. თუ კი პეშმარიტია, მაშინ არ შეგვიძლიან, როცა მეგრძნობიერთა და შეგნებულს პირებში არ ვიცნოთ ის გრძნობაცა, რომ ისინი უთუოთ ინდომებენ ბრძოლას ან საზარალოთ ან სასარგებლოთ ამ მოვლინებათა. და უთუოთ ასეც უნდა იყვეს და არის

კიდევცა. ამასთან ვერცავინ ამას აღვიარებს, რომ ერთი საუკეთესო იტალთაგანი მე-
გვარი ბრძოლისათვის არ იყენეს კალაში“.

ამავე აზრს ავითარებდა ანტონ ფურ-
ცელაძე სხვა სტატიებშიც. კერძოდ,
გ. ერისთავის თხზულებათა კრებულისა-
თვის განკუთვნილ „წინასიტყვაობაში“
იგი წერდა: „რამდენიც უფრო მაღლი
აზრი... ისახება ნაწერში, იმდენი ნაწე-
რებს უფრო მაღლა აყენებენ, რამდენიც
მწერალი უფრო აზრიანი და დიდ მა-
ღლალ იდეებსა სდევნის, ძლიერათ აქვს გა-
მოსახული საზოგადო სასაჩვენებლო აზ-
რები, იმდენი ამ მწერალსა თუ თხზულე-
ბათ უფრო მაღლა აყენებენ“. საცხებით
სწორი დებულებაა, ასევე საცხებით მარ-
თალია ანტონ ფურცელაძე, როცა განმა-
რტვას, თუ რატომ ვცემთ განსაკუთრე-
ბულ პატივს ისეთ მწერლებს, როგო-
რიც არიან მილორინი, დაწე, სერგანტე-
სი, ნეკრასოვი, ბარათშვილი. იმიტომ,
რომ ისინი „თან და თან უფრო ღრმასა
და სასაჩვენებლო აზრებს ახმარებენ ხა-
ლოვნებას, რომლითაც ამშენებენ თვით
ხელოვნებათაც და სწევნ კაც გონებას
შალლა, სწრაფენიან კაცთ ზენობას, კაცთ
მოყვარეობას, მოქალაქეობრივს ქვეყნის
სიყვარულს, ვერცელებენ თანასწორობი-
სა და ძმობის სწევლას, კაცობრიობის
სიყვარულს, კაცობრიობის ერთობას და
სხვა და სხვა და სხვა“.

რასაკირველია, მწერლისათვის დადი
შნიშვნელობა აქვს ბუნებრივ ნიში, მ-
გრამ ვერავითარი ნიში ვერ უშველის
მას და ვერ მოუპოვებს მყიდვი თვალსა-
ჩინო აღვილს ლიტერატურის ისტორია-
ში, თუ იგი თვისი ნიში არ ახმარს სასარ-
გებლო და ამალებულ იდეებს, თუ არ
არის უაღრესად ტენდენციური და თავისი
კალმით არ ეხმარება საზოგადოებას
ცხოვრების ძირფესვანად გარდაქმნაში.
დიდი მწერლები იმიტომ არიან დიდი
მწერლები, რომ ისინი „წერას პირ ჯა-
პირ ხმარებენ იდეების გასაყვანათ, დას-
ცინან სხვა და სხვა წყობილებათ, ჩვე-
ულებათ, წესა, ქცევათ და სხვა“. ეს
სრულიად უშველია. აბა „გამოაცალეთ
ამათ თხზულებათ იმათი იდეება, რენ-

დენ. კიები და ისინიც ისე მსწარად შემოსის გადასახლებულინი, როგორ კი მათ გადასახლება კუოდის გვეყნისა პოლდევად
კები, ფელიები, დუმებინი“. მიუხედავად
იმისა, რომ ანტონ ფურცელაძე აქ აქა-
ზებს, კერძოც, ალ. ლიუმას მიმართ, პრი-
ციპულად სწორ აზრს ავითარებს.

მკაცრად გაილაშქრა ანტონ ფურცე-
ლაძემ იდეალისტ ესთეტიკოსთა იმ დე-
ბულების წინააღმდეგაც, რომ ხელოვნე-
ბას თითქოს „თავის თავათ აქვს აზრი“
და რომ მწერალი თვითონ არ უნდა ცდი-
ლობდეს შეიტანოს ნაწარმოებში ესა თუ
ის იდეა, ესა თუ ის „წინად აღებული
ას აზრი“. ეს იყო ხელოვნების იდეუ-
რობის მორცევი აღიარება, მაგრამ მისი
ტენდენციურობისა და უტილიტარული
პრიციპის უაყოფა. ამთ თეორიის
„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიმდე-
ვრებს სურდათ გაექარწყლებინათ ან შე-
ენელებინათ უკვე დამკაიდრებული კრი-
ტიკული რეალიზმის გავლენა საზოგა-
დოებაზე და ლიტერატურა ასტებითად
ჩამოეშორებინათ აქტუალური სოცია-
ლურ-პოლიტიკური პრობლემებისაგან, ჩა-
ხაკერთათ იგი თავის თავში, ხალხისაგან
შორს მდგომ კოშეში, სადაც ვერ მიაღწე-
ვდა „კაც ურიამჟლი“. სწორედ ასეთი
ესთეტიკისტი ჰყავდა მხელევლობაში
ანტონ ფურცელაძეს, როცა წერდა: „ზო-
გვერ ეს მქადაგებელი ხელოვნება ხე-
ლოვნებისათვის უმატებენ თავის სწავ-
ლას შემდეგი: ხელოვნებას არ უნდა პერ-
ნდეს წინად აღებული რამ აზრი სახეში.
კაცი უნდა შეუღებს ხელოვნებას, შეას-
რულოს ხელოვნება და რაც აზრი გამო-
ვა — გამოვა. მხოლოდ ამგვარიდ გა-
მოსულს აზრს აქვს ძალა, ნამდევილი მნი-
შენელობა, და ხელოვნება მარტო მაშინ
ასრულებს თავის ნანგვილს დანიშნუ-
ლებასათ. ასევე რომ ხელოვნებას თავის
თავათ აქვს აზრიო. წინად არ უნდა ი-
ღო აზრი და არ უნდა ამას ხელოვნებაონ“.

იდეალისტ ესთეტიკოსთა ამ დებულე-
ბაში ანტონ ფურცელაძემ სწორად შე-
ნიშნა ერთი მეტად საყურადღებო მო-
მენტი — ცნობიერი აქტის შეგნებული
უაყოფა, „შთავონების“ პრიმატი, რაც



თავისი მახვილით მიმართებული იყო ხელვნების ტენდენციურობის წინააღმდეგ. „აქაც ერთი რამ არის საკითხავი. წარმოვიდგინოთ ამგვარი მდგრადი კაცისა, როდესაც იმას არავთარი აზრი არ უდევს თავში, უაჩრიდ ადგება რაღაც საქმესა, არ იცის რისთვის აუთურებს ზელებს, აცოდვილებს გონებას, — ნუთუ აქედან შერჩევება ჩამო აზროვნება, გონივრული მოსახმარი და გამოხაყენებელი საქმე, სწავლა და სხვა!“ თეოთონ წერის, შექმნის პროცესში ხელოვანი შეიძლება არ იყოს მოკლებული ნამდვილ უთავობას, თუმცა ბევრი მწერალი ამას უარყოფს, მაგრამ შემოქმედება მაინც ცნობიერი აქტია. ეს იმიტომ, რომ ვიდრე დაწერდეს, მწერალს უკვე თავში აქვს მომავალი ნაწარმოების იდეა, ტენდენცია, როგორც ცოცხალს, ხედას ხასიათებს, იმ გარემოს, სადაც მისი პერსონაჟები მოქმედდებენ. არისელს გამოჩენილს მწერალს გვაჩვენებენ, — კითხულობდა ანტონ ფურცელაძე, — რომ ბევრის ხსნის წინად მინამ ამ ღვაწლს შეასრულებენ, ან შეუდგენიან მისი შრომას, ჯერ თავში არ ჰქონდეთ ეს ღვაწლის აზრი გამოსახული, ბეგერს ხანს არ ტრიალებულიყვეს მათს გონებაში, არ შემოსილყვეს იქ საჭირო სამოსელით, მემრე აღსრულებამდის, არ შეარდგინოს კონსპექტი, პლანი და შემდგომ ღრღის ჩაფიქრებისა, აზრებისა აწონ-დაწონებისა, შემოწმებისა და გამზადებისა, არ შერდგომან იმ ღვაწლს, რომელსაც მას უკან გვაძლევენ მზად, ისტუმრებენ ქვეყნად ქვეყნის სახმარისად, დასაცავებლად!“

ნათებების დასადასტურებლად ანტონ ფურცელაძეს არაერთი მაგალითი მოაქვს მსოფლიო ლიტერატურიდან. „აიღოთ გონებით უძლიერესი გოვრე, — წერდა იგი. — რომელი ნაღვაწლი აქვს, რომ წინად ჯერ თავსა და გულში არ შეემუშვებინოს, მემრე კონსპექტები არ შეერდგინოს და მხოლოდ ამის შემდგომ არ ჩაესვას ხელოვნების ყალიბში?! ეს დიდებული გონების კაცი ამბობს, ფასტრის მეორე ნაწლო თრმიც და ათი შელიწადი მჯონდა თავში და იქ გამზადე-

ბული დასაწერათო. აიღოთ გოლოვანი, მასზეთლაც და შეუდარებელი ბარიონი, აიღოთ გოგოვა, მოლიერი, პუშკინი, ნეკრასოვი, გოგოლი, ვინც გინდა — ყველანი ჯერ წინად საზრამენ, არღვენენ პლანს, სწერენ კონსპექტს, და ბორის აზრს, იდეიას, ტენდენციას აძლევდნენ ხელოვნებას მათს გამოსასახავად, გამოჰყავდათ ხელოვნების ყალიბში.“

მაშასადამე, შემოქმედება ცნობიერი აქტია და ყველა მწერალს, ამა თუ იმ ნაწარმოებს რომ ქმნის, აუცილებლად აქვს „წინად აღებული რამ აზრი“, რომლის „გაყანასაც“ იგი ცდილობს თხშულებაში. და სწორედ ეს „წინად აღებული რამ აზრი“ არის ტენდენცია.

„არის ხელოვნებაზედ კიდევ ერთი სწავლა, — წერდა ანტონ ფურცელაძე, — რომელიც იმგარსავე შეუძლებელს საქმეს ჰქადაგებს, როგორც მქადაგებელი ხელოვნება ხელოვნებისათვის. ესნი იძახიან, რომ ხელოვნებაში სუბიექტური შეხედულობა ამცირებს ხელოვნებას. შეხედულობა აეტორისა უნდა იყვეს ობიექტურიო. ესე იგი მოლვაშე ხელოვნებაში თავის თვალით და გონების მოსახრებით კი არ უნდა უყურებდეს საქმესა, უნდა ისრე გვაცნობებდეს, როგორც ოვით ბუნებაში არისო“.

ამ მოთხოვნაში ანტონ ფურცელაძემ უსაფუძღლოდ როდი დაინახა გალაშერება ლიტერატურის ტენდენციურობის წინაღმდეგ და შესანიშავად დასაბუთა, რომ არაერთარი ხელოვნება არ არსებობს სუბიექტირების გარეშე, რომ „ხელოვნება შეიძლება მხილობ სუბიექტური“. რა თქმა უნდა, როგორც მატერიალისტმა, მან კარგად იცოდა, რომ სინამდვილე ობიექტურად, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს და არ თანაურანიბლად იდეალისტ ფილოსოფიებს — ფიხტეს, შელინგსა და სხვებს, რომლებიც საწინააღმდეგო დებულებას აეითარებდნენ და მტრიცებლნენ, თოთქოს ობიექტური სინამდვილე, კერძოდ, ბუნება იდენტალ არსებობს, რამდენადაც არის სუბიექტი — აღამიანი. აკრიტიკებდა რა შელინგის იდეალისტურ ფილოსოფიას,

ანტონ ფურცელაძე დაუფარავი ირონი-ით წერდა: „ბუნება არ არის, ბუნება ჩვენი გონიერის ქმნილებაა. ასრუ, რომ შელინგი კი არ არის ბუნების ქმნილება, ბუნებაა შელინგის ქმნილება და ისიც რა ქმნილება! — ოცნების ქმნილება, სიზმარი“. მაშასადამე, როცა იგი წერდა „ხელოვნება შეიძლება მხოლოდ სუბიექტურით“, ეს უნდა გავიგოთ მატერიალისტურად. სინამდვილე, რომელიც ხელოვნებაში აისახება, ობიექტურად არსებობს, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ხელოვნებაში იგი შედის სუბიექტის მეშვეობით, სუბიექტის აღმის, შემცნების, შემოქმედების შედეგად და ამიტომ „თვით ობიექტი გამოისახება ისრეთი, როგორათაც შეეთვისება ჩვენს სუბიექტს, როგორც უჩვენება ეს იმას“, ე. ი. სუბიექტურად.

ავითარებდა რა ამ აზრი, ანტონ ფურცელაძე წერდა: „მე ბუნებას, ყველა ბუნების მოვლენებას ისრე ვიცნობ, როგორც ჩემს სუბიექტს, ესე იგი ჩემს გონებას, ჩემს ცნობიერებას მიუღია. მე ის შემიძლიან ვთქვა და გამოვსახო, რაცა და როგორც მე მიცნია, რაცა და რა სახითაც ჩემს თავსა და გონებაში შესულა. რაც ჩემს გონიერის გარეთ სდგას, რაც, ჩემს შთაგებდილებას, ცნობიერებას არ შეჰვებდა, არ მიუღია, როგორ უნდა ასწერო და გთქვა ისა?“ და რაკი ასეა, რაკი ობიექტი ხელოვნებაში შედის სუბიექტის მეშვეობით, შეუძლებელია ასახულში თავი არ იჩინოს სუბიექტურა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედების პროცესი არის ობიექტის სუბიექტირების პროცესი და ამის გამო ხელოვნებაში ობიექტი გვეძლევა გასუბიექტირებული სახით და არა პირდაპირ. ეს, ანტონ ფურცელაძის აზრით, თანაბრად ეცება მსჯელობას, აზროვნებასაც. „ამის გამო, — წერდა იგი, — აქაც მსჯელობა შეიძლება მხოლოდ სუბიექტურად, რაოგან, როგორც ითქვა, რაც ვიცით, სუბიექტურად ვიცით. და რაც უნდა გავაკეთოთ, რაც უნდა ჩავიდინოთ, ყველგან ჩვენს სუბიექტურს შეხედულობას, მსჯელობას შევიტანთ“.

თავისი აზრის ნათელსაყოფად პირობების ფურცელაძე იშველიებს საილინგის მასალას, კერძოდ, ახასიათებს შემოქმედების პროცესს, მხატვრული ნაწარმოების შექმნის, მისი გაჩენის პროცესს. იგი, ეს პროცესი, როგორც წერა, იმით წყება, რომ მშერალი ბეჭითად სწავლობს სინამდვილეს, ობიექტს, რათა რაც შეიძლება ღრმად ჩასწოდეს და ყოველმხრივ გაიცნოს მისი „მეს“ „გარემონფი“. „რავდენც უფრო გაიხსნება კაცის გონება და შეიმიტება სწავლით, იმდენი უფრო გადაიშლება მის წინ ობიექტი და გაიცნობს მას სუბიექტი, — წერდა ანტონ ფურცელაძე. — ესე იგი, როგორც ფალოსოფისი ამბობენ: ჩემი მე გაიცნობს არა მეს. მე გავიცნობ ჩემს გარემონფს“. ამრიგად, აბიექტის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლა შემოქმედების უპირველესი პირობა და საფუძველია. რაც მეტი ვიცით ობიექტზე, მით უფრო უკეთ და მართლად გამოვსახვთ მას. როცა ობიექტი შესწავლილია, იწყება მისი ასახვა, გადატანა ხელოვნებაში, რომლის დროსაც განსაკუთრებით მეტიონდ ვლინდება მწერლის დამოკიდებულება შესწავლილი ობიექტისადმი, მისი ტენდენცია. ვთქვათ „ა“ მოვლენა მწერალს მიაჩნია დადებითად, ხოლო „ბ“ მოვლენა—უარყოფითად. მაშინ იგი „ა“ მოვლენის გამოსახატავად შეარჩევს დადებით ტიპს, ხასიათს, ხოლო „ბ“ მოვლენის გამოსახატავად—უარყოფითს და მათი ურთიერთობის, მოქმედების, კცევის, მსჯელობის მეობებით ვადმოვცემს თავის შეხედულებას ანუ ტენდენციას. ამის გამო ნაწარმოებში აუცილებლად ჩანს, თუ ვის თანაუგრძნობს ვეტორი, ვისი საქციელი მიაჩნია მისაბადად და ვის არ თანაუგრძნობს, ვის საქციელს გმობს. „რაკი ამგვარად ყოველს სიტყვაში, ყოველ სიტყვის კილში გამოსტვივის თვით აგტორი, აგტორის აზრი, შეხედულობა, ცნობა, გონება, სად არის აქ ობიექტური შეხედულობა საგანჩენდ? — დაასკვნის ანტონ ფურცელაძე. — რომელს კილოთ იჩვენებიან გინდა შექსპირი და ვინდა სხვა ავტორების-

ნაწერებში, რომ არ იყოს სუბიექტური და ეთემდეს იბიექტურობა?“

ნიშანებს თუ არა ეს, რომ ანტონ ფურცელაძე სრულ თავისუფლებას აძლევს სუბიექტს — მწერალს, რომ მან ისე გამოხატოს იბიექტი, როგორადაც სურს და ანგარიში არ გაუწიოს მის ბუნებასა და კანონზომიერებას? თავისთვალ ცხადია, არა. ჭრ ერთი, იგი მოითხოვს იბიექტის რაც შეიძლება სრულად და ღრმად უცხადოს, შემდეგ აუცილებლად მიიჩნევს, რომ მწერალი მსჯელობდეს სწორად, გონივრულად, იჩენდეს მიუკერძოებლობას, იყოს კეშმარიტების ერთგული. „ჩემგან, — ჭრდა ანტონ ფურცელაძე, — შეუძლიანო მომთხოვონ მხოლოდ სწორე მსჯელობა, ცნობიერად და გონივრულათ აღწერა, მიუფრებლობა, კეშმარიტება, დამყარებული აწონვილს გამოკვლევებსა და მოსაზრებაზედ, მაგრამ რომ მომთხოვონ იბიექტურად საქმის შეხედვა, საქმის გამოსახვა, — ეს წმინდა აბსულდია.“ სხვა სტატიებშიც კრიტიკოსი მოითხოვდა სრულ სიმართლეს, იბიექტის მართლად გამოსახვას და მკაფიოდ აკრიტიკებდა იმ მწერლებს, რომლებიც მისი აზრით, მეტისმეტად ფართო სარგებლს აძლევდნენ სუბიექტივისტურ მისწრაფებებს და უგულებელყოფლენენ იბიექტის კანონზომიერებას, დალატობდნენ სიმართლეს. „ცხოვრება უნდა გამოისახოს იმით, — მიუთითებდა ანტონ ფურცელაძე, — რაც მისგან გამომდინარეობს და რაც გასში არსებობს“. მაშასადამე, არავის არა აქვს უფლება სინამდვილეს თავზე მოახვიოს თავისი ვიწრო-სუბიექტური შეხედულებები და ცხოვრებაში დანინხოს არაასებული მოვლენები. სწორად არ იქცევიან არც ის მწერლები, რომლებიც შეიძლება ცხოვრების მოვლენებს მართლად გამომგვცემენ, მაგრამ პერსონაჟებს ამონაზე არ იქცევიან სუბიექტური შეხედულობას, ავტორის აზრს, სადაც ისა პზის სუბიექტურ წრეში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაწარმოებისათვის, მაგრამ იბიექტურისა შეუძლებელია, რადგან ყოველგვარ თხზულებაში „ავტორი თავის მომქმედ პირთ, მათს ქცევას, მათს ლაპარაკს ან თანაუგრძნობს ან არა. ერთშიაც და მეორეშიაც თქვენ პხედავთ ავტორის შეხედულობას, ავტორის აზრს, სადაც ისა პზის სუბიექტურ წრეში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაწარმოები იყოს იყოს იბიექტური, თუ კი ცნებას „იბიექტური“ გავაიგივებთ ცნებასთან „სიმართლე“, მაგრამ ისინი ხომ სინონიმები არ არიან და ამიტომ მათ შორის ვერ დავსამთ ტოლობის ნიშანს, ეს იქნებოდა ტერმინების არევა. „თუ დავარქვით სიმართლეს იბიექტურობა, — ჭრდა ანტონ ფურცელაძე, — განა ეს სიტყვების არევა არ იქნება, ტერმინების შესლა? განა ეს სიმართლე არ შეადგენს სუბიექტურს ნაყოფს ავტორისას, ავტორის სუბიექტური გონებისას? ან ეშლებათ იბიექტივიზმის მქადაგებელთ ერთმანეთში ტერმინები: სიმართლე და იპივრივიზმი ან შეხედულობა იბიექტური, როგორც ეს სიტყვა ესმის ფილოსოფიას, შეუძლებელია“.

ისინი, ეს ხასიათები, პერსონაჟები, ჭრები, უნდა უთანხმებოდნენ თავის „მონაცემების და თავის საფულებელს“, ე. ი. ცხოვრებას, სინამდვილეს, ხოლო მეორე მხრივ, ცველა მათგანი „უნდა წარმოსთვამდეს საზოგადოების, გინა საზოგადოების პირთ, რომელსამე მხარესა“ და, ბოლოს, ისინი „უნდა იყვნენ ცოცხალი, რომელიც თავისი სინამდვილით შესაძლებელი იყვნენ და არსაიდამ ჩამოტაცებული, ან ვეტორის აუცნებით განსცემული“. ამ ამონაზერებიდან ცხადად ჩანს, რომ ანტონ ფურცელაძე არ იზიარებდა არც სუბიექტივიზმს, რომელიც უგულებელყოფა იბიექტის ნამდვილ ბუნებასა და კანონზომიერებას, და არც იბიექტივიზმს, რომელიც ფაქტურად გალისხმიდან უტენდენციობას, ტენდენციაზე უარის თქმას. სიმართლე, სინამდვილის ერთგულება, ამტკიცებდა იგი, აუცილებელია ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის, მაგრამ იბიექტურისა შეუძლებელია, რადგან ყოველგვარ თხზულებაში „ავტორი თავის მომქმედ პირთ, მათს ქცევას, მათს ლაპარაკს ან თანაუგრძნობს ან არა. ერთშიაც და მეორეშიაც თქვენ პხედავთ ავტორის შეხედულობას, ავტორის აზრს, სადაც ისა პზის სუბიექტურ წრეში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაწარმოები იყოს იბიექტური, თუ კი ცნებას „იბიექტური“ გავაიგივებთ ცნებასთან „სიმართლე“, მაგრამ ისინი ხომ სინონიმები არ არიან და ამიტომ მათ შორის ვერ დავსამთ ტოლობის ნიშანს, ეს იქნებოდა ტერმინების არევა. „თუ დავარქვით სიმართლეს იბიექტურობა, — ჭრდა ანტონ ფურცელაძე, — განა ეს სიტყვების არევა არ იქნება, ტერმინების შესლა? განა ეს სიმართლე არ შეადგენს სუბიექტურს ნაყოფს ავტორისას, ავტორის სუბიექტური გონებისას? ან ეშლებათ იბიექტივიზმის მქადაგებელთ ერთმანეთში ტერმინები: სიმართლე და იპივრივიზმი ან შეხედულობა იბიექტური, როგორც ეს სიტყვა ესმის ფილოსოფიას, შეუძლებელია“.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ტენ-
დენცია, პირადული თუ საზოგადოებრი-
ვი?

ანტონ ფურცელაძე ამ პირბლემასაც
შეეხო და რუსი რევოლუციონერი დე-
მორქატების, აგრეთვე თერგდალეულთა
კვალდაკვალ წამოაყენა ლიტერატურის,
ხელოვნების ხალხურობის პრინციპის. მი-
სი აზრით, მწერლის სუბიექტურ შეხე-
ლურებას ანუ ტენდენციას მაშინ ექნება
გამართლება, მაშინ მოიტანს საჩემოლ-
ბას, როცა იგი გამოხატავს მწერლის არა
ვიწრო-პირადულ, სუბიექტივისტურ თვა-
ლასაზრისს, არამედ სრულად და ყოველ-
მხრივ დაემთხვევა მოწინავე, რევოლუ-
ციური კლასების, ხალხის თვალსაზრისს
და მათს მისწრაფებებს, მიმართულია
ცხოვრების გარდაქმნისაკენ და მიზნად
ისახავს, ერთი მხრივ, უარყოფითის, ძვე-
ლისა და დრომოქმულის ლიკვიდაციას,
ხოლო შეორე მხრივ, ახლის, პროგრე-
სულისა და განვითარებადის მხარდჭე-
რას, დამგვიდრებას.

დიდი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრისოვის
ფასდაუღებელ დამსახურებად ანტონ
ფურცელაძეს ის გარემოება მიაჩნდა, რომ
მისი პოეზია ხალხის გულისხმებას გამო-
ხატავდა. „რუსების მელექსეგბში. — წერ-
და იგი. — თოქმის პირველი ნეკრისოვი
იყო, რომელმაც მიაჲყა გონება თავის
აღმზრდელ მსაზრდლებელ დაჩაგრულს
ხალხს, შეუდგა ამ ხალხის ცხოვრების
შესწავლას, დაწყო ლექსეგბში წარმო-
ქმა ხალხის გრძნობისა და იმის მდგო-
მარებისა, იმის მწუხარებისა და სხვა ვი-
თარებებისა“. კრიტიკოსის აზრით, ეს იყო
მისაბაძი საქციელი, ყოველი პოეტის,
საერთოდ ყველა ხელოვანის პირდაპირი
მოვალეობა და გულმურებალედ მოუწო-
დებდა ქართველ ლიტერატორებს ხალ-
ხის სამსახურისაკენ.

ხალხურობის პრინციპი ქართულ ლი-
ტერატურაში პირველად თერგდალეუ-
ლებმ წამოაყენეს, როცა მათ იღია კავ-
ჭავების მეთურიობით გადაწყვეტილ იე-
რიში მიიტანეს „მამების“ უაზრო, უიდეო
ლიტერატურაზე და მოითხოვეს, რომ ხე-
ლოვნებას, კერძოდ ლიტერატურას გა-

მოესახა ცოტხალი სინამდვილე, ხალხს
ინტერესები, აღვარი და გარემონტი
ერის საჭირობო საკითხები ჭრილი
ნება, მტკიცებდნენ ისინი, არ არის ცა-
ლეჭულ პირთა კერძო საქმე, იგი არც ვა-
სართობია, არამედ მტლავრი იდეული
იარალი, რომელიც ხალხს უნდა ესახუ-
რებოდეს. ეს გახდა წყალგამყოფი ქე-
დი, რომლის ერთ მხარეზე დარჩა „მამე-
ბის“ დრომოქმული სენტიმენტალურ-
რომანტიკული, კონსერვატორული ლი-
ტერატურა, ხოლო მეორე მხარეზე წარ-
მოიშეა და სწრაფად იწყო განვითარება
რეალისტურ-პროგრესულმა მწერლობაში.
„და, — წერდა იღია კავჭავაძე, — ზო-
გიერთმა უნაყოფუ პოეტმა ხელოვნების
სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალ-
ხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩე-
როს გაბეცებული თვალები და ბულ-
ბულსავით უაზრო შტევნა დაიწყოს და
ალარ გათავოს, ჩვენ იმათთან საერთო
გზა არა გვაქვს.“

თერგდალეულებთან ერთად „მამების“
ლიტერატურის წინააღმდევ გაიღმიშვრა
აგრეთვე ანტონ ფურცელაძემ, რომელიც
სიკელილამდე მტკიცედ იცავდა დებულე-
ბას, რომ ლიტერატურა და ხელოვნება
ცხოვრებას, სინამდვილეს უნდა ასახა-
დნენ და ხალხს ემსახურებოდნენ. უკვე
1863 წელს სტატიაში „ქართული ლიტე-
რატურა“ მან მწვავედ დასცინა იმ ლი-
ტერატორებსა და ლიტერატურის „მოყ-
ვარულთ“, რომლებსაც საზოგადოების,
ხალხის სამსახური კი არ აინტერესებ-
დათ, არამედ საკუთარი განდიდება, თა-
ვის გამოჩენა და, ამჩინად, მწერლობას
მიიჩნევდნენ ცალკეულ პირთა კერძო და
არა საზოგადოებრივ საქმელ.

ვინ იცის, წერდა ანტონ ფურცელაძე,
საიდან და რამდენნაირი თხზულება არ
მოსდის „ცისკრის“ ჩედაციას, რომლე-
ბზეც მათს ავტორებს „გაუბრტყელე-
ბით სხვილის ასოებით ჩინი, ტიტული,
თავისა და მამის სახელი და გვარი“. ბე-
ვრი მოთვანი. განაგრძობდა ქრიტიკოსი,
„ფულსაცა გზვენის“, ოღონდ დავიდებულ-
დეო; ერთს ამგვარ მწერალთაგანს კველი
და ერბო გამოეგზავნა ერთ ლექსის და-

մածելեատ... ծովու ցամունու, հռմ ամատ աշխա պոգուն, հռմ տացու սաեւնու դա ցարու թագյունուն նաեւն. ցև ուղարքու կոտեցա մարդու մօտես տացու առ արուն, ցև ուղարքու կոտեցա ծցըն իշեմն լուրջա-թորհեծա սկզիրս, հռմելունու նեցա սա- պորհեծա առ եկելամեն, զարդա տացու սաեւնու ցամոհենուսա. հայու միշերլունծա ամ սանոմուն ուլցերժնենք դա սարհատ ոյց բորհաց սարցելունծատցու ցամոցցենցենատ, անտոն ուշրլունծա սուրպուտ, ցա- սացցուր հռուն ոյց, հռմ լուրջա-թո- րհեծ դա լուրջա-թուրա սրուլունտ առ մօսլուց եալես սափորհեծա դա քերա- նուն, ցոտամ դա Մուրպուտ, հռմ թէց կացո առ դա մայսանամու ուրցուահուն.

ցև մուտ պոցի մութիցեցելու ոյց, հռմ ցարցուցալու սուրպալուր-թունուրիցուրի ու- հռմեծա ցամո յարտուլ լուրջա-թուրա սա ցանսայցուրհեծուլ հռուն ունճա Մուրցելու- լուցին յարտցուլ եալես սկզորհեծան. Սթորհեց թա սնճա ցյուսիր ուցուուցուու- րի եկելագուս դա թինամծունու մօսու դա առ սանոցագուցերիցու լուրցուրհեծա հռ- մելումը սեցա ուղարման. առ մօտուն միշերլա անտոն ուշրլունծաց: „Տուրցուն լունու- մոյցա, հռմ սթորհ ցիչեց դացցենցենու իշեմն սանոցագուցա դա օյենսա մօսեցու սոմահունուս դա սիմինցու ցոտարեծա դա ցանենցի, ոյց լուրջա-թուրա“. լուրջա- թուրա Մուրցուցա ունճա միշելունդա ամ մեցումարենձան սանոցագուցա. Ցացիր ամ „մամեցու“ առ դացուցանցենք լուրջա-թու- րիս ամ ցանսայցուրհեծուլ հռուն, մօս ս- սանոցագուցերից դանշնուլունծա դա կըլազ դա կըլազ տենչազնենք սկան դա ուրու ունցեցեծ սացես նաֆարմունծա, մօսու տարցամունծա յնու.

առ, ամ ցիտ ուր թացուու յարտու- լու լուրջա-թուրա, ցեր Մուրցելունդա տացու թմոնցա մոցալունծա եալես, ցրու թինամեց. եալես, սանոցագուցա սկզիրդուն- դա առ ուրու ունցեցեծ դա սանիր լոյ- յեցեծ ու մոտեհունցի, ահամել թէցի- մուն, հացուուրուն սուլուսկցուցենու ցալունունու լուրջա-թուրա, հռմելու ուիցենցեծ դա մատ սթորհ ցիս դա ցայեմահու- նուն ուկցուցու մօմացլունուս ծրիմ-

լունի: „Լուրջա-թուրիս ցալու նիշերլա անտոն ուշրլունծաց, — հռմ սեցա դա սեցա յեշեմարունիս դա մօյունիս սածու- տունու միշերլունծա եալես դա սանո- ցալունծա սանոցալու սասահցելու սայ- մենցէ դա լուրջամաս դա սնճա սկենունց հանուն մօցումարենծա ու սանոցա սա- սահցելու սայմեցի, Մուրես յոցու հոցս սանոցալու սայմունցա դա այնոնծա մկունցելու մօսու ցոտարհեծա, Մուրես եալ- ես սկզորհեծա դա սիշենու յոցու մեանց ամ սկզորհեծա եալուն մաշնու մեանց ամ սկզորհեծա յեշեմարունիս սասահցելու մեանցելուն“.

մօս մօսածա մացալունու, ու հաս դա հռցուր ունճա յմսակցունցելունց լուրջա- թուրա, հռցուր ունճա սարցունցելունց լոյց- սթորհեց մոցալունծա, անտոն ուշրլուն- ծաց սանունց հանուն հոցունցուու- լունցուրիուն դա հյուսուլ հոցունցուու- լունցուրիուն դա հյուսուլ սերու լուրջ- աթուրա, ցրիմու, նյուրասոցու, ցոցո- լուս; ցրիմունցունց դա սեց. Մուրումե- ցեծա. նյուրասոցու սուդունց օմասահցելու- նա ու ոյց, յեշերլա անցրու ուշրլունծաց, հռմ սթորհ ցիչեց դացցենցենու իշեմն սանոցագուցա դա ամուն լուրջա-թուրիս տությմու մօսուն դատիցու լոյյեցեծ սասահցելու անհեծա ցայցա- նա դա դատիցու վրա, հռմ լոյյեցի առ յոցունուր ցարունու լոյյեցի ու — սան- իր դա յասանու, հռցուր պանամունա սթո- րհեց եալունի; մօսու տությմու յոցու մուցա լոյյեց իսաւլցա սուլու, սանցա ամ լոյյեց սին սեցա դա սեցա սուրհատցա, սեցա դա սեցա դարձա դա ցահամ դահաց- րունցունծա դա ուգունծա լոյյեց սին ուց սկզորհատ դաթյունա ցամունացա, հռմ մոցունց մկունցելու ցրիմունա դա հացույիշեցինա ու ամ լոյյեց սին ցամունց անհեցու“. մօսուց սուրպունց նյուրասոց- նե աջրց ամ սայմեց — „սանոցա մօցու- մարունծա սանցա դա սասահցելու անհեծա ցայցանա“, ողոնց առ ծոցնու- նի, եցլու մոկունց ցրիմունցումա դա ցոցունա. մալց մատ սամահցու մօմցուրանու ցանինցատ, սկզորհցու յոցունուս յունուս յունուս ան- ցա լոյցինցունծա մորուն. „յմաթցունմա տա- օնամ, — Մունշնացա անտոն ուշրլունծաց, — մաշնուց սկզորհատ ոցունու սահ-

გებლობა ამ გვარის წერისა და, თითქმის ყოველმა ახალმა მწერალმა იშუონ ბატვა ამ ორი მწერლისა. ბოლოს მარტო ცარიელი სურათების სახვასაც არ დასკერდნენ და დაწყებული ამ გვარს თხზულებაებში სხვა და სხვა სასაჩვებლო აზრების ჩა-სახვაცა... ასე რომ თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასაჩვებლო გზასა და ნამეტნავთ დაწინაურებული ყმაწვილი თაობის წარმომადგენელნ მწერალნი.

ანტონ ფურცელაძე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რესულ ლიტერატურაში გამატონებულმა ამ ახალმა მიმართულებამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზეც და საკრატველოშიც დაიწყო მძლავრი მოძრაობა ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის დახლოებისა და მაღალი იღეურობისათვის. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომზღდარიყო. „რათგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელს რუსის მწერლების შეკლაში, — წერდა ანტონ ფურცელაძე, — ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასაჩვებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც. ავათ არის, თუ კარგათა, ჩვენი ყმაწვილი მწერალნი ცდილობენ, რომ იმათი თხზულებაები არ იყვნენ მკითხველის ტყუილათ დროის წამრთმეველნი“.

მტრივად, ანტონ ფურცელაძე, ლიტერატურისაგან მოითხოვდა აესხა ცხოვრება და გაევრცელებინა პროგრესული იდეები, ე. ი. ყოფილი ხალხისათვის სასაჩვებლო. ხალხურობისა და უტილიტარიზმის ეს პრინციპი, რომელიც სათავეს იღებს რესულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ესთეტიკაში, გაქდა ქართველი კრიტიკოსის ერთ-ერთი წამყვნი, სახელმძღვანელო პრინციპთაგან. მას მტკიცედ სწამდა, რომ ის, რაც სასაჩვებლო არ არის, არც საჭიროა. თუ კი მხატვრული ნაწარმოები არაფერს არ ეჭნება მკითხველის სულსა და გულს, არ განუმარტავს სიცოცხლის აზრს და ადამიანის მოვალეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ე. ი. თუ არაფერს არ ასწავლის, ანუ, ნ. გ. ჩე-

რნიშვესკის გამოთქმა რომ უიზაროთის არის „ცხოვრების სახელმძღვანელო“ და შეთხმულია მხოლოდ დროის მოსაკლავად, თავის შესაცევად, ასეთი თხზულება ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს საზოგადოებას და, მაშასადამე, არც საჭიროა. „ჩვენ ამ აზრითანა ვართ, — წერდა ანტონ ფურცელაძე, — რომ ამგვარი უნაყოფო თხზულებაების კითხვასა, ისევე კაცმა თამაშობაში დრო გაატაროს — ისა სჯობიან“.

რაკი ხელოვნება სასაჩვებლო უნდა იყოს, პროგრესულ იდეებზე ზრდილებ მკითხველებს და აწყდოდეს მათ „ცხოვრების სახელმძღვანელოს“, მწერალი, ხელოვანი შეუძლებელია იყოს გულგრილი მოქალაქე თავისი ქვეწნის, ინდიფერენტულად განწყობილი ხალხის ბედისაღმი და გულგრილ ჭვრეტდეს ცხოვრების მოვლენებს, სარკესავით უსულებლოდ ასახავდეს სინამდვილეს. „მწერალი, — ამბობდა ანტონ ფურცელაძე, — არის მოძრაობა ანტონ ფურცელაძე, — არის მოძრაობი და წინამდვარი საზოგადო აზრისა, მაჩვენებელი საზოგადოების სავალი გზისა“. ამის გამო, თავისითავად ცხადია, არ კმარა ხელვანანა მოგვცეს ცხოვრების „უმი სურათი“. ამავე დროს იგი მოვალეა მკითხველს, საზოგადოებას უწევენს მომავლის გზაც, ასწავლის, თუ რა უნდა გააკეთოს ცხოვრების გარდასა-ქმნელად, რადგან სწორედ ცხოვრების გარდავჭმა, მისი სამართლიან სოციალურ საწყისებზე აშენება ყველა ხალხისა და მთელი კაცობრიობის უმთავრესი ამოცანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება უპირველეს ყოვლისა და უპირატესად უნდა იყოს პოლიტიკურად ტენდენციური. აღნიშნავდა რა იმ უცილობელ ფაქტს, რომ „კაცობრიობას ყველაზედ უფრო უჭირს თავისი ღლევანდელი ცხოვრებისა და მომავლის გაუმჯობესება, რომ კაცი გამოვიდეს ღლევანდელი ეპონომიური, სოციალური, ზენობრივი და გონებრივი ტყვეობიდამ“, ანტონ ფურცელაძე დასკვნილია: „ღლევანდელს მწერლობრივ ხელვანებას უნდა ჰქონდეს სახეში უფრო პოლიტიკური აზრი, უნდა ჰქონდეს სახეში დავრდომილი და დაცვე-

მული კაცობრიობა ჩააგდოს გონებაში, გა- აცნოს იმას თავისი თავი, თავისი ვა- რემობა, თავისი ღირსება, თავისი უფ- ლებანი კაცა შორის”.

ამით აიხსნება, რომ ანტონ ფურცელა- ძეს, როგორც წესი, ის მხატვრული ნ:წა- მოები მოსწონდა, რომელშიც მკაფი- ოდ და მკვეთრად იყო გამოხატული მწე- რლის პოლიტიკური ტენდენცია, ასევე შიც მწერალი არა მარტო ასახვადა უარ- ყოფითს მოვლენას და გამოთქვამდა პრო- ტესტებს, არამედ ამასთან ერთად უჩენე- ბდა მკითხველს ბორიტების დალევისა და სიკეთის გამარჯვების გზას. „შილე- რის საუკეთესო თხზულებათ ითვლება ვილჰელმ-ტელლი, — წერდა იგი, — რო- მელშიც ჰყავს გამოყვანილი მტარკლო- ბა დამნავებული ხალხის და იჩენება წამალს ამისას. ის ვილჰელმ ტელლისა და სხვა შევიცარიის გმირი პირების გა- მოყვანილ ეძნის ქვეყანას, რომ შტარ- ვალთ ძალის ძლევა ძალით შეიძლებათ... და ამ პირისთ, რომელიც სახსა ტენ- დენციებით და იდებით, შეიძინა შილ- ლერმა თანასწორი სახელი საუკეთესო მწერალთა ქვეყანაზედ. ბაირონის ვენი ხომ მხოლოდ თავისი მაღალი იდებითა და ტენდენციებით გაითქვა ქვეყანაზედ. როდესაც იმის თხზულებას არა აქვს ამ- გვარი აზრი, არცა ვინ კი კითხულობს, და ცოტაცა აქვს იმას ამგვარი ნაწერები. თითქმის მთელს იმის ნაწერებში ცალიათ და ნათლათ, რომ ბრძა გონებისთვისაც კი გასაგებია, არის გაყვანილი ტენდენ- ციები: დაამხეთ ქველი კერპები, ძევლი წესები, ძევლი წყობილებანი; ყოველი- ვე ესენი არიან ჩვენი შემცდარი გონების აშენებულნიი. იღეთ მისი „კინი“, „მან- ფრედი“, „ჩაილდ ჰაროლდი“, „დონ შუანი“, „მაზება“ და გადით „შილონის პატიმრებამდის“, „ებრაულ მელოდიება- მდის“ და ნახვთ, რომ ის ამ თხზულებათ იმიტომ კი არა სწერს, რომ მარტო სუ- რათი გიჩენოთ, სწერს იმიტომ, რომ გა- იყვანოს თავისი წინათ აღებული აზრი, რომელიც იმას ამ დაწერამდის კარგი აწონ-დაწონვით უცნია ან სავენებელ ან სასარგებლო აზრათ და უნდა

თავისი: ნაწერებით ან შემძღვის ან შეკუთხოს მკითხველებს, რომ მისი ისინი დააყენოს კეთოლ საქმესა და გზა- ზედ. და აქ ის აშერათ, ცხადათ როგორც პირათ აგიტატორი, როგორც გატაცებუ- ლი თავისი აზრებით პუბლიცისტი პირ და პირ გეძინით: აი ეს არის ქვეყნის და- მლუპელი, აღმიარებული ამაზედ ყოვე- ლი თქვენი ძალით და დამხეთ ძირიანა- თაო”.

ი ასეთი აშერა და ცხადი ტენდენცი- ურბისათვის იბრძოდა ანტონ ფურცე- ლაძე, როცა მწერალი არ კმაყოფილდე- ბოდა სურათის „ნეიტრალური“ ჩენენ- ბით და გამოიდიოდა ბენინერი მომავლი- სათვის აქტიურ მებრძოლად, ახლისა და პროგრესულის გაბედულ აგიტატორად და პროპაგანდისტად. მისი უმაღლესი მი- ზანი, უპირველესი სურვილი იყო ლიტე- რატურას ხალხის ინტერესების, ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად გადაეხა- ლისებინა თავისი შინაარსი, შეეცნო თა- ვისი მაღალი საზოგადოებრივი დანიშნუ- ლება, დიდი სახალხო ამოცანები, რომ- ლებიც მის წინაშე იღვნენ. ჩვენი ძევლი მწერლობა, ამტკიცებდა ანტონ ფურცე- ლაძე, იმით იყო კარგი, იმით მოიპოვა ხალხის სიკეთული, რომ დროს, ეპოქას მისდევდა, გამოხატავდა საზოგადოების ინტერესებს და აქმაყოფილებდა მის მო- თხოვნილებებს. „ჩვენი მწერლების ნა- წერი და ნათარგმნები, — წერდა იგი, — ეთანხმებოდნენ და იყვნენ ზედ გამო- კრილნა ხალხის აზრსა და იმის ცხოვრე- ბაზედა“.

მაგრამ ლიტერატურა, ისევე როგორც ხალხი, საზოგადოება ერთ ადგილზე ხო- არ დგას, წინ მიღის, ვითარდება და ამას კვალბაზე შინაარსაც იცვლის. „მამე- ბის“ სენტიმენტალურ-კლასიცისტური ლიტერატურა სწორედ იმით იყო ცუდი, რომ არ ითვალისწინებდა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, არ სდევდა უმთა ცვლას და შირს იდგა საზოგადოების სა- კიროებისაგან. როგორც სინდიკაგმოც- ლილი თერმომეტრი ვერ გრძნობს ტემ- პერატურის ცვალებაღიბას, ისე ვერ გრძნობდა იგი ხალხის სატეივარს და არ

ზრუნავდა მისი ნათელი მომავლისათვის.
საჭირო იყო ძველი გზის დაგდება და ან-
ტონ ფურცელაძე ექვეყნ მოუწოდებ-
და როგორც ლიტერატურას, ისე საზო-
გადღებას. „ზღაპრებისა და ტებილი ლუ-
ქსების წერის დრო წარვდა. ახლა დრო
არის ჩვენც (ე. ი. საზოგადოება — შ. ქ.)
ბავშობას და ცელქობას თავი დავანე-
ბოთ, შეუდგეთ გონების მოძრაობის ფა-
ქრს, გმოვიდეთ ჩვენი ტებილი ვარინ-
დებულის განცხრომიდამა და ვცნათ,
რომ ჩვენც წუთისოფლის შვილები ვართ
და მინამ წუთისოფლები ვართ და კაცი
გვევიან, ვიზრუნოთ წუთისოფლისათვის
და ვიცხოვროთ კაცურათა“.

ეს გზა, რომელსაც ანტონ ფურცელა-
ძის აზრით, უნდა დასდომომდა ქართული
ლიტერატურა, იყო ერთადერთი სწორი
გზა. იგი მოასწავებდა ახალი, რეალის-
ტური მიმართულების დამკვიდრებას ქა-
რთულ მწერლობაში, რასაც გააფორმებით

ეწინააღმდევებოდნენ „მამების, ადამიტე-
ბიც ებლაუქებოდნენ თეორიას მისათვალის-
წება ხელოვნებისათვის“, ქადაგებოდნენ
უიდეობას ლიტერატურაში და გადაჭრით
ფარყოფდნენ ხალხურობისა და უტილი-
ტარიზმის პრინციპებს. ამიტომ თეორიის
„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ დაძლე-
ვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა
ენიჭებოდა რევოლუციურ-დემოკრატი-
ული ესთეტიკის, კრიტიკული რეალიზმის
გამარჯვებისათვის ბრძოლაში. გადაუქარ-
ბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დიდ
საქმეში ანტონ ფურცელაძემ მეტად
თვალსაჩინო წელილი შეიტანა, ასათან
მან წინა პლანზე წამოსწრა და განსაკუ-
თრებული ცურალება დაუთმო შკვეთ-
ხაღ გამოხატულ კლასობრივ-პოლიტი-
კურ ტენდენციურობას, — ხალხურობის
პრინციპს და მიიჩნია ისინი წამყვან ელე-
მენტებად ლიტერატურის განვითარება-
ში.



აღისო აგრამიშვილი

თუმანიშვილების ოჯახი და „აჩვის გერ“

გასული საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის მიეკილ თუმანიშვილის ოჯახი გამოიჩინეოდა თავისი კულტურით, განათლებითა და პროგრესული მსოფლმხედველობით. მ. თუმანიშვილი იყო XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო პუბლიცისტი და პოეტი. დიდია მისი როლი საგლეხო რევოლუციის განხორციელებაში. მას გარევეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე ბანკის დაარსებაში. ამავე დროს თუმანიშვილი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. მისი სხარტი ფელეტონები, რომლებიც ხშირად იძულებოდა იმდროინდელ პრესაში („ცისარი“, „დროება“, „ზაკავკასი ვესტნიკი“, „ტიოლისკი ვესტნიკი“), მუდამ გამოიჩინეოდა ქართულრი თემატიკით. მიხეილი ცხოველი ინტერესს იჩინდა ქართული თეატრალური ცხოვრებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ქართული წარმოდგენების პირველი კრიტიკოსი.

მამის ლიტერატურული საქმიანობა განაგრძო მისმა ქალიშვილმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა. იგი იყო გამომცემელი და რედაქტორი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალისა „ჭეჭილი“, გ. წერეთელთან ერთად რედაქტორიდა აგრეთვე ყოველკვარეულ პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთს „კვალი“. ანასტასია თუმანიშვილის ინიციატივით ვე თბილისში დაარსდა მასწავლებელ და

აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება. გარდა ამისა, ანასტასია წერდა საბავშვო ლექსებსა და მოთხოვნებს, ეწეოდა მთარგმნელობასც.

მ. თუმანიშვილის უფროსი ვაჟი — გიორგი ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. თავის ძმებთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის პროგრესულ ჟურნალ „ნოვო ობოზრენიეს“, იყო ქართული თეატრის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი.

გიორგის ძმას ვასილ თუმანიშვილს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წლილი ქართული თეატრის აღორძინებაში მიუძღვის. 1886-1888 წლებში იგი შუშანიდა რევისორად ქართულ თეატრში. ამავე დროს იყო ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ვ. თუმანიშვილი თვითონაც ხშირად მონაწილეობდა წარმოდგენებში და წარმატებით ასახელებდა სახასიათო და კომიკურ როლებს.

მ. თუმანიშვილის უმცროსმა შვილმა კონსტანტინემაც გარევეული ამაგი დასდო ქართულ კულტურას. 1881-1904 წლებში იგი იყო „ნოვო ობოზრენიეს“ გამომცემელი. გარდა ამისა, მონაწილეობდა რესერტის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიოს განყოფილების მუშაობა-

ში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ხშირად აქცევნებდა პოლიტიკური ხასიათის წერილებს.

რაც შეხება მ. თუმანიშვილის უფროს ქალიშვილს ბაბალეს, ნააღრევმა სიკედოლმა მას ხელი შეუშალა საკუთარი წვლილი შეეტრანსართული კულტურის განვთარებაში. ბაბალემ მოასწრო მარტო რეინიგზის გამომგონებლის გეორგ სტეფან-სონის ბიოგრაფიის „შეგვანა, რომელიც მხოლოდ მისი სიკედოლის შემდეგ, 1876 წელს გამოიცა. სამაგიროდ, ბაბალე თუმანიშვილმა დაგვიტოვა საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა. რომელიც მისი ნათელი გონიერისა და კულტივული ნიჭის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს.“

როგორც ვხედავთ, მიხეილ თუმანიშვილის მთელი მრავალრიცხვანი ოჯახი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. იმიტომ თუმანიშვილთა პირადი წერილები მდიდარ მასალას იძლევან XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესაწავლად.

თუმანიშვილების ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1871-1875 წლებით დათარიღებული წერილები. სწორედ ამ პერიოდში გიორგი თუმანიშვილი იღესაში სწავლობდა. სამშობლისა და ოჯახს მოცილებულ გიორგის მამა და დაძმები სასტემატურად და დაწერილებით აცნობდნენ თბილისი მომზადებულებელ მნიშვნელოვნის ამბავს. მათ წერილებში შეხვედრით მსჯელობას იმდროინდელ ქართულ მწერლობაზე, პრესასა და ოკატრზე, საოჯახო ლექციებზე, ბანკის დაარსებაზე. „არტისტული წრის“ საქმიანობაზე და სხვ.

აქცერად ჩვენ მიზნად ვისახავთ თუმანიშვილების გამოუქვეყნებელი წერილების მიხედვით მკითხველს მივაწილოთ ზოგიერთი საინტერესო ცნობა „არტისტული წრის“ მუშაობის შესახებ.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშვნოთ: ამ წრის საქმიანობაზე გამახვილებული

აქვს ყურადღება მიხეილ ხელოუნელს თავის წიგნებში: „წარსულიდან, მასში თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, რადგანაც მიხეილ ხელოუნელი თავის თხზულებებში, საზოგადოდ, და, კერძოდ, ამ საკითხთან დაკავშირებითაც ძირითად თუმანიშვილების მიწერ-მოწერას ეყრდნობა, ამტომ ჩვენ ვეცადეთ გაგეოთვალისწინებინა თუმანიშვილების სწორედ ის წერილება, რომლებიც ხელოუნელს თავის წიგნებში არ გამოიყენებია!“

* * *

70-იან წლებში თბილისის კულტურულ ცხოვრებას ძირითადდ ე. წ. „არტისტული წრი“ (შემდეგში თბილისის წრედ წოდებული) წარმართავდა. ეს წრე სისტემატურად აწყობდა საგარეო ლექციებს, საუბრებს, ღილა-საღამოებს, მასკარადებს, წარმოდგენებს და ა. შ. წრის მონიშვნებულმა და ენერგიულმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, შესამჩნევად გამოცოცხლდა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება.

1871 წ. შემოდგომაზე „არტისტული წრის“ თაოსნობით დიდა ქართველმა მეცნიერმა ივანე თარხნიშვილმა თბილისში წაიკითხა პატულარული ლექციები ფიზიოლოგიაში. ამ ლექციებმა დიდი გამოხმაურება პოვა იმდროინდელ პრესაში. რეცეპტორების უმეტესობა მაღალ შეფასებას აძლევდა თარხნიშვილის ლექციებს და გამოთქვამდა დამსტრე საზოგადოების საერთო აღფრთვანებას.

1871 წ. 22 ოქტომბერს იღესაში ბაბალე თუმანიშვილი ამის თაობაზე წერდა გიორგის: „მოთმინება არ მყოფნის, სანამ არ გამომგცემ იმას, რითაც დაინტერესებულია თბილისის საზოგადოების

1 თუმანიშვილების პირადი საარქივო მასალა, მათ შორის წერილებიც, დაცულია საქ. სის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ყველა წერილი ღაწერილია რუსულ ენაზე. ქართული თარგმანი ჩვენ ვვერცხვნის.

უმრავლესობა, ეს არის სწორედ მედიკინის ფოქტორის თარხანოვის ლექციები. 18-ში დანიშნული იყო პირველი ლექცია. წინასწარ შევიძინეთ ბილეთები, რომლებიც იყიდებოდა უნომროვ, პროგრამასთან ერთად. ჩვენ გავმართოთ აღრიანად, რათა საუკეთესო ადგილები დაგვევებინა, მაგრამ, როდესაც შევედით, პირველი რიგები უკვე დაგვევებული იყო. მანც გამოვებენეთ კარგი ადგილები. ლექციისათვის გამზადებული იყო ის დაბაზი, სადაც წარმოდგენები იღებება ზომები. და დაჯერება, ის მთლიანდ გაჭედილი იყო ხალხით. ამბობენ, ერთი სამ საათზედაც კი მოსულა იმისათვის, რომ პირველ რიგში დაგვევებინა ადგილი... იგი ლაპარაკობდა ძალინ უბრალო, ყველასათვის გასავები ენით. ლექციის თემა იყო — რისგან წარმოშვება მოქმედება. ლაპარაკი იყო კუნთების, ნერვებისა და ნერვული ცენტრების შესახებ. ამასთანავე უჩვენებდა ცდებს. მთელ დარბაზში დაჭრონდათ გაკვეთილი ბაყაჟები, ძალის თავიდნ ამოკვეთილი ტენი. საზოგადოება უმეტესად ქალებისა, ექიმებისა და ოფიციალებისაგან შედგებოდა. ლექციის დასასრულს ყველა მიკროსკოპებს ეცა. თვითონ თარხანოვი ხალხში გაერთია და ვისაც რამე არ ესმოდა, მას მიმართავდა. ჩვენ იქ დიდანს დავრჩით. შევედით მელიქიშვილს,¹ მესხეა გამოიფარია და გაკვეთა ბაყაჟი და გვიჩვენა მთელი მისი შიგნეულობა. საზოგადოდ, ყველა კმაყოფილი დარჩია და მოუთმენლად ელოდებიან მეორე ლექციას".

თარხნიშვილის შემდეგი ლექციებიც თბილისის საზოგადოებამ ცხოველი ინტერესით მოისმინა. მცოდნე და გამოცდილი მეცნიერი თვალსაჩინოების გამოყენებით, სადა, უბრალო და ყველასათვის გასაგები ენით სულ უფრო და უფ-

რო ფართო აუდიტორიას და სამაცხოველოს „პირველ ლექციას, — წერს იმავე წლის 10 ოქტომბერს ანასტასია გიორგის, — ბევრი ხალხი დაესწრო, შემდეგ ლექციებშიც კი ტევა არ იყო არტისტული კულტურის დარბაზში. ის თვითონ კითხულობს ნათლად, უბრალოდ (სულაც არა პოეტურად, როგორც ამას მოელოდ ზოგიერთი) ...რადგნაც ბილეთის ფასი ძალზე უმნიშვნელოა. ამიტომ ლარიბეგმაც და მდიდრებებმაც ერთნაირად მოიყარეს თავი მოსამენად".

მავე უაქტეს აღნიშნავს ბაბალე თუმანიშვილიც: "...ერთი სიტყვით, კველა ძალზე დაინტერესებდა, ისეთი ყურადღებით უსმენდნენ მუდამ. რაც შემეხება მე, უნდა ვთქვა, რომ ამ ლექციებმა გამაცოცხლეს. რამდენი რამ საეჭვო და გაუვებარი ახსნა მან ფაზიოლოგიდან".

ბაბალე თუმანიშვილის ამავე წერილებიდან ვგებულობთ, რომ მეორე ლექციის შემდეგ მსმენელებს თარხნიშვილისათვის მიურთმევათ აღრესი, რომელშიც თხოვდნენ, კიდევ წაუკითხა. ლექციები. მეცნიერს თანხმობა განუცხადდება.

თუმანიშვილების წერილები გვამცნობს, რომ ი. თარხნიშვილის ლექციის გარდა თბილისის „არტისტულ წერში“ ხშირად იყიდებოდა ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდანაც (ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტეკნომია, ქიმია, მათემატიკა, ბედაგოგია, ლიტერატურა). ლექტორთა შორის წერილებში დასახელებული არიან ბოკი, მოძალევსკი, მოლჩანოვი, გორდიევსკი, ივანოვი, სკორიკი, სიმონოვჩინი, სტალინი, ტრაჩევსკი, ანდრეას არწუნი, მაგრამ ამ ლექტორთა ლექციების მეცნიერული დონე, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში თუმანიშვილების და საერთოდ მოწინავე საზოგადოების მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებდა. კერძოდ, მოლჩანოვის ლექციის შესხებ 1874 წლის 19 მარტს ანასტასია გიორგის წერდა: „რომელიაც ადგვიციტი მოლჩანოვი გამოშეადა სცენაზე პოლიტიკური ეკონომიკის შესახებ. პირველ ლექციაშევე უსტოდინეს მას, გაფუკიანდა და მეტარედ არ წაიკითხა".

1 იგულისხმება პეტრე მელიქიშვილი, ცნობილი ქიმიკოსი.

2 იგულისხმება სერგეი მესხი, ცნობილი უზრნალისტი, გაზ. „დროების“ რედაქტორი.

მამაკაც ლექტორებთან ერთად თუმა-
ნიშვილები საგანგებოდ ასახელებენ აგ-
რეთვე ერთ ქალ ლექტორს — მადამ
სემიონოვის, ომელასც თბილისში კე-
რძო საბავშვო ბალი ჭერნდა და რომე-
ლიც, როგორც ჩანს, ხშირად აწყობდა
ლიტერატურულ საღმოგბს. ქალი ლექ-
ტორი იმ დროისათვის, რა თქმა უნდა,
იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ უკვე ეს
ერთი ფაქტიც მოწმობს, რომ XIX საუ-
კუნის 70-იანი წლებში ქალი უკვე ჩნდე-
ბოდა ასპარეზზე.

„არტისტული წრე“, როგორც ეს ანა-
სტასია თუმანიშვილის წერილიან ჩანს,
გარკვეულ ყურადღებას უმომხდა ქალ-
თა საკითხსაც: „წრემ გამოიწერა და უკ-
ვე იღებს 600 მანეთის წიგნებს, უმეტე-
სად რასი მშერლების თხსულებებს; ამ-
ბობენ, ბევრი წიგნია აგრეთვე ქალთა
საკითხის შესახებ“.

ამ წლებში ქართველი ქალები არა მა-
რტო ინტერესით ადგენებდნენ თვალ-
ყურს იმდროინდელ საწიგნადოებრივ-
კულტურულ ცხოვრებას, არამედ ცდი-
ლობდნენ თვალიც გამხდარიყენენ ასე-
თი ცხოვრების უშუალო და აქტუალი მო-
ნაწილენი. ასე, მაგალითად, როგორც ბა-
ბალე თუმანიშვილის წერილიდან ვე-
ბულობთ, იმ დროის მოწინავე აზალგა-
ზრდა ქალებს: კაკე მელიქიშვილს (შემ-
დეგ ცნობილი უზრნალისტის ს. მესხის
მეუღლეს), ელენე ყიფიანს (დიმიტრი ყი-
ფიანის ქალიშვილს) და ეკატერინე თარ-
ნიშვილს (შემდეგში გამაშვილს) შეუდ-
გნიათ მთარგმნელთ წრე. ეს წრე მიზ-
ნად ისახედა დროიდარი გამოევევნე-
ბინა ცნობილ მშერალთა და საზოგადო
მოღვაწეთა თხსულებების თარგმანები.

საინტერესო მასალას გვაწვდის აგრე-
თვე თუმანიშვილების ეპისტოლარული
მექვიდრეობა თბილისის თეატრალურ
ცხოვრებაზე. 70-იანი წლების საქართვე-
ლოში, როგორც ვიცით, ქართული მუდ-
მივი დრამატული დასი არ არსებობდა. იმ
ხანებში თბილისის თეატრში იპერას
თუ დრამატულ ნაწარმოებს უჩვენებდნენ
რუსულ ენაზე, ძირითადად მოწვეული ძა-
ლებით.

თუმანიშვილები თეატრალური ხელოვ-
ნების დიდი მოტრიფალენი რაც და დაუ-
ამიტომაც მათი ეპისტოლარული დრეკობის ერთ-ერთ მთავარ თემას თე-
ატრი წარმოადგენდა.

მიხეილის, ანასტასიას, ბაბალეს, ვასი-
ლისა და კონსტანტინე თუმანიშვილების
წერილები საშუალებას გვაძლევს, თუ
მთლიანად არა, ნაწილობრივ მანიც გავი-
თვალისწინოთ თბილისის თეატრის რე-
პერტუარი მთელი ხეთი წლის მანძილ-
ზე (1871-1875 წლები).

თუმანიშვილების წერილებიდან ჩანს,
რომ თბილისის თეატრში ხშირად იდგ-
მებოდა როგორც დასავლეთ ევროპელ
(შექსპირი, მოლიერი, შილერი), ისე რას
კლასიკოსთა (გრიბოედოვი, ოსტროვსკი)
დრამატული თხზულებანი, იგრეთვე მსუ-
ბუქი ქანრის უოდევილები და ოპერეტე-
ბი. ჩეხერტუარი საშუალებას გვაძლევს
ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რომ საზ-
რდობდა თბილისის იმდროინდელი თე-
ატრალური საზოგადოება.

თუმანიშვილების წერილების საფუძ-
ველზე შესაძლებელია აღდგენილ იქნას
აგრეთვე რუსული დრამატული დასების,
თუ მთლიანი არა, ყოველ შემთხვევაში
ძირითადი შემადგენლობა. რუსი მსახიო-
ბებიდან, რომლებიც ამ ხეთი წლის მან-
ძილზე თბილისის თეატრში მოღვაწეობ-
დნენ, თუმანიშვილების წერილებში და-
სახელებული არიან: აბარინვა, აგრამო-
ვი, ბორიცინი, ბრინსკი, კამენსკი, ლარი-
ნი, ლენსკი, მუზელინი, პრავდნი, პროტა-
სოვი, უზრინი, სოკოლოვი, ფედოროვი,
იაბლონიქინების მთელი ოჯახი და სხვ.
ამასთან უნდა აღნიშვნოს, რომ თუმანი-
შვილთა ეპისტოლარული მემკენილეო-
ბა საქამად მდიდარ მასალას შეიცავს
გასული საუკუნის 70-იანი წლების რუ-
სული პროვინციული დრამატული დასე-
ბის შესასწავლადაც.

ამავე 1871-1875 წლებში, გარდა რუ-
სული დრამატული წარმოდგენებისა და
იტალიური იპერებისა, „არტისტულ
წრეში“ დროგამოშეებით. იდგმებოდა ქა-
რთული წარმოდგენებიც: ამ წარმოდგე-
ნებშე თუმანიშვილების წერილები ზო-

გიერთ საინტერესო ცნობას გვაწვდიან. ასე, მაგალითად, 1872 წ. 5 იანვრით და-თარიღიშვილ წერილში ბაბალე თუმანი-შვილი ატყობინებს გიორგის, რომ 3 იან-ვარს თბილისის „არტისტულ წრეში“ ქა-რთულ ენზე წარმოადგინას ორი პერსა: მოლიგრის „ძალად ქორწინება“ და ზ. ან-ტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა“. „ყვე-ლინი კარგად თამაშობდნენ, — წერს ბა-ბალე, — მაგრამ განსაკუთრებით გამო-ირჩეოდა ყიფიანის ქალიშვილი მეორე პიესაში პირველი ცოლის — იმერელი ქალის როლში. დარბაზი სასხვე იყო, იყო ბევრი პალიოდისმენტი. ირგვლივ კმაყოფილება სუსტევდა. თეატრის შემდეგ ცე-კვადნენ ლექურს, შემდეგ კა სხვა ცეკ-ვებისაც. გვიან დავიშალენით“.

1873 წ. თებერვალში დავით ერისთავის რეჟისორობით ქართველმა სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს ზ. ანტონოვის პიესა „მზის დანძელება საქართველოში“. ამ წარმოადგინის შესახებ 16 თე-ბერვალს ბაბალე წერს გიორგის: „თამა-შობდნენ სცენისმოყვარეები და საქმაოდ კარგად, მაგრამ რამდენი ხალხი იყო! ეს იყო წმინდა ეროვნული დღესასწაული“.

აღსანიშნავია აგრეთვე, სწორედ ამ პე-რიოდში, კერძოდ, 1875 წ. 4 აპრილს თბილისში მოწყო პირველი ქართული სალიტერატური და მუსიკალური ხალა-მო, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნო-ბილი ქართველი მწერლები და საზოგა-დო მოღვაწეები: ილა ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ლიმიტრი ყიფიანი, რაფიელ და დავით ერისთავები.

ამ პირველი ქართული სალიტერატუ-რო და მუსიკალური საღმოს შესახებ გასილ თუმანიშვილმა 18 აპრილს აღფრ-თოვნებული წერილი გაუგზავნა გიორგის: „...რა სულ წარმოადგინის შესახებ გიამბობ, სკობს მოვითხრო, თუ როგორ ბრწყინვალედ ჩატარდა ქართული ლიტე-რატურული საღმო. პირველობა, ამ სა-ლამიზე, რა თქმა უნდა, აკაკი წერეთელს

მიეკუთვნებოდა, შესანიშნავად კონცე-ლობდა (ადგიკატის დილას და ტელენ-საბყრობილეში). კარგად კითხულობდნენ აგრეთვე ის. ჭავჭავაძე და დ. ერისთა-ვი, თუმცა პირველს საძაგელი, დახშული ხმა აქვს, ასე რომ ძლივს ისმოდა ქანდა-რაზე (მე ქანდარაზე ვიყავი). კითხულო-ბდნენ აგრეთვე დ. შ. ყიფიანი და რაფ-ერისთავი. განზრახული აქვთ კიდევ გა-მართონ ამდაგვარი ლიტერატურული სა-ღამო...“

